

გუძღვნი მამაჩემს,
ძუნრან ძაჭაუარჩიანის
ხსოვნას



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Nana M. Machavariani

Linguistic Studies

Tbilisi
2015

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნანა მაჭავარიანი

ენათმეცნიერული

შტუდიები

თბილისი
2015

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილ ნაწარმებსა და მასწავლებლის სამეცნიერო სტატიებში განხილულია აფხაზური და ქართული ენების მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები, მოცემულია არაერთი აფხაზური თუ ქართული ლექსების ეტიმოლოგიის ცდა.

სამეცნიერო ნაშრომები წაკითხულია მოხსენებებად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე; გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ ენათმეცნიერულ გამოცემაში. სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიურად. თითოეულ ნაშრომთან მითითებულია, რომელი გამოცემიდან არის გადმობეჭდილი ცალკეული მათგანი.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, სტუდენტებისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მედეა ღლონტი**

რეკენზენტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი **ვაჟა შენგელია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან პაპიაშვილისა**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

© ნანა მასწავლებლის

ISBN

ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშნთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებობს ზმნათა უღვლილების სამი ტიპი: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი (ჩიქობავა, 1953).

უღვლილების კლასოვან ეტაპზე ზმნა მონოკლასოვანია, პოლიპერსონალური ზმნა კლასოვან-პიროვანი უღვლილების განვითარების შედეგია (როგავა, 1953, 444).

ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნა პოლიპერსონალურია: აფხაზურ ენას ახასიათებს ზმნის კლასოვან-პიროვანი უღვლილება, ქართველური ენებისათვის პიროვანი უღვლილება დამახასიათებელი (ივარაუდება, რომ ქართველურმა ენებმა გამოიარეს უღვლილების კლასოვანი და კლასოვან-პიროვანი საფეხურები, რომელთა ნაშთი პიროვან უღვლილებაში ჩანს) (როგავა, 1953, 445).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთადერთი ძველი დამწერლობის მქონე ენა ქართულია. ბუნებრივია, ადრეულ გრამატიკულ მოვლენებს, რომლებიც უმწერლობო ენებს ახასიათებდა, ნაშთების სახით ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წავაწყდეთ.

ძველი ქართული ენის ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული და იბერიულ-კავკასიური ენების განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად.

ძველ ქართულ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ნ/ჰ/ჰს/ს** პრეფიქსია წარმოდგენილი (შანიძე, 1981, 113-261; 265-279; 280-299).

S₂-ისა და O₃-ის ერთი და იმავე აფიქსით აღნიშვნა, არნ. ჩიქობავას აზრით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ აფიქსის პირვანდელი ფუნქცია არ იყო პირის გამოხატვა, იგი გრამატიკული კლასის აფიქსი უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა, 1944, 450). ამავე აზრისაა გ. როგავაც (როგავა, 1956, 287). იგი თავის მხრივ დასძენს, რომ **ჰ/ნ-**

ს გამოვლენა ძველ ტექსტებში შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის გამომხატველი გრაფიკული ხასიათის მოვლენა (როგავა, 1956, 292), **ჰ/ხ** შესაძლოა იყო ერთი გარდამავალი ბგერა, რომელსაც ხან ხანით გადმოსცემდნენ, ხან ჰაეთი (როგავა, 1956, 289).

ხ/ჰ ფორმანტთა გამოვლენამ S₂-ისა და O₃-ის ნიშნად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მათი ფუნქციური რაობის საკითხს გარდა, **ჰ**-სა და **ხ**-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც დასვა:

ივ. ჯავახიშვილს ჰაე ხანისაგან მომდინარედ მიაჩნდა (ჯავახიშვილი, 1949).

გ. ახვლედიანი თვლიდა, რომ ჰაემეტობა/ხანმეტობა ტექსტების შექმნის დროისათვის გადავარდნილი იყო და სწორედ ამან გამოიწვია ხანისა და ჰაეს ხმარების აღრევა (ახვლედიანი, 1918-1923, 100).

აკ. შანიძე ხანმეტობა/ჰაემეტობას დიალექტურ მოვლენად მიიჩნევდა (შანიძე, 1981, 18).

თ. გონიაშვილის აზრით, ტექსტების შექმნისას „ხანურობა“ უკვე აღარ იყო მოქმედი, ჰაემეტობა კი ნორმა იყო (გონიაშვილი, 1938, 142, 145).

აკ. შანიძის მოსაზრებას იზიარებენ: ალ. ონიანი, ზ. სარჯველაძე, რ. ენუქაშვილი.

ალ. ონიანს მიაჩნია, რომ ხანის ჰაედ ცვალება ჯერ უნდა მომხდარიყო ხმოვნების წინა პოზიციაში, **ო**-ს წინ: **ხი** > **ჰი**, ამის დამადასტურებლად იგი თვლის ხანმეტ ტექსტებში გამოვლენილ ჰაემეტ ფორმებს (ონიანი, 1974).

ზ. სარჯველაძე იზიარებს აკ. შანიძის მოსაზრებას **ჰ/ხ** სხვადასხვა დიალექტური წარმოშობის შესახებ, იგი არ ეთანხმება გ. როგავას ვარაუდს ორი განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის არსებობის თაობაზე **ჰ/ხ** ბგერის გრაფიკულად გადმოცემაში, მას **ჰ/ხ** გარდამავალი ბგერის ძველ ქართულში არსებობა ასევე საეჭვოდ მიაჩნია (სარჯველაძე, 1971, 37, 30).

ზ. სარჯველაძეს იმ ფაქტის ერთ-ერთ საბუთად, რომ ჰაემეტობა VIII ს-ში აღარ არის მოქმედი ნორმა, მოჰყავს ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში პირის აფიქს-მორფემათა რანგების განსაზღვრულობა: პირ-

ველ ადგილზეა III ობიექტური პირის ნიშანი, მეორეზე I სუბიექტური პირის ნიშანი: **მისუხედე** (პროტ. ევანგ. 70); **აღსუპართე** (უკანგ. წარწ. I); **აღსუპართე** (წყისის წარწ.); **მიჰუგუარე** (ჰაემ. 370); **ჰუ-ყოფ** (388); **ჰეცოდე** (388)... IX ს-დან მორფემათა რანგი შეცვლილია: პირველ ადგილზე დგას S₁-ის ნიშანი, მეორეზე O₃-ის ნიშანი: **ადგჰმართე, მივსცემ** (სარჯველაძე, 1971, 25).

O₃ + S₁ მორფემათა მიმდევრობა ერთი, S₁-ის ნიშნადაც არის გააზრებული: გ. კლიმოვი (კლიმოვი, 1965, 225), ალ. ონიანი (ონიანი, 1978, 165), თ. გამყრელიძე (გამყრელიძე, 1979).

მ. სუხიშვილს, ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით, **ხუ** S₁-ის ნიშნად მიაჩნია სვანურში. მკვლევრის აზრით, ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული O₃ + S₁ რიგი მიღებულია S₁ + O₃ აფიქსთა განლაგების მეტაანალიზის საფუძველზე, ქართველურ ენათა ფონეტიკური სტრუქტურის გავლენით, შემდეგ გააზრიანებულია S₁-ის ნიშნად (სუხიშვილი, 1986, 58).

რ. ენუქაშვილის აზრით, S₂O₃ პირებს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდათ: S₂ ხანით აღინიშნებოდა, ხოლო O₃ ჰათეი (ენუქაშვილი, 1979, 177).

ჰ/ხ-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხის კვლევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია **ჰ/ხ**-ს პირვანდელი ფუნქციის გარკვევის საკითხი.

ჰ/ხ პრეფიქსთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან ყველაზე მართებული ჩანს ამ პრეფიქსთა პირვანდელ ფუნქციად კლას-კატეგორიის აღნიშვნის მიჩნევა (ჩიქობავა, 1944, 450; როგავა, 1954, 287; როგავა, 1950, 447; როგავა, 1953, 65; ანდლულაძე, 1968, 52; თოფურია, 1962, 56). თუ არ ამ საბუთით, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი გრამატიკულად განსხვავებული პირის, ობიექტისა და სუბიექტის ერთი და იმავე ნიშნით წარმოადგენა.

როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. როგავა: „კლასის ნიშნები, ერთი მხრივ, „მკვდარი მორფოლოგიური ინვენტარის“ სახით შემოგვრჩა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს აფიქსები გამოხატავენ ახალ მორფოლოგიურ კატეგორიებს: პირის, რიცხვის, ბრუნვისა და სხვას“ (როგავა, 1953, 16).

ჰ/ხ ფორმანტთა კლას-ნიშნურ წარმომავლობას ნათელს ხდის

ერთი ფაქტიც: $O_3 + S_1$ პირთა კომბინაციის დროს, ხანმეტ ტექსტებში O_3 -ის ნიშანი S_1 -ის ნიშნის წინ დგას თანხმონით დაწყებულ და ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფუძეთა წინ:

ბ- III ირიბ ობიექტური პირის ნიშანია: ხურქჳ — „მას ხურქჳ მე წარვედ და წარვიდის“ (მ. 8, 9); ხუეტყჳ — „ამისთვის იგავით ხუეტყჳ“ (მ. 13, 13); შეხუძინე — „ორი სხუაჲ ტალანტი შეხუძინე“ (მ. 25, 22); ხუარწმუნოთ — „ესე მთავარსა მას ჩუენ ხუარწმუნოთ“ (მ. 28, 14).

ბ-/ჳ- III პირდაპირ ობიექტური პირის ნიშანია: (მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის **ბ-/ჳ-** პრეფიქსით გამოხატვა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისათვის ნორმაა (სარჯველაძე, 1971, 114, 115, 116): აღხუტყორცებ (უძვ. 364), ხუტყოდე (უძვ. 320), ჰუოფ (ჰაემ. 388), ჰუცოდე (ჰაემ. 388).

შემდგომი დროის ხელნაწერებში აღნიშნულ ზმნურ ფორმათა ნაცვლად ვხვდებით: **გჳრქჳ, ვეტყჳ, შევსძინე, ვარწმუნოთ...** ე. ი. ზოგან ხანის მაგიერ ჰაე ან სანია, ზოგან საერთოდ დაკარგულია ნიშანი, მაგალითად, **ვეტყჳ** ფორმაში.

აღნიშნულ ზმნურ ფორმებში გამოვლენილი $O_3 + S_1$ ნიშანთა განლაგება მეტათეზისად მიაჩნიათ (შანიძე, 1980, 186; ჩიქობავა, 1968, 141).

ჩვენი აზრით, $O_3 + S_1$ ნიშანთა მიმდევრობა უნდა იყოს არა მეტათეზისის შედეგი, არამედ ადრე მოქმედი გრამატიკული მოვლენის ნაშთი, შემორჩენილი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში, იმდროინდელი მოვლენა, როდესაც გვართა მიხედვით ნეიტრალურფუძიანი ზმნა ობიექტის კლასსა და სუბიექტის პირს გამოხატავდა. პრეფიქსთა ასეთი განლაგება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად შეძლებდა გავრცელებას, რითაც უნდა აიხსნებოდეს **ბ/ჳ** აფიქსთა ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა (შდრ. ხუნძურის მონოკლასოვანი უღვლილება, ლაკურის, დარგულის, ბაცბურის, აფხაზურის კლასოვან-პიროვანი უღვლილება). ეს უნდა მომხდარიყო ენის განვითარებაში ზმნის უღვლილების კლასოვან-პიროვან ეტაპზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია აზრი იმის შესა-

ხებ, რომ სუბიექტის პირის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში მეორეულია: არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1944), ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე, 1948, 5, 13).

აფხაზურში, სინტაქსური ფუნქციის მიხედვით, „დ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად (როგავა, 1954, 390, 391).

სწორედ „დ“-ს რიგის აფიქსთა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო **ხ/ჰ** პრეფიქსი, ხანმეტ ტექსტებში შემორჩენილ აფიქსთა განლაგებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული აფიქსის თავიკიდური პოზიცია ზმნაში. თუმცა აფხაზურისათვის დამახასიათებელი კლასისა და პირის ნიშანთა პოზიციური სიმყარე ქართულმა ზმნამ ვერ შეინარჩუნა. ქართულ წერილობით ძეგლებში IX ს-დან დადასტურებული პირის ნიშანთა განლაგება $S_1 + O_3$ უნდა იყოს სწორედ მეტათეზისის შედეგი, რაც, ფონეტიკური ცვლილებისათვის ხელშემწყობი გარემოს გარდა, სუბიექტის ხვედრითი წონის ზრდას უნდა გამოეწვივა.

აფხაზურში მონოპერსონალიზმის (კლასოვანი უღვლილების) დროისაა „დ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს (როგავა, 1950, 443). ისტორიულად „დ“ აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (როგავა, 1954, 9-12; ანდლულაძე, 1968, 151).

ნივთთა კლასიდან **დ**-ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად, შემდეგ ადამიანის კატეგორიის ნიშნად განზოგადდა (როგავა, 1953, 445).

აფხაზურ გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის (პირდაპირი) უახლოესი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: „**დგ-ზ-ბოდტ**“ — „მას მე ვხედავ“, „**დგ-ლ-გოდტ**“ — „ის(ად) — მას (ქ.) მიჰყავს“...

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგით (ლომთათიძე, 1942, 1-27): „**ი-ლგ-ლ-თოდტ**“ — „იგი (ქ.) მას (ქ.) რაღაცას აძლევს“, „**ი-ბ-ა-ს-ჰიოდტ**“ — „მე შენ (ქ.) რაღაცას გეუბნები“...

ვეიქრობთ, აფხაზურ ზმნაში პირის ნიშანთა განლაგების ეკვივალენტურია აღნიშნული პირის ნიშანთა რიგი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში.

ლიტერატურა

ანდლულაძე, 1968 — ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1968.

ახვლედიანი, 1918-1923 — გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1918-1923.

გამყრელიძე, 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა და ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე, თბილისი, 1979.

გონიაშვილი, 1938 — თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიმკ-ის მოამბე, № IV₂, თბილისი, 1938.

ენუქაშვილი, 1979 — რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. XIX, თბილისი, 1979.

თოფურია, 1962 — გ. თოფურია, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. XIII, თბილისი, 1962.

ლომთათიძე, 1942 — ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.

ლომთათიძე, 1948 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი, 1948.

ლომთათიძე, 1945 — ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი, 1945.

ონიანი, 1974 — ალ. ონიანი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემათა ალომორფების განაწილება ხანმეტ-სა და ჰაემეტ ტექსტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თბილისი, 1974.

ონიანი, 1978 — ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978.

როგავა, 1950 — გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონაშთებისათვის ადილუურ ენებში, სმამ, ტ. XI, №1, თბილისი, 1950.

როგავა, 1953 — გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, №7, თბილისი, 1953.

როგავა, 1956 — გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956.

სარჯველაძე, 1971 — ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბილისი, 1971.

სუხიშვილი, 1986 — მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, იკე, XXV, თბილისი, 1986.

შანიძე, 1981 — აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

ჩიქობავა, 1953 — არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, თბილისი, 1953.

ჩიქობავა, 1944 — არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, სმამ, ტ. V, №4, თბილისი, 1944.

ჩიქობავა, 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, ტ. XI, თბილისი, 1959.

ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, II, გამოც., თბილისი, 1968.

ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. ქაჯაიამ, თბილისი, 1984.

ჯავახიშვილი, 1949 — ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.

კლიმოვი, 1965 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1965.

ლომთათიძე, 1942 — К. В. Ломтатидзе, Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка, Сообщения АН Грузинской ССР, т. III, №4, Тб., 1942.

როგავა, 1954 — Г. В. Рогава, К вопросу о генезисе аффикса третьего лица в абхазском и древнегрузинском языках, Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия, XXV, Сухуми, 1954.

Н. М. Мачавариანი

О распределении аффиксов объекта и субъекта в грузинском и абхазском переходном глаголе

резюме

Автором высказывается мнение, согласно которому распределение аффиксов объекта и субъекта в ханметных и хаементных текстах древнегрузинского языка $O_3 + S_1$ является не метатезисом, как было принято традиционно, а нормальным грамматическим явлением; оно действовало в грузинском языке на раннем этапе его развития (на этапе классно-личного спряжения глагола), когда нейтральная в отношении залога основа глагола обозначала класс объекта и лицо субъекта (обозначение субъекта в глагольной форме явление сравнительно позднее).

Такое же распределение классно-личных аффиксов засвидетельствовано в абхазском переходном глаголе и поныне.

Таким образом, в грузинском языке восстанавливается классный показатель вещей *x, морфологическим эквивалентом которого в абхазском языке является *d.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, №3, თბილისი, 1986.

კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში

კაუზატივის კატეგორია გულისხმობს ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას პირდაპირ ობიექტზე სხვა პირის მეშვეობით.

კაუზატივის კატეგორია ქართველური და აფხაზურ-ადიღეური ენების ზმნაში აღინიშნება სათანადო მორფოლოგიური ნიშნებით: ქართველურ ენებში სუფიქსებით, აფხაზურ-ადიღურ ენებში პრეფიქსებით.

კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებლად ქართულში გამოყოფენ **-ევ, -ინ, -ეგინ, ა-ებ-ინ, -ებ-ი(გ)** ფორმანტებს: **-ევ**: ნუოდეს გაარყუნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა (დავით აღმაშენებლის სიგელი), **-ინ**: აწერინებს, თაყუანის აცემინნეს (აბიბ. ნეკრ.), **-ეგინ**: ათლევინებს, **ა-ებ-ინ**: აშენებინებს, **-ებ-ი(გ)**: ძმათა საჭმელი მოაღების თავისა წინა (იოვ. და ეფთვ.) (შანიძე, 1980, 361, 362; შანიძე, 1967, 84).

ძველ ქართულში გამოყოფენ აგრეთვე კაუზატივის აღწერით ფორმასაც: დადებად სცემდა (დაადებინებდა), წარწერად სცა (წააწერინა), მოღებად ვეც (მოვადებინე).

კაუზატივის აღნიშნული სახეობა ნ. მარს სომხური ენის სუროგატად მიაჩნდა ქართულში (მარი, 1925, 271, 272).

ვ. იმნაიშვილის აზრით, აღწერითი კაუზატივის არსებობა ძველ ქართულში სხვა ენის გავლენას არ უნდა მიეწერებოდეს. აღწერითი კაუზატივი ძველ ქართულში ორგანული წარმოების გვერდით არსებობდა (იმნაიშვილი, 1970).

ივ. ქავთარაძე აღნიშნავს, რომ ზმნის აღწერითი ფორმები ადრეულია, შემდეგ მოხდა მათი შეცვლა ორგანული წარმოებით (ქავთარაძე, 1964, 169).

კაუზატივის საკითხი ძველ ქართულში ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს, ზოგადი შთაბეჭდილება კი ასეთია: ძველ სალიტერატურო ქართულში ზმნის კაუზატიური ფორმები იშვიათია; უძველეს ტექსტებში აღწერითი კაუზატივი სჭარბობს ორგანულს (რასაც შესაძლოა ნათარგმნმა ლიტერატურამ შეუწყო ხელი). შე-

მდგომი პერიოდის ძველებში ორგანული წარმოების კაუზატივსაც ვხვდებით აღწერითის გვერდით. საბოლოოდ, სალიტერატურო ენის სამეტყველო ენასთან დაახლოების შედეგად, ძველ ქართულში ორგანული წარმოების კაუზატივმა ფორმებმა იმატა და თანდათან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

აღწერითი კაუზატივი აფხაზურ ენასაც ახასიათებს, მაგრამ ორგანული წარმოების კაუზატივთან შედარებით ნაკლებად პროდუქტიულია.

ზოგი მკვლევარი (ერთელიშვილი, 1965, 194-196) კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებლად **ა-/ო-** პრეფიქსსაც გამოყოფს ქართველურ ენებში.

აღნიშნულ **ა-** პრეფიქსზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი: **ა-** პრეფიქსს მიაწერენ გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის, საარვისო ქცევის, საზედაო სიტუაციის, სამიმართებო ელემენტის ფუნქციებს (ჩიქობავა, 1936, 139; შანიძე, 1980, 326; თოფურია, 1942, 969; ერთელიშვილი, 1965; ვეშაპიძე, 1970, 109; როგავა, 1962, 50; თოფურია, 1947; ჯორბენაძე, 1975; გეურქოვა, 1972, 104; თაყაიშვილი, 1974, 33, 34; ჩიქობავა, 1959, 60, 167).

ის ფაქტი, რომ **ა-** ფორმანტს მოეპოვება შესატყვისობანი მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (გეურქოვა, 1972, 104), რა თქმა უნდა, **ა-** ფორმანტის უძველესობაზე მეტყველებს, მაგრამ შესატყვისობათა გამო მისი (**ა-** ფორმანტის) კაუზატივის კატეგორიის არქაულ ფორმანტად მიჩნევა არ უნდა იყოს მართებული (თაყაიშვილი, 1974, 32).

არნ. ჩიქობავას **ა-** ელემენტი **S₂O₃** პირის აღმნიშვნელი პრეფიქსიდან მომდინარედ მიაჩნია, **ა-**ს ავტორი ჰაეს თანმზლებ ელემენტად თვლის (ჩიქობავა, 1959, 160, 167; იხ. აგრეთვე ჯორბენაძე, 1975).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ **ა-** ფორმანტი უფრო ადრინდელი წარმონაქმნი ჩანს, ვიდრე კაუზატივის კატეგორია (ჩიქობავა, 1959, 160).

ქართულში გამოყოფენ კაუზატივის პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებასაც (თაყაიშვილი, 1974; ჩიქობავა, 1936, 160; ვეშაპიძე, 1970, 20-21).

ხვესურულში გამოყოფილია **-ფვ/-ივ** სუფიქსთა მონაცვლეობის ფაქტები ერთსა და იმავე ფუძესთან: **აჭმევს/აჭმია, ახდენს/ახდია...** (ჭინჭარაული, 1960, 148).

ქართველური ენებისათვის კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებლად სუფიქსების მიჩნევა უფრო მართებული ჩანს:

კაუზატივის კატეგორიის სუფიქსები ზმნის თემის ნიშანთაგან მომდინარედ მიაჩნია გ. მაჭავარიანს. ამ მოსაზრების საფუძველია კაუზატივისა და თემის ნიშანთა მასალობრივი ერთიანობა (მაჭავარიანი, 1959).

კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელი ფორმანტები ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში მსგავსებას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსებთან, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს შემთხვევითი. აღნიშნულ ზმნურ კატეგორიათა — მრავლობითი რიცხვისა და კაუზატივის მაწარმოებელ ფორმანტთა — მასალობრივი ერთიანობა უპირველესად ამ კატეგორიათა გენეტური კავშირით უნდა აიხსნას. შესაძლოა კაუზატივის კატეგორიით გადმოცემული შინაარსით (მოქმედ ობიექტთა სიმრავლით) იყოს გამოწვეული მრავლობითი რიცხვისა და კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ ფორმანტთა ერთიანობა.

აფხაზურში კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ ფორმანტს მრავლობითობის ნიშანთან აკავშირებს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე, 1945, 92).

ქართულში კაუზატივის **-ინ** სუფიქსის თანხმონითი **-ნ** ელემენტი დასტურდება მრავლობითობის აღმნიშვნელად სახელშიც, ზმნაშიც.

კაუზატივის **-ივ** სუფიქსი მრავლობითობის ნიშნად დღესდღეობით არც სახელთან, არც ზმნასთან არ გვხვდება, მაგრამ თუ დავუშვებ, რომ **-ებ** < **-ივ**, მაშინ **-ვ** ელემენტი შესაძლოა მრავლობითობის ოდინდელ მაწარმოებლად ჩაითვალოს, რომელიც სახელებში **-ებ**-ის სახით შემოგვრჩა, ხოლო ზმნაში ფუნქცია იცვალა.

ქართულში **-ივ** სუფიქსი საერთოა ზმნისა და სახელისათვის (ჩიქობავა, 1942, 89). მეგრულშიც იგი სახელურ წარმოებასთან ყოფილა დაკავშირებული. სახელდობრ, იგი გამოყენებული ჩანს საგნის წინანდელი ფუნქციის აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებაში: **ვიო > ეო >**

იი: ნოხირ-**იი** < *ნოხირეო < *ნოხირეფო „ნასახლარი“, ნოჯიხ-**იი** < *ნოჯიხეო < *ნოჯიხეფო „ნაციხარი“ (როგავა, 1945, 652).

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტი, რომ აკ. შანიძეს **-იფ** სუფიქსი მრავლობითობის, კრებითობის ნიშნად მიაჩნია რამდენიმე ტოპონიმში: ვაშლევი, ძეგლევი, ბოსლევი, მღვიმევი, ველევი, ველტყევი, ვაკევი, ქვევი, იფნევი, ტბევი (შანიძე, 1941, 27).

აკ. შანიძე ვარაუდობს ამ ნიშნის მიხედვით (**-იფ**) განსხვავებული გარკვეული დიალექტის არსებობას ძველ საქართველოში, ახლანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე.

ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში **-იფ** ერთვის, შეიძლება მრავლობითის ფორმა არ გვქონდეს, მაგრამ აკ. შანიძის მიერ დასახელებულ ტოპონიმებში, რომელთა სემანტიკაც ნათელია, თავისუფლად შეიძლება **-იფ** მრავლობითობის ფორმანტად ჩაითვალოს; მით უმეტეს, რომ არსებობს **-იფ/-ებ** ფორმანტთა მონაცვლეობის შემთხვევები ერთსა და იმავე ფუძესთან.

მკვლევართა ერთ ნაწილს (მაკალათია, 1970, 18; მაჭავარიანი, 1977) **-იფ** სიტყვაწარმოებით ელემენტად მიაჩნია.

ამავე აზრისა ვიყავით ჩვენც, მიგვაჩნდა რა, რომ **-Vფ** დაბოლოებიან ტოპონიმთაგან **-იფ** სუფიქსის გამოყოფა და მისი მრავლობითობის ფორმანტად ჩათვლა დაარღვევდა **-Vფ** დაბოლოებიან ტოპონიმთა სისტემურ კვლევას (მაჭავარიანი, 1977).

მაგრამ, როგორც შემდგომმა ძიებამ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებზე დაკვირვებამ ცხადყო, ქართულში **-იფ** ფორმანტი, ზოგ შემთხვევაში, მართლაც შესაძლოა ჩაითვალოს მრავლობითის უძველეს მაწარმოებლად.

-იფ ფორმანტის სიტყვაწარმოებით ელემენტად გამოყენება მეორეული უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სიმრავლის აღნიშვნა; აღნიშნულ ფუნქციას უნდა გამოეწვია სწორედ **-იფ** ფორმანტის სიტყვაწარმოებით ელემენტად ქცევა. შდრ.: **ვაშლევი** — ვაშლები (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა), **ვაშლევი** — ვაშლიანი (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) და სხვ.

მეგრულ-ჭანურში კაუზატივის კატეგორიას აწარმოებს **ო-აფ**,

-ამ ფორმანტები: **ოზუმაფუ** „ზომვინა“, **ოკვათაფუ** „აკვეთინა“ **ოზუ-მაფამს** „ზომვინებს“, **ოკვათაფამს** „აკვეთინებს“ (ჩიქობავა, 1936, 157).

მეგრულ-ჭანური **ო-** პრეფიქსი ქართული **ა-** პრეფიქსის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი არ უნდა იყოს კაუზატივისა.

მეგრულში კაუზატივის მაწარმოებლად გამოყოფილია **-ან** სუფიქსიც. ეს უკანასკნელი არნ. ჩიქობავას ფონეტიკურად სახეცვლილ ჭანურ **-ამ**, **-აფ** სუფიქსად მიაჩნია (ჩიქობავა, 1936, 157).

მეგრულ-ჭანურში კაუზატივის **-აფ** სუფიქსი თანხმონითი ნაწილით მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ-ეფ ნიშანთან: ჭან.: **კოჩეფე** „კაცები“, მეგრ.: **კოჩეფი** „კაცები“.

მეგრულში მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის მრავლობითის ფორმებში თავს იჩენს **-ენ** სუფიქსი, რომელიც შესაძლოა კაუზატივის **-ან** სუფიქსს უკავშირდებოდეს.

სვანურშიც კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებლად სუფიქსები გამოიყოფა (თოფურია, 1947, 234, 231); **უნ-ე**: **საშხუნე**, ლშხ. **საშხუნე** „აწვევინებს“, ზსვ. **საჰმუნე**, ლშხ. **საჰუნე** „ათიბვინებს“.

უნ-ე-ს ნაცვლად შეიძლება მოგვევლინოს **ალ-უნ-ე**, ბქ. ლნტ. **ალ-ნ-ე**, ანდა ბსზ. **წ-უნ-ე**, ბქვ. ლნტ. **-ა-უნ-ე** (<*/**ალ-უნ-ე**).

ბსზ. ლშხ. **სამარ-ალ-უნ-ე** < ბზ. **სამარ-წ-უნ-ე**, ბქვ. **სამარ-ალ-ნ-ე** „ამზადებინებს“, ლშხ. **საჰმ-ალ-უნ-ე** — ბზ. **საჰმწ-უნ-ე** „ათიბვინებს“, ლნტ. **სახატაჟ-ალ-ნ-ე** — ბზ. **სახატაჟ-წ-უნ-ე** „ახატვინებს“.

-ალ/ალ ობიექტის სიმრავლის, ან მოქმედების ჩვეულებრივობის მაჩვენებელია, **-უნ** კი შეიძლება ორჯერ გვხვდებოდეს ხანდახან (თოფურია, 1967, 231), (შდრ. ადილური) (როგავა, 1954, 257).

სვანურის **-ალ/ალ** შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურისავე მრავლობითის **ალ/არ** მაწარმოებელს.

ამრიგად, ქართველურ ენათა ჩვენებით, კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსები და მრავლობითის ფორმანტები მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებენ.

აფხაზურში კაუზატივის კატეგორია იწარმოება **რ-** პრეფიქსით.

აფხაზურში აღნიშნული **რ-** პრეფიქსი ზოგჯერ მასდარშიც გვხვდება: **არჟირა** „სმევა“, **არტარა** „დასმა“...

ქართულშიც, განსხვავებით წარმოქმნის სხვა კატეგორიათაგან, კაუზატივის ნიშანი შეიძლება ზმნას მასდარშიც გადაჰყვეს: **გაკეთებინება, მოსპობინება**. ეს ფაქტი ადასტურებს კაუზატივის კატეგორიის განსაკუთრებულ სიტყვაწარმოებით უნარს, წარმოქმნის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით.

აფხაზურში კაუზატივის წარმოებისას ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითში და ირიბი ობიექტის ნიშანი.

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია **რ-** პრეფიქსი: **ირიბემატ** „მათ ის (ნ.) დაინახეს“. იგივე **რ-** პრეფიქსი გამოყენებულია ირიბი ობიექტის ნიშნად იმავე პირსა და რიცხვში: **ირგსთემატ** „მე მათ ის (ნ.) მივეცი“.

კაუზატივის **რ-** პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და ამავე პირის ირიბი ობიექტის **რ-** ნიშანი გადაკეთდება **დ-**დ (თუმცა შეიძლება **რ-**დვე დარჩეს (უსლარი, 1887, 62). **სდგგრტიემატ < *სგრგრტიემატ** „მე მათ დამსვეს“, **ღრდგგრომატ < *ირგრგრომატ** „ისინი მათ მათ ანახვებენ“.

კაუზატივის ნიშანთან III პირის მრავლობითი რიცხვის **რ-** ნიშნის **დ-**დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი (უსლარი, 1887, 62).

ნ. მარი (მარი, 1925) გამოთქვამს ვარაუდს აფხაზური ზმნის კაუზატივის მაწარმოებელი **რ-** ფორმანტის კავშირის შესახებ ბასკურ და სვანურ მრავლობითის ნიშანთან; ამ მოვლენის დამადასტურებელი ფაქტები ქ. ლომთათიძეს აფხაზურის ნიადაგზე უფრო თვალსაჩინოდ მიაჩნია: „**-რა** გვხვდება კრებითი მრავლობითის მაწარმოებლად, III პირის მრავლობითის ნიშნად“ (ლომთათიძე, 1945, 93).

ქ. ლომთათიძე თვლის, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**რ > დ**) მოვებოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი **რ-**ს თავმოყრას კარგად იგუებს: **არგრჰარა** „შეშინება“, **დგსგრგრჰაჟემატ** „მე მათ ვაშინებ“... ეს ორი აფიქსი, ქ. ლომთათიძის აზრით, მომდინარეობს ერთი საერთო ოდენობიდან; სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი მათი განსხვავება. კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი **დ-** შეიძლება

უკავშირდებოდეს სათანადო „**ღარა**“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამოორიციხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის **ღ-** ნიშანსაც.

ეს მოვლენა აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. **ჟარა-ჟ** (შენ, მკ.), **სარა-ს** (მე).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც (როგავა, 1966, 9-12).

აბაზურში ერთი თავისებურებაა: თუ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კაუზატივში სამპირიანი გახდება, ორმაგად იქნება მასში გამოხატული კაუზატივის შინაარსი და, აფხაზურისაგან განსხვავებით, ზმნაში იქნება კაუზატივის ორი პრეფიქსი: **დღღგარგვიზიაზედა** „ის მას მათგან შეეშინებინა რა“... **დღღგარგცატ** „მათ იგი მან გააგზავნინა“ (ეს ადილეურის გავლენაა) (ლომთათიძე, 1944, 130; ლომთათიძე, 1954, §36).

ამრიგად, აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის **რ-** პრეფიქსი გენეტურ კავშირშია ამავე ენაში არსებულ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ **რ-** ნიშანთან.

ადილეურშიც კაუზატივის კატეგორიას **ღშ- // ღა-** პრეფიქსი აწარმოებს: **სწ არ სშაშთ** „მე ის მიმყავს“, **სწ არ ეწღწაშთ** „მე ვაიძულებ მას წაიყვანოს იგი“ (როგავა, 1966, 257).

ადილეურს ახასიათებს კაუზატივის ორმაგი წარმოება (შდრ. სვანური) (თოფურია, 1967).

ადილეური ენის კაუზატივის **ღშ**, შესაძლოა, ამავე ენაში არსებული სახელის მრავლობითობის **-წწ** სუფიქსს უკავშირდებოდეს.

უბიხურში კაუზატივს აწარმოებს **ღგ-, ღა-, გ-** ფორმანტები, ამათგან **ღგ-** გამოიყენება მხოლოდობით რიცხვსა და უარყოფით ფორმებში, **ღა-** — პირდაპირი ობიექტის ფორმებთან მრავლობითში, **გ-** კი სუბიექტის III პირის ფორმებთან მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში, აგრეთვე სუბ-ის II პირის ფორმებთან მრავლობით რიცხვში (კუმახოვი, 1967, 699).

ეგევე თანხმოვნითი **ღ-** (**ღო-ღაუ**) ელემენტი გვხვდება აგრეთვე უბიხურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში

(კუმახოვი, 1967, 694, 695). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენაში მრავლობითის დამოუკიდებელი აფიქსები არ მოიპოვება და მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება ერგატივის, კუთვნილებით და ჩვენებით აფიქსთა ხმარების ურთიერთდაპირისპირებით: **ჩა-ნ** „ცხენმა“, **ჩა-ნა** „ცხენები“, **სა-ჩა** „ჩემი ცხენი“, **სა-ჩა** „ჩემი ცხენები“ (კუმახოვი, 1967, 624).

ამრიგად, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ, ქართველურისა და აფხაზურ-ადიღური ენების მონაცემთა მიხედვით, კაუზატივის ნიშნები გენეტურ კავშირშია მრავლობითობის ნიშნებთან.

ლიტერატურა

გეურქოვა, 1972 — ე. გეურქოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1972.

ერთელიშვილი, 1965 — ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხი-სათვის ქართულში; თსუ შრომები, ტ. 114. თბილისი, 1965.

ვეშაბიძე, 1970 — ი. ვეშაბიძე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში, თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1970.

თაყაიშვილი, 1974 — ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თბილისი, 1974.

თოფურია, 1942 — ვ. თოფურია, III ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №9, 1942.

თოფურია, 1947 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან, IV, თსუ შრომები, XXXB–XXXIB, თბილისი, 1947.

თოფურია, 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, თბილისი, 1967.

იმნაიშვილი, 1970 — ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული, X, თბილისი, 1970.

ლომთათიძე, 1945 — ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №1, თბილისი, 1945.

ლომთათიძე, 1954 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპან-თური დიალექტი, თბილისი, 1944.

ლომთათიძე, 1954 — ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954.

მაკალათია, 1970 — ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა, ნაწ. I, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1970.

მაჭავარიანი, 1959 — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი, 1959.

მაჭავარიანი, 1977 — ნ. მაჭავარიანი, **Vგ/-ავ, -ივ, -ევ, -ოვ** დაბოლოება ქართულ ტოპონიმებში, წაკითხულია მოხსენებად თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე 1977 წლის 28 აპრილს.

როგავა, 1945 — გ. როგავა, აორისტიკა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის **ევ** სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, № 8, თბილისი, 1945.

როგავა, 1962 — გ. როგავა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. XIII, თბილისი, 1962.

ქავთარაძე, 1964 — ი. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იკე, ტ. XIV, თბილისი, 1964.

შანიძე, 1941 — აკ. შანიძე, **-ევ** კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, თბილისი, 1941.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

შანიძე, 1967 — აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1967.

ჩიქობავა, 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. XI, თბილისი, 1959.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანტურის გრამატიკური ანალოზი, თბილისი, 1936.

ჭინჭარაული, 1960 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.

კუმახოვი, 1967 — М. А. Кумахов, Убихский язык, языки народов СССР, т. IV, Москва, 1967.

მარი, 1925 — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.

როგავა, 1954 — Г. В. Рогава, К вопросу о генезисе аффикса третьего лица в абхазском и древнегрузинском языках. Институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулия, т. XXV, Сухуми, 1954.

როგავა, კერაშევა, 1966 — Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар – Майкоп, 1966.

უსლარი, 1887 — П. Услар, Этнография Кавказа, абхазский язык, Тифлис, 1887.

Н. М. Мачавариანი

Аффиксы категории каузатива в грузинском и абхазском языках

1. В грузинском и абхазском языках вместе с органическим каузативом существует и его описательная форма, которая, однако, малопродуктивна.

2. В статье высказывается мнение, согласно которому форманты органического каузатива выявляют генетическую общность с формантами множественности в этих языках, что подтверждается и данными других родственных языков.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, №1, თბილისი, 1987.

აფხაზური — ალაღარა „(შიგ) გარევა, შესვლა“ ქართული „ლაღავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის

აფხაზურ ენაში დასტურდება მასდარი „**ალაღარა**“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „(შიგ) გარევა, შერევა, შესვლა“...

1. ამაწურა **სალაღეღტ** „სამსახურში შევედი“.

2. აძგას კულდრე ამშეზნ ეიქია **იალაღოღტ** „მდინარე კოდორი შავ ზღვას ერთვის“.

3. აწიგმდ აღუ **იალაღომ** „ლურსმანი ფიცარში არ გადის“.

აღნიშნულ ზმნებში ქ. ლომთათიძე გამოყოფს **ლა^აგ^ა** „შიგ“, „შორის“ ლოკალურ პრევერბს, ანუ ფუძე-წინდებულს, რომელიც მიმართულების ლოკალიზაციის მნიშვნელობის მატარებელია ზმნაში, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული შინაარსით.

კონკრეტულია:

ათიართა **დ-ა-ლა-ღეღტ** — „სათიბში შევიდა“.

აქ ლოკალურ პრევერბთან ერთად ზმნაში წარმოჩენილია III პირის ნივთთა კატეგორიის **ა-** პრეფიქსი.

აბსტრაქტულია:

დცონ ჟგს აკრაამთა, აბღ^აგჟ-რა **დგ-ლა-ღანგ** — „მიდიოდა ასე დიდხანს ჟვეროში (ჩაფლული, გავლით).“

ამ მაგალითში არ არის ნაგულისხმევი კონკრეტული პირი (ობიექტისა), აღარც მისი ექსპონენტი (**ა-**) ჩანს, ზმნა განზოგადებული, არაკონკრეტული შინაარსისაა.

აღნიშნულ, აფხაზურ **ალაღარა** „შიგ (რალაცაში) შესვლა, შერევა“ ზმნის საწყისთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართულში არსებულმა მსგავსი ბგერითი შედგენილობის მქონე **„შე-ვლაღე“** ზმნის „**ლაღვა**“ საწყისმა, რომელიც „საქონლის გარეკვას, გადენას“ ნიშნავს და ზოგადად „შიგ (რაიმეში), შემოზღუდულ სივრცეში „შედენასაც“ შეიძლება აღნიშნავდეს: „საქონელი გომურში შევლაღეს“...

ძველ ქართულში „**ლაღვა**“ საწყისს აქვს განსხვავებული მნიშვნელობაც, სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „**ლაღვა**“ არის „**რისხვის**“ სამთაგან ერთ-ერთი სახეობა: „**ლაღვა** — სწორთათვის (თანატოლი) ითქმის, რისხვა — უდარესთათვის (უფროსი), დრტვინვა — უდარესთათვის (უმცროსი)“...

საბასთან გვხვდება აგრეთვე: „**მოლაღე** — მორეკე, გინა ჯავრიანი“, ე. ი. „კაცი, რომელიც რაღაცას მიერეკება“.

ქართული ენის იმერულ-რაჭულ დიალექტებში „**ლაღვა**“ (< **აღვა**) — „ცეცხლზე, ალზე რისამე გადავლებას, გატრუსვას“ ნიშნავს: „კარგათ მოლაღე ი ქათამი, ბუნდლა არ შერჩეს“...

ვ. ბერიძე თავის „იმერულ და რაჭულ თქმათა ლექსიკონში **„ლაღვას“ „აღვასაგან“** მიღებულად თვლის და „**აღს**“ უკავშირებს, რაც ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა „მოტარება, ზედ გადატარება-გადავლებას“ უნდა უკავშირდებოდეს.

ამრიგად, აღნიშნული „**ლაღავს**“ ზმნის „**ლაღვა**“ საწყისი ძველსა და ახალ ქართულში და დიალექტებში ძირითადად გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. შერეკვა, 2. ტუქსვა, 3. ზედ გადატარება, გადავლება...

ფიქრობთ, აღნიშნულ მნიშვნელობათაგან „შერეკვა“ და „ზედ გადატარება, გადავლება“ შორს არ უნდა იდგეს ქართული „**ვალს**“ (დადის) ზმნის მნიშვნელობისაგან, რომლის ამოსავალი ფორმა ძველ ქართულში იყო „**სღვა**“ (სიარული), ამ სიტყვაში გამოიყოფა „**ლ**“ ძირეული ელემენტი, რომელსაც საერთო უნდა ჰქონდეს აფხაზურში დადასტურებულ **ლა^გ** — ლოკალური პრევერბის მნიშვნელობასთან, რომელიც „შიგ (რაიმეში) შესვლა, შერეკვას“ აღნიშნავს.

ლიტერატურა

ბერიძე, 1986 — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

ლომათაძე, 1982 — ქ. ლომათაძე, ლოკალურ პრევერბთა

ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

საბა, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ს, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991.

Nana Machavariani

Towards the interrelation of Apkhazian *alalara* ‘mixing in, entering/going in’ and Georgian *lalavs*

Summary

In Apkhazian there is attest the masdar *alalara*. Its one of the meanings is /mixing in, entering/going in’....

amacura salalejt – ‘I went in an office’;

With regard the Apkhazian *alalara* ‘mixing in, entering/ going in’, my attention was focused on an infinitive form *lalva* of the Georgian verb *ševlale* with similar sound composition which denotes ‘cattle driving/ herding’ and generally, it might denote ‘driving/herding the cattle in..., in a walled space’: ‘*The cattle has been driven/herded in a stall*’...

The infinitive *lalva* of the verb *lalavs* is basically used with the following meanings in Old, New Georgian as well as in dialects: 1. driving/herding in; 2. scolding, chiding; 3. leading over...

I believe, of the given meanings ‘driving/herding in’ and ‘leading over’ is close to the meaning of the Georgian *val* ‘walking’ verb, which original form was *svla* ‘walking’ in Old Georgian. In the word a root element *-l-* is singled out which might have common with the meaning of Apkhazian *-la-* local preverb which denotes ‘mixing in, entering/going in’.

არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998.

ზმნის საურთიერთო კატეგორიის -აბა მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორია-თა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

ქართველურ ენებს საურთიერთო კატეგორია ორგანულად არ ეწარმოება, გადმოცემულია აღწერითად. მეგრულში ვხვდებით საურთიერთო კატეგორიის გამოხატვის „ნაწილობრივ აღწერით“ შემთხვევებს.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

აფხაზურში ზმნის საურთიერთო კატეგორიის არსებობა პირველად შენიშნა პ. უსლარმა (უსლარი, 1887, 64-66).

აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში საურთიერთო კატეგორიას გამოყოფს ყ. დჟუმეზილი (დჟუმეზილი, 1932, 203-206).

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადიღურ ენებში განიხილავს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე, 1960/61).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში **ა(ა), ა(ა)-ც, ა(ა)-ბა**, ადიღურში **ზწ, ზწ-დწ, ზწ-რწ (||ზა)** უბიხურში, **ზწ, ზწ-ჯი, ზწ (ლა)**...

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს **აა-** პრეფიქსის **ც-** და **ბა-** ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (-**ა/ეა**-) და საურთიერთო-საორმხრივო (**ა-ეაბა-**) ქვეკატეგორიები...

ც- პრეფიქსი აფხაზურში სათანაო შინაარსს დამოუკიდებლადაც გამოხატავს: სარა ლარა **სლგცჟბ** — „მე მას (ქ.) ვახლავარ“; **დიცკაშომატ** — „ის (ად.) მასთან (კ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: **ილგცგჟომატ** — „მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ“; საურთიერთო-სათანაო **ააა**- პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქ-

ცევა: **ილგცსქოძტ** — „მე მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ > **ეცაჰქოძტ** — „ჩვენ მას ერთად ვჭამთ“, ე. ი. ირიბი ობექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობითში დასმულ სუბიექტის პირს (ლომთათიძე, 1960/61, 279).

საურთიერთო კატეგორიის წარმოების პრინციპი აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში ერთნაირია.

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით; ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **აბა-** პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აფ-** საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამუკიდებლად, **ბა-** პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

ბა- პრეფიქსს პ. უსლარი ადგილის ზმნისართებში გამოვლენილ **ბა-** ელემენტს უკავშირებს (უსლარი, 1887, 64-66).

ჟ. დდუმეზილს **ბა-** პრეფიქსი რიცხვით სახელებში შემავალ ელემენტად მიაჩნია (დდუმეზილი, 1932, 203-206).

ზმნურ წინსართებში განიხილავს **აბა-** პრეფიქსს ა. გენკო (გენკო, 1955, 171).

ქ. ლომთათიძე გამოთქვამს ვარაუდს **ბა-** ელემენტის ერგატივის ნიშნისეულ წარმომავლობაზე (ლომთათიძე, 1960/61, 288).

აღნიშნული მოსაზრებანი ერთიმეორეს არ გამორიცხავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ **ბა-** ელემენტი ადგილის ზმნისართული წარმოშობისაა, შემდეგ გამოყენებულ იქნა რიცხვით სახელებშიც.

აბა-/ეაბა- პრეფიქსი, განსხვავებით **აფ-/ეაფ** და **აფც/ეაფც-** პრეფიქსისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

აფ-/ეაფ- პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა ან წინდებულთა დართვას იწვევს; **აბა-** პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს. მარტივ ზმნებში თითქოს **ბა-** ელემენტს აქვს დაკისრებული ფუძის გამართულებლის ფუნქცია. ეს ფაქტი, შესაძლოა, **ბა-** ელემენტის ზმნისართულ წარმოშობაზე მიუთითებდეს.

როთულ **აბა**- პრეფიქსს გარკვეულ შემთხვევაში (თუკი მასში გაერთიანებული იქნება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები) შეუძლია ზმნა გარდაუვლად აქციოს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **დგრდგრუნედტ** — „ისინი მას იცნობენ“, **ეაბადგრუნედტ** — „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **ილასჰიედტ** — „მე მას (ქ.) ის ვუთხარი“, **ეაბგრჰიედტ** — „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში: **დღგრბოდტ** — „ის (ქ.) მას (აღ.) ხედავს“, **ეაბარბოდტ** — „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის **აა-/ეა** და საურთიერთო-სათანაო ქვეკატეგორიის **ააა-/ეეა**- პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებული არიან გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზური ენის ზმნაში მუდამ ძირის წინ გვხვდება.

ააბა- პრეფიქსი აფხაზურში რთულფუძიან ზმნებში ფუძეშია ჩასმული, ხოლო ტაპანთურში **ააბა//ბა** პრეფიქსი ასეთ შემთხვევებშიც ფუძის წინ დაისმის: **ათაგარა** — „წაჯიკაება“, **აბათაგარა** — „ურთიერთ წაჯიკაება“ (ქ. ლომთათიძე, 1944. გვ; 191).

ფუძეში **ააბა**- პრეფიქსი გვხვდება სახეცვლილი სახით: **ააბა>ეაბა>იბა>ბა**...

ააბა- პრეფიქსს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ახასიათებდეს ინფიქსაცია, როდესაც იგი შეიცავს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, ან სუბიექტსა და ირიბ ობიექტს, ხოლო თუ **ააბა**- პრეფიქსი

აერთიანებს პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს, იგი ველარ უნდა ახერხებდეს ზმნის ფუძის განკვეთას (გამომდინარე იქიდან, რომ ზმნის ფუძეს განკვეთს ხოლმე გარდამავალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშანი).

ჩვენ აზრით, შესაძლოა **აბა-** რთული პრეფიქსის **ბა-** ელემენტი **ჰა** „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყვა ზმნაში (**ჰ** დაიკარგა ბაგმიერი **ბ-**ს მეზობლობაში). შდრ. ქართული: ერთმანეთი, ერთიმეორე... აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობს საურთიერთო კატეგორიის აღწერითი სახეობის წარმოებაში.

ქ. ლომთათიძე **აბ-** საურთიერთო პრეფიქსის ზმნაზე დართვის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადასტურებს **აბჰ** ელემენტს და ვარაუდობს, რომ **ჰ** შესაძლოა „ორი“ რიცხვითი სახელის **ჰა** ძირი იყოს: **აბჰდგრააა** — ურთიერთგამოცნობა (**აღგრა** — „ცოდნა“) (ლომთათიძე, 1960/61, 278).

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ საშუალება გვძლევა აფხაზური ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგინოთ ***აკგ-ჰგბა-** პრეფიქსი, რომლისგანაც შემდგომში **აბა-** პრეფიქსი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ ***აკგ-ჰგბა-**ში პირველი ნაწილი, ვვარაუდობთ, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო **აკგ** — „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი — **ჰა** „ორი“ რიცხვითი სახელისა..., სადაც **კ** ბგერა უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ხოლო **ჰ** ფონემა ბაგსმიერი **ბ-**ს მეზობლობაში გაუჩინარებულიყო.

წარმოდგენილ მოსაზრებას ხელს უწყობს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

აფხაზურში ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას აქვს ერთი დაბრკოლება; კერძოდ, აფხაზურ ენას ახასიათებს რიცხვით სახელთა დიფერენციაცია ადამიანად: **ჰგჳა** — „ორი ადამიანი“ და ნივთად: **ჰა** „ორი რაღაც(ნ.)“, რაც შესაძლოა გვიანდელი წარმონაქმნი იყოს. თავდაპირველად ადამიანისთვისაც და ნივთისთვისაც ერთი და იგივე

რიცხვითსახელური ფორმა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ქართულშია: „ორი კაცი“, „ორი ცხენი“...

ადილურში საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია იწარმოება რთული **წვ-რწ** პრეფიქსით, სადაც **წვ-** აფხაზური **აფ-** პრეფიქსის, ხოლო **რწ-** აფხაზურის **ბა-** ელემენტის ტოლფარდია (როგავა, კერაშევა, 1966, 171-177).

ისევე, როგორც აფხაზურში, ადილურშიც საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიაში გარდამავალი ზმნა გარკვეულ შემთხვევაში იქცევა გარდაუვლად (თუ ერთმანეთს დაუკავშირდება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები).

უბიხურში საურთიერთო-საორმხრივო მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება ოდენ **წვ-** პრეფიქსი, განსხვავებით აფხაზური და ადილური რთული შედგენილობის **აფბა-** და **წარწ** პრეფიქსებისაგან. ყ. დუშუბაილი უბიხურ **წა-** პრეფიქსს უკავშირებს უბიხურ ზალა-ზალა და აფხაზურ **აკ-აკ-ალ-ას** „თითო-თითო“. შდრ.: აგრეთვე აბაზური: **წაკვ**, „ერთი“ (ნ.), **წაჯივ** — „ერთი“ (ად.).

აღნიშნულთან მიმართებით ანგარიშგასაწევად გვეჩვენება ქართულის **ცალ-ცალ-კე** სიტყვაში **კ** ელემენტის გამოვლენა: **ცალ-ცალი** — სხვადასხვა წყვილის ცალი... **ცალ-ცალკე** — ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თავ-თავისთვის (ქეგლ, 1986, 536) აგრეთვე სიტყვა **„კაკალის“** რაოდენობის განმსაზღვრელად გამოიყენება: **კაკალი** — იგივეა, რაც **მარცვალი**: „ლომის კაკალი“, „მერე მიდი და უყარე კაკალი“ (ქეგლ, 1986, 559) — „ერთი კაკალი სიმინდი აღარ დაგვრჩა“ (სასაუბრო მეტყველებიდან) და სხვ.

აფხაზურ-ადილურის ანალოგიური საურთიერთო კატეგორია ქართველურ ენათაგან ზანურში აქვს გამოყოფილი ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1961).

ზანურში გამოიყოფა **აკო/ო-კო** ზმნური ელემენტები, რომლებიც საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს: **აკიამხანაგეს** — „დაამხანაგდნენ“, **აკიჯიმაღეს** — „დამობილდნენ“, სადაც **კო-** სამიმართებო პრეფიქსია, **ა-**ს სათანაოს ფუნქცია აქვს.

აღნიშნულის გვერდით, ზანურს მოეპოვება შერეული სახის წარმოებაც: ქართულის მსგავსად, ნაწილობრივ აღწერითი: ნაცვალ-

სახელ **ართიანის** „ერთმანეთი“ გამოყენებით და თან აფხაზურ-ადიღურის ანალოგიური **აკო-/ოკო-** პრეფიქსებით მიღებული: ართიანი **აკოცვილეს** „ერთმანეთი დახოცეს“, ართიანი **აკოძირეს** „ერთმანეთი ნახეს“...

ამგვარ მაგალითებში საინტერესოა, რომ **აკო-** პრეფიქსის დართვა აღარ ჰყოფნის ზმნას სათანადო შინაარსის გამოსახატავად და **ართიანი** „ერთმანეთი“ ნაცვალსახელს იხმარს; შესაძლოა **ართიანი** ნაცვალსახელის დართვა ქართულის გავლენითაც აიხსნას.

ქ. ლომთათიძის აზრით, საურთიერო კატეგორიის შერეული ტიპის არსებობა ზანურში იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ეს კატეგორია აქ გვიანდელ წარმონაქმნად ჩაითვალოს (ლომთათიძე, 1961, 213-216).

ძველ ქართულში სათანადო შინაარსი გადმოიცემა „თანა“ წინდებულის დართვით ზმნურ ფუძეზე: ... და ანგელოზნი მისნი თანა-გივიდოდენ თქუნ“ (მცხეთური ხელნაწერი, 1979, 41).

საურთიერთო შინაარსი ძველსა და ახალ ქართულში **ერთმანეთი, ურთიერთი, ერთიმეორე** სიტყვათა საშუალებით გადმოიცემა: „მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს“ (რუსთაველი, 1986, 91) „ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ ვწეწდით და ვიწეწებოდით“ (ჭავჭავაძე, 1984, 75)

ქართულში საურთიერთო კატეგორია სემანტიკურია, მაგრამ თავისი ნიშნებით (რიცხვითი სახელის გამოვლენა, ერგატივის ნიშანი, სუბიექტის მრავლობითი რიცხვით წარმოდგენა) იგი საერთოს ამჟღავნებს აფხაზურ-ადიღური ენების საურთიერთო კატეგორიასთან, რომელიც მორფოლოგიური ნიშნით აისახება ზმნაში.

მეგრულის ჩვენება, ამ მხრივ, ქართულსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის, თითქოს, შუალედურია.

ლიტერატურა

გენკო, 1955 — А. И. Генко. Абазинский язык. Грамматический очерк наречия тапанта. М., 1955.

დუმეზილი, 1931 — G. Dumezil, La Langua des Oubykhs, Paris, 1931.

დუმეზილი, 1932 — G. Dumezil, Etudes comparatives sun les langues caucasiennes du Word – Ouest Morphologie, Paris, 1932.

ლომათიძე, 1944 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი, 1944.

ლომათიძე, 1961 — ქ. ლომთათიძე, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961.

ლომათიძე, 1960/ 61 — ქ. ლომთათიძე, საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკვ, ტ. XII, თბილისი, 1960/1961.

მცხეთური ხელნაწერი, 1979 — მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1979.

როგავა, კერაშევა, 1966 — Г. В. Рогава, З. Н. Керашева, Грамматика Адыгейского языка. Краснодар, Майкоп, 1966.

რუსთაველი, 1986 — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1986.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986.

უსლარი, 1887 — П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. Тифлис, 1887.

ჭავჭავაძე, 1984 — ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984.

Nana Machavariani

**On the Origin of *ajba* – the Relationship Category Marker
of the Verb in Abkazian**

Summary

In Abkhazian the category of relationship of the verb is formed by the prefix **ajba**.

In the Kartvelian languages the category of relationship is organically absent.

In these languages the type of relationship is shown descriptively.

The paper is an attempt to prove that the prefix **ajba** is derived from numeral stems: **ajba** < **akə-yəba** where **aj** is a part of the numeral **ake** – "one", where as **ba** is the last syllable of the numeral meaning "two".

In Georgian the relationship category of the verb is semantic but it reveals certain features common with the morphologically-marked relationship category of the verb in Abkhazian.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, VIII, თბილისი, 1999.

„ჩიტირეკია“ ტიპის სიტყვათა წარმომავლობისათვის

ქართულ ენაში გამოიყოფა სახელთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღეობას უახლოვდება. ასეთებია **ია**-ზე დაბოლოებული სიტყვები: **ნაცარქექია, ბელტიყლაპია, ჩიტირეკია, შარახვეტია, ენატანია, დოყლაპია, კატაპარია, ქვასროლია** და სხვ.

აღნიშნული ტიპის სახელთა შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული:

ა. შანიძის აზრით, **ჭამია, ყლაპია, ქექია** და მისთანანი გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელებთან, რომელსაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-ს** თანხმომავანი მოკვეცილი აქვს: **ბელტიყლაპია < ბელტისყლაპია** (შანიძე, 1973, 583).

ე. ოსიძე მიიჩნევს, რომ „**ნაცარქექიას**“ ტიპის წარმოებაში სახელადი ნაწილი წარმოადგენს შესაბამისი ზმნის პირდაპირ ობიექტს, ხოლო ზმნური ნაწილი ბრძანებითის ფორმით არის წარმოდგენილი; შესაბამისად, თავდაპირველი ფორმა იქნებოდა „**ნაცარი ქექე**“; სადაც „**ქექე**“ ზმნა შეიწყობდა პირდაპირ ობიექტს. მოგვიანებით ზმნას გამოეცალა თავისთავადობა. ეს ორი სიტყვა შეერთდა, სახელად იქცა **-ა** სუფიქსის დახმარებით (ოსიძე, 1957, 197).

მ. მრეელიშვილის ვარაუდით, **ქექია** არის მიმღეობის ფორმა, რომელსაც დაკარგული აქვს მაწარმოებელი **მ-** (**მქექი < ქექი**). ბოლოკიდური **-ა** კი კნინობითობის აღმნიშვნელია. **ნაცარქექია** ტიპის კომპოზიტების პირველი წევრი არის ფუძის სახით წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტი, მეორე წევრი (მიმღეობა) ამოსავლად იყენებს II სერიას. ეს კომპოზიტი მთლიანად სუბიექტს გამოხატავს (მრეელიშვილი, 1957, 180).

ფ. ერთელიშვილი განსხვავებულ თვალსაზრისს გვაწვდის: „**ნაცარქექია**“ ტიპის ფორმებს პირობითად ეწოდება მიმღეობა. იგი შედგება სახელისა და ზმნისაგან. ზმნა ხოლმეობითის მწკრივშია, რომ-

ლის მაწარმოებელია -**ი** სუფიქსი: **ქეჟის, ჭამის, ყლაპის** (შდრ.: **წე-რის, დაწერის...**), -**ა** არის მიმღეობის მაწარმოებელი ელემენტი. იგი ისეთივეა, როგორც საწყისის -**ა**. სახელადი ნაწილი სახელობით ბრუნვაშია, რადგან პირდაპირი დამატება (სახელადი ნაწილი) II სერიაში სახელობითშია: **ჭამის ყველი > „ყველიჭამია“** (ერთელიშვილი, 1959, 257).

ო. მიქიაშვილს მიაჩნია, რომ **„ნაცარქეჟია“** ტიპის სახელებში I კომპონენტი მასდარია, ბოლო -**ა** არის მასდართა მაწარმოებელი ელემენტი, ხოლო -**ი** უბრალოდ ხმოვანგასაყარია: **ქეჟია < ქეჟ-ა-ი-ა** (მიქიაშვილი, 1985, 104-105).

ო. მიქიაშვილი გამორიცხავს კომპოზიტის II ნაწილის ხოლმეობითისაგან მომდინარეობას და არგუმენტად ასახელებს თემის ნიშნის გამოვლენას ზოგიერთ ასეთი ტიპის წარმოებაში: **მურიცხებია, კვერცხიდებია** (მიქიაშვილი, 1985, 102).

ვ. თოფურია თვლის, რომ სუფიქსი -**ია** მარტივი არ არის და სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია თანხმოვანი (კერძოდ. -**ნ** სონანტი) ხმოვანთა შორის (თოფურია, 1979, 102).

ვანიხილავს რა აღნიშნული ტიპის სახელებს ა. არაბული, აღნიშნავს, რომ -**ია** დაბოლოება უნდა დაიშალოს, -**ი** და -**ა** სხვადასხვა გრამატიკულ ოდენობებს წარმოადგენს (არაბული, 1997, 81).

ჩვენი აზრით, აღნიშნული -**ია** დაბოლოებიანი სახელები მიღებული უნდა იყოს შემდეგნაირად: **ბელტი(ს) ყლაპ(გ)-ი-ს ა(რს)**, სადაც პირველი კომპონენტი ბელტი არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი (რასაც აკ. შანიძე ვარაუდობს) (შანიძე, 1973, 583), მას მოსდევს საწყისი **„ყლაპავს“** ზმნისა „ყლაპვა“, რომელიც აგრეთვე ნათესაობით ბრუნვაშია (**გ** თანხმოვნის ჩავარდნით); შემდეგ არის -**ა** ელემენტი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს **ყოფნა** ზმნის III პირის **არს (არის)** ფორმის ნაშთს.

სავარაუდოა, რომ აღნიშნული ტიპის სახელები წარმოადგენს ყოფილ შედგენილ შემასმენელს, რომელიც შემდგომში იქცა ამა თუ იმ სუბიექტის საყვარელი, ან ხშირი საქმიანობის, აგრეთვე რავგარობის ამსახველ მიმღეობის მსგავს მორფოლოგიურ ოდენობად.

სიტყვაში „**ნაცარქექია**“ პირველი კომპონენტი, ფუძეკუმშვადი სახელი, შეუკუმშავია, მაგრამ დასტურდება ამ სიტყვის შეკუმშული სახეობაც: „**ნაცრიქქია**“ (მიქიაშვილი, 1985, 106), რაც ჩვენი აზრით, აქ მიცემით ბრუნვას გამორიცხავს. თუკი აღნიშნული ტიპის სახელებში პირველი კომპონენტი ნათესაობითში კი არაა, მიცემითშია, როგორც ამას ვარაუდობენ ეკ. ოსიძე და მზ. მრეველიშვილი, მაშინ რაღაა „**ჩიტირეკია**“; „**ბელტიყლაპაში**“ გამოვლენილი -**ი** კომპონენტი?

თუ დავეთანხმებით ფ. ერთელიშვილის მოსაზრებას, ამ ტიპის სახელებში სახელადი ნაწილი ყველგან სახელობითშია, ხოლო ზმნური კი ხოლმეობითში: **ქექის**, **ჭამის**... ეს ვარაუდი მით უფრო სარწმუნოდ გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სახელები სემანტიკურად სუბიექტს ახასიათებენ ხშირი, საყვარელი საქმიანობის მიხედვით (თუმცა, ვარაუდი სახელობითის შესახებ არასწორად გვეჩვენება).

ჩვენი აზრით, ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მაშინ, როდესაც მოიშალა ხოლმეობითის მწკრივი, შესაძლოა, „**ჩიტირეკია**“ ტიპის სახელთა მეორე ელემენტი გააზრიანდა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საწყისად, იმ საკუთარ სახელთა ანალოგიით, რომლებიც ნათესაობითში დასმულ სახელებს წარმოადგენს, მაგ.: **მთვარ-ის-ა**, **მზ-ის-ა**... და დაირთო **არს** (არის) მეშველი ზმნა, რომლის ხმოვნითი ნაწილი შემდგომში ერთგვარ მასუბსტანტივებელ საშუალებად იქცა ასეთი ტიპის სახელთათვის: **ბელტის ყლაპ(ვ)-ის არს (არის)**, ანუ „ეს კაცი, სუბიექტი, არის ბელტის მყლაპავი“.

ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოა ქ. ლომთათიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **მამა-ილა**, **მამ-ინა**, **ბედ-ინას** მსგავს სახელთა ბოლოკიდური **-ილა**, **-ინა** იდენტური უნდა იყოს ნათესაობითის ფუძეზე დაყრდნობილი არსებითი სახელების დაბოლოებისა, როგორც ბიც არის: **მამისა**, **ბედისა**.

აღნიშნულ ფორმათა ანალიზის საფუძველზე, ქ. ლომთათიძე ერთი წყების მიმღობებში **-ია** დაბოლოების ამოსავალი ფუნქციის საკითხს სვამს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსად თვლის ფონეტიკური ცვლილებების საფუძველზე დასავლურ ქართულ არე-

აღწილი გავრცელებულ -ია და -გა დაბოლოებიან გვარის სახელთა წარმოების ისტორიის შესწავლას (ლომთათიძე, 1987, 71-73).

ჩვენი აზრით, სახელთა ერთ წყებაში, როგორებიც არის: **ბე-დისა, მთვარისა, მზისა**, ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ელემენტი შენარჩუნდა; ნაწილში კი, როგორებიც არის: **მამია, ფიქრია, ღვინია -ს-** თანხმონი დაიკარგა ხმონთანა შორის, ორი განსხვავებული მორფოლოგიური ოდენობის გასაყარზე.

ჩამოთვლილი ტიპის სახელებშიც, შესაძლოა, ბოლო -ა ელემენტი ზმნური წარმოშობისა იყოს.

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც აღნიშნულმა -ა კომპონენტმა შეიძინა გარკვეული მასუბსტანტივებელი მორფოლოგიური ოდენობის ფუნქცია.

საკითხის დასმის წესით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს ამოსავლად კნინობითობის, საწყისთა, აგრეთვე გვარ-სახელთა მაწარმოებელ -ა სუფიქსსაც, თუმცა, ეს საკითხი შემდგომ ღრმა დაკვირვებასა და ისტორიული ვითარების გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს.

ლიტერატურა

არაბული, 1997 — ა. არაბული, სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1997.

ერთელიშვილი, 1959 — ფ. ერთელიშვილი, მიმდევობის ერთი ტიპი ქართულში, თსუ შრ., ტ. 71, 1959.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1979.

ლომთათიძე, 1987 — ქ. ლომთათიძე, ნათესაობითის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში, იკე, ტ. XXVI, 1987.

მიქიაშვილი, 1985 — ო. მიქიაშვილი, „ნაცარქექიას“ ტიპის სახელთა წარმოებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბილისი, 1985.

მრეველიშვილი, 1957 — მ. მრეველიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თსუ შრ., ტ. 67, 1957.

ოსიძე, 1957 — ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრ., ტ. 67, 1957.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

Н. М. Мачавариани

О происхождении имён типа “čit’irek’ia”

Резюме

В Грузинском языке выделяется тип имён сходных по содержанию с наречиями. Эти имена оканчиваются на **-ia**.

Данный класс имён в научной литературе интерпретируется по разному.

Мы считаем, что эти имена исторически являются составными сказуемыми: **čit’irek’ia < čit’is rek’is ars**, где первый компонент – именная часть стоял в генитиве, вторая часть – масдар, также была представлена формой генитива. Можно предположить, что исторически эти формы являются пермансивом, который в настоящее время в грузинском утрачен. Третий компонент представляет собой след глагола “**ღორნა**” – “**быть**”.

„ფონეტიკა და ნორმა“, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2000.

„ღვინო“ ლექსემის ეტიმოლოგიის ცდა

„ღვინო“ ლექსემის შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს ჩვენში თუ უცხოეთში. მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან იმის თაობაზე, კავკასიიდან გავიდა მთელ მსოფლიოში ეს ტერმინი, თუ პირიქით, ევროპიდან შემოვიდა კავკასიაში.

გ. მელიქიშვილი თვლის, რომ „ღვინო“ სიტყვა თუკი ნასესხებია ქართულში, რთულია მისი სესხების გზებისა და პირობების განსაზღვრა. მკვლევარს უეჭველად მიაჩნია, რომ ამავე ძირის სიტყვაა ქართული **ვენახი** (მეგრ.ჭან. **ბინეხი**) მისი კავშირი ღვინის აღმნიშვნელ ინდო-ევროპულ სიტყვებთან — აგრეთვე აშკარაა (მელიქიშვილი, 1999, 214-215).

„ვენახი“ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ძველ ქართულში ვაზის ერთი ძირის აღმნიშვნელი ტერმინი იყო (ჯავახიშვილი, 1935, 290). არნ. ჩიქობავას „ვენახი“ რთულ ფუძედ მიაჩნია და მეორე ფუძე (-აჯ) შეთვისებულად სხვა ენათაგან. ამ აზრს იმიტომ ავითარებს მკვლევარი, რომ ვენახს დეტერმინანტი სუფიქსი არ აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, „ძნელი იქნებოდა ვინმეს ემტიცივებინა, რასაც ფუძის დეტერმინანტი არა აქვს, ყველაფერი ნასესხებიაო“ (ჩიქობავა, 1942, 124).

მარის აზრით, აფხ. ავე- **ve(-wi)** „ღვინო, ძვ. ქართ. **ღვინოდ gvinoi** ახ. ქართ. **ღვინო gvin-o**, ჭან. **ღვინი gvin-i**, დიალ. **ღინი gini** დეზასპირაციით **g > g**. სომხური **ginie** (დეზასპირაცია სვანურისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სვანურში ღვინალ გვინ-ალ სუფთა ქართველური ფორმა დასტურდება, როგორც ჩანს, სვანურმა ეს სიტყვა რომელიღაც ქართველური დიალექტიდან ისესხა. თავის მხრივ, ძველ ქართულში შემოინახა ძირის თავკიდური თანხმოვნის დასუსტებით მიღებული სახესხვაობა; **ვენახი venaxi** (<***ywen-ax-i**) „ყურძენი, ვაზი, ვენახი“), იგივე სიტყვაა, რაც **wen** (<***ywen**) „ღვინო“ (მარი, 1912, 14).

სხვა ადგილას მარი წერს: „სიტყვა **ღვინო** მთელი ევროპისა და წინა აზიის ხალხებს იაფეტური ენებიდან მიუთვისებიათ“ (მარი, 1933, 19, 72)

გამყრელიძე-ივანოვი ვალდე, გეორგიევ, მერლინგერზე და-
ყრდნობით, ავითარებენ მოსაზრებას, რომ „ვენახი“, „ღვინო“
სიტყვებში შესაძლოა გამოიყენებოდეს საერთო ინდო-ევროპული
*უეი-უი (უეი-უი) ძირი, რომელიც შემოხვევას გამოხატავს. აღნიშ-
ნული ძირის გამოყენება ასევე მოსალოდნელია სხვა ხვიარა მცენარე-
ების სახელწოდებებშიც, მისი (აღნიშნული ძირის) სემანტიკის გა-
თვლისწინებით.

მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის მაღალი დო-
ნისა ძველ კავკასიაში, ამ ცნებათა გამომხატველი ძირეული ქართვე-
ლური სიტყვები, რომლებიც მეღვინეობაში გამოიყენებოდა, განდევ-
ნილი აღმოჩნდა სხვა ენათაგან ნასესხები იმავე მნიშვნელობის ტერ-
მინებით, რომლებიც შესაბამის ადგილობრივ სიტყვებს ჩაენაცვლა.

გვინო ღვინო და ***უენახი** ტერმინთა გვერდით ასეთ უცხოე-
ნოვან ახალწარმოებებად გვევლინება ქართ.: **ქურზენ** „ყურძე-
ნი“ (მდრ. ურარტ. **გიზულდინი** „ვენახი“ და ასევე, შეიძლება ქართ.
ვაზ „ვაზი“ (მდრ. სომხ. **ვაზ** „ვაზი“ არანათელი ეტიმოლოგიისა, ასე-
ვე ირანული ***რაზ**, სპარს. **რაზ** (გამყრელიძე, ივანოვი, 1984, 649-
650-651).

კლიმოვი თვლის, რომ ქართ. **ქვინო** „ღვინო“, მეგრ. **ქვინ**,
ღვინ, ჭან. **ყvin**, **დ(ვ)ინ** ძირი ინდოევროპული *უიონ ძირიდან ნა-
სესხობის მიუხედავად, ქართულ-ზანური ერთობის პერიოდს განე-
კუთვნება და შედის ინდოევროპეიზმების წრეში. აქ აისახება მიწათ-
მოქმედების გვიანი ეტაპი. სვან. **ყvinel** ქართულიდან არის ნასესხები.
საინტერესოა თავკიდური **ყ(ღ)** ქართველურ ენებში. ზანური ძირი -
გამარტივებულია (კლიმოვი, 1964, 203-204).

სათანადო მსჯელობის საფუძველზე გ. წერეთელი ასკვნის, რომ
„ღვინო ქართულიდან არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში“ (წე-
რეთელი, 1947, 15-16).

„საერთო ენობრივი ერთიანობის დონეზე ყურძნის აღმნიშვნე-
ლი ლექსემის პოზიტივობა უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ პროტოკავ-
კასიელები პირველნი იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში, ვინც ყურძნის
კულტურა მოაშინაურა, რაზეც მევენახეობასთან (მეღვინეობასთან)

დაკავშირებული სხვა ტერმინებიც მიუთითებენ. (შდრ. აფხ. ა-უე(ნ) ს.-ქართ. უინ. უი- (აგ-): ს.-ნახ. ვენ „ღვინო“ (ჩუხუა, 2003, 360).

აღნიშნული ტერმინის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სიტყვა **ღვინო** იბერიულ-კავკასიური ენების ერთობის დროინდელი ისეთი ძველთაძველი კუთვნილებაა, რომ ამ ენათა შორის ლექსემის ურთიერთნასესხობაზე მსჯელობა ფრიად გაძნელებულია.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში **ღვინო** ლექსემა ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებების გამო „გამონაკლისთა“ რიცხვშია მოქცეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „**ღვინო**“ სიტყვაში თავკიდური უკანასასიმეირი მყდერი თანხმოვანი **ღ**-, განვითარებულია **ვ**- სონანტის წინ (თოფურია, 1979, 58).

„ღვინო“ ლექსემა ერთადერთი **ო**- ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვაა ქართულში, რომელსაც ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში ბოლო ხმოვანი ეკვეცება.

საყოველთაოდაა ცნობილი ქართველი ერის უდიდესი როლის შესახებ მევენახეობა-მეღვინეობის საქმეში, რის დასტურადაც, ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების სიუხვის გარდა, მატერიალური კულტურის არაერთი ნიმუშიც ღალადებს. ძნელად თუ მოიპოვება ჩვენში ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელსაც ვაზისა თუ ყურძნის გამოსახულებიანი ჩუქურთმა არ ამშვენებს.

ვფიქრობთ, ესოდენ არქაულ სამიწათმოქმედო კულტურას, როგორცაა ვაზი / ვენახი, შეუძლებელია არ ჰქონოდა ქართული სახელწოდება.

ვვარაუდობთ, რომ არქაულ ქართულში „**ღვინო**“ შესაძლოა რქმეოდა ვაზს, ***(ღ)ვინახი** / ***(ღ)ვენახი** (მეგრ.: **ბინეხი**) კი ვაზის სიმრავლეს აღნიშნავდა, თუმცა ენის განვითარების გარკვეულ მონაკვეთში „**ვენახი**“ ერთი ძირი ვაზის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა (ჯავახიშვილი, 1935, 290).

გვაგონდება დემეტრე I-ის (დამიანეს) საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, სადაც „**ვენახში**“ უთუოდ ერთი ძირი ვაზი უნდა ვიგულოთ,

რადგან, როგორც ცნობილია, ეს საგალობელი ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი და სიტყვა „ვენახშიც“, შესაბამისად, ვაზთა სიმრავლე არ უნდა იგულისხმებოდეს. ვფიქრობთ, მოგვიანებით ტერმინს მნიშვნელობა დაუვიწროვდა და ყურძნისაგან გარკვეული ტექნოლოგიით დამზადებული სითხის აღნიშვნა იტვირთა.

ჩვენი აზრით, სიტყვაში „ღვინო“ დ- ბგერა უნდა მომდინარეობდეს **ხ**- უკანასასისმიერი, ყრუ თანხმოვნისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა წარმოშობით ხანმეტობის დროინდელი მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშანი იყოს. **ხ/ღ** მონაცვლეობისათვის უდრ.: **ხვარა-ღვია...**

მთის დიალექტებში: ფშაურში, ხევსურულში, თუშურში... როგორც ცნობილია, მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშანი **ხ**-, **ღ**- ალმორფითაა წარმოდგენილი; **ბ**, **მ**, **ნ**, **ლ**, **რ**, **ვ** თანხმოვანთა წინა პოზიციაში (შანიძე, 1981).

ქართულისათვის ასევე უცხო არაა ღ>ხ პროცესი. უდრ.: ღვთიშვილი > ხვთიშვილი...

მივიჩნევთ, რომ **ღ**- ბგერა აღნიშნულ ლექსემაში ფონეტიკურად განვითარებული კი არ უნდა იყოს, არამედ, მორფოლოგიური საფუძველი მოეპოვება აღნიშნულ სიტყვაში მის არსებობას (ჰიპოთეტურად „მას(ზე) შემოხვეულის მნიშვნელობით).

***მ-ვ(უ)-ევ-ი-ა მე, *გ-ვ(უ)-ევ-ი-ა შენ, *ხ-ვ(უ)-ევ-ი-ა მას...**

ის ფაქტი, რომ ინდო-ევროპულსა და მათთან ერთად აფხა-ზურშიც აღნიშნული ლექსემა **ხ-/ღ**-ს გარეშე გვხვდება, სწორედ იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ამ სიტყვაში **ხ-/ღ**- ისტორიულად ფორმანტისეული იყო და არა ფუძისეული. სესხებისასაც, შესაბამისად, იგი უამფორმანტოდ გადადიოდა მსესხებელ ენაში.

რაც შეეხება **-ონ/-ნო** დაბოლოებას, იგი მიღებული ჩანს უძველესი ქართული ფორმანტისაგან **-ონ: წითლ-ონ-ი, თეთრ-ონი...** ***ხ-ვი-ონ-ი > ხ-ვი-ნო-ი > ხ-ვი-ნო > ღ-ვი-ნო** ფორმანტისეულ ბგერათა მეტათეზისით.

აღნიშნულ სიტყვაში მისი გამოვლენა ზმნური წარმოშობის სიტყვის არსებით სახელად ქცევის დროინდელად გვესახება. ***ხ-ვი-ონ-ი**, ანუ ის, რაც რაიმეს, ამ შემთხვევაში (ხეს, ჰიგოს) ეხვევა. უდრ.; **ერთვის/ *ხ-ერთვისი...**

შესაძლოა -**ო** ბგერის ფორმანტიკული წარმოშობა იყოს საფუძველი იმისა, რომ ღვინო ლექსემა ერთადერთი **ო**-ზე დაბოლოებული კვეცადი სიტყვაა.

„ვენახი“ ტერმინიც, როგორც ჩანს, აღნიშნული ლექსემიდან უნდა იღებდეს სათავეს. სათანადო ადგილას ნ. მარი **„ვენახი“** ტერმინის წინ **ღ**-ბგერას აღადგენს (იხ. ზევით).

სავარაუდოდ, ***ღვენახი** უნდა ყოფილიყო **ღვინის**, იმავე **ვაზის** სიმრავლე, ცალკეულ მცენარეთა ერთობა. **ღვინახი** > **ღვენახი**. ამ სიტყვის **-აჯ** დაბოლოებაზე სათანადო ადგილას არნ. ჩიქობავა მსჯელობს (იხ. ზევით).

შესაძლოა ეს დაბოლოება საერთო იბერიულ-კავკასიური ოდენობა იყოს, რომელიც ისტორიულად **ბაღს** აღნიშნავდა (ჩუხუა, 2000-2003, 222). **ღვინო** დაკავშირებულია მცენარესთან **ვენახი**, მეგრ.: **ბინენი...**

მეგრულში **„ბინენ“** ფორმის არსებობა შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ქართულში **„ვენახი“** მიღებულია „ღვინახისაგან“. **ღვ**-ქართულისა, შესაძლოა, მეგრულში **ბ**-დ გადასულიყო, (გავიხსენოთ ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები“). ფუძისეული **-ო**- კი ამ სიტყვისა, სწორედ მეგრულმა შემოგვინახა. თავდაპირველად, ქართულშიც **ო**-ა საგულებელი ამ სიტყვაში. შდრ: **ღვია/ხვია**-(რა)...

თუმცა, მეგრულში, ქართული **გ**-, **ღვ**-კომპლექსის გარეშეც, **ბ**-ს იძლევა.

ჩუხუას მოსაზრების გაზიარება აღნიშნულ სემანტიკაში თრობა / გაბრუნების შინაარსის არსებობაზე (ჩუხუა, 2000-2003, 223) გავიჭირდება, თუმცა მთვრალი კაცის საქციელს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი ვარაუდი ჩუხუას თვალსაზრისს ხელს არ შეუშლის.

ქართულში არსებობს სიტყვათა წყება, რომელთა **ღვინ/ხვინ** ბგერათმომდევრობა აღნიშნავს „მოხვეულს“, „დაწნულს“, „დაგრეხილს“: **ღვინჭილა** — პატარა ნიჟარა., იკეთებდნენ თმაში, იბამდნენ ყელზე, ასხმულს კიდებდნენ აკვანზე (ცრუმორწმუნოებით მას ავი თვალისაგან უნდა დაეცვა პატრონი). **ღვლერჭი** — დაგრეხილი წნელი. **ღულერჭი** — წნელი (საბა). **ღვარჭნის** — მრავალნაირად მიხრი-

მოხრის. **დელარტნილი** — 1. იგივეა, რაც დადელარტნილი, 2. დახლართული (გადატ.) ბუნდოვანი, მძიმე სტილი. **დული** — ხერხივით, მანგალისა (საბა). **ღვივა** (ღვია, ღვია) — ხე ფოთოლქაცვიანი (საბა). **ღვინჭა** — წყალთ კენჭი, წყლის ქვიშა.(საბა). **ღვინჭილა** — (მძრომი) (საბა უთითებს ეფრემ ასურს). **ხვეზა** — მრგვალი პური. თაფლის ხვეზა-ფიყა. **ხვიარა** მცენარეები — ისეთი მცენარეები, რომლებიც რამეზე დახვევით იზრდებიან. **ხვილიფი** — წვრილი ჯაგნარი. **ხვითო** — ნატგრის თვალი, რომელსაც, (სავარაუდოდ) ზედ შემოხვეული გველი ინახავს. **ხვილიფი** — წვრილი ჯაგნარი. **ხვიფქლი** — ქვის ხავსი. საინტერესოა, ხომ არ მონაწილეობს ამ ლექსემაში **იფქლი** — „ფქვილი“ ძველი ქართული სიტყვა? **ხვართქლა** — მრავალწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს ხვიარა ღერო და ისრისებრი ფოთლები, იკეთებს ძაბრისებრ თეთრ ან ვარდისფერ ყვავილებს., გავრცელებულია ნათესებში (უბირატესად პურეულში). **ხვიართქლი** — ზამთრის ბეწვი ცხოველისა. **ხვითქი** — კორკოდილო, ნიანგი, სალამანდრა. **ხუჭუჭი** — არს კრავის ტყავი (საბა). **ხვანჭკარა** — სოფელი რაჭაში, ღვინის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდება. **ხვარხვარა** — ქვევიდან გატოტვილი სარეველა მცენარე.

ამრიგად, ამჟამინდელი **დუ/ ხუ/ დვ/ ხვ-** ბგერათმომდევრობა რაიმეზე შემოხვევის სემანტიკისა უნდა ყოფილიყო ისტორიულად. **ხ/ ღ-** ბგერები კი სიტყვათა თავში, ფუძესშეხორცებული, გაქვავებული ფორმანტი, სავარაუდოდ, მესამე ირიბ ობიექტური პირისა, რომელიც ძირის განუყოფელ ელემენტად იქცა დროთა ვითარებაში.

სწორედ ეს გაქვავებული ფორმანტი უნდა შემოენახა უძველეს საერთო იბერიულ-კავკასიურ სიტყვას „**ღვინო**“, რომელიც, თავის მხრივ, ვაზის უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით კი მნიშვნელობა უნდა დავიწროებოდა და ვაზის ნაყოფისაგან გარკვეული ტექნოლოგიით დამზადებული სითხის აღნიშვნა უნდა ეტვირთა.

ღ- ბგერა აღნიშნულ ლექსემაში ფორმანტისეული წარმოშობისა ჩანს, ოღონდ, მისი **ხ-**, ბგერიდან **ღ-** ბგერაში გადასვლა, ვფიქრობთ, მაინც მომდევნო **ვ-** ბგერის გავლენის შედეგია, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, (თოფურია, 1979,

58) ეს მოვლენა მრავალ ენაშია შემჩნეული. ანუ **ხ > ღ** პროცესისათვის ამ სიტყვაში, გუტურალიზაციისაკენ მიდრეკილებასაც უნდა შეეწყოს ხელი.

ცხადია, ჩვენი მოსაზრება „ღვინო“ ლექსემის წარმომავლობის თაობაზე ჭეშმარიტების პრეტენზიას არ აცხადებს და წარმოადგენს მხოლოდ ჰიპოთეზას, რომელსაც შემდგომი ღრმა მეცნიერული კვლევა ესაჭიროება.

თუკი აღნიშნული სიტყვის ისტორიის ჩვენეული ინტერპრეტაცია ოდნავ მაინც ასახავს ობიექტურ ვითარებას, ვარაუდი „ღვინო“ ლექსემის ინდო-ევროპული წარმოშობის შესახებ კიდევ ერთხელ დადგება ეჭვქვეშ.

ლიტერატურა

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, III, თბილისი, 1979.

გამყრელიძე, ივანოვი, 1984 — Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.

მარი, 1915 — Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, С.Пб., 1912.

მელიქიშვილი, 1999 — გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, გამომცემლობა „ჯალი“, თბილისი, 1999.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, ტფილისი, 1942.

წერეთელი, 1947 — გ. წერეთელი, „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის,“ სამეცნიერო სესიები №1, მოხსენებათა კრებული (2-4, III-46), თბილისი, 1947.

კლიმოვი, 1964 — Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

საბა, 1993 — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, 1993.

ქეგელი, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

შანიძე, 1981 — ქართული კილოები მთაში, თხზულებანი ტ. II, თბილისი, 1981.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჯავახიშვილი, 1935 — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, თბილისი, 1934/1935.

Nana Machavariani

On the Etymology of the Georgian Lexeme "γvino" (wine)

Summary

The paper examines various approaches towards the origin of the word "γvino".

It is assumed that in archaic Georgian γvino might have been the name for vine whereas (γ)vinaxi, (γ)vnaxi seem to have been the names for a quantity of vine trees.

According to the scholarly literature, palatal voiced γ developed before the sonant v (V. Topuria). The paper argues, that in the given word γ might have developed from the palatal, voiceless x which in its turn originated from the third indirect object marker. The ultimate vowel o in the word γvino is the result of the metathesis in the old Georgian suffix on. The paper presents the reconstruction of the archetypal lexeme x-vi-on(i) > *γ-vi-on-(i) > γvino which seems to have denoted something growing round a tree or a pole.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXI, თბილისი, 2006.

კომპოზიციები აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკაში

(სტრუქტურული მოდელები)

მცენარეთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურული თვალსაზრისით სამ ჯგუფად იყოფა: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება; ლექსემათა გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით; სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიციებს წარმოადგენს.

კომპოზიციები, ძირითადად, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

აფხაზური ენის მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველობაში შემავალი კომპოზიციები სტრუქტურულად ასე გამოიყურება:

I. საზღვრულ-მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი** (ან მისი ფუძის ნაშთი):

„კომპოზიციის დროს ერთმანეთს ერწყმის ორი ან მეტი ფუძე და შედეგად მიიღება ახალი რთულფუძიანი სახელი. ამ დროს ზოგადადობის ა- პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ ახალი რთული სიტყვის (კომპოზიციის) პირველ წევრ ფუძეს. მაგალითად: ამჟიქიქაწია „შავი თუთა“, ამჟია „თუთა“ + ა(ე) ქიაწია „შავი“... ამ ტიპის წარმოებისას კომპოზიციის ერთი წევრი მსაზღვრელია, მეორე კი — საზღვრული... (გვანცელაძე, 2003, 44).

... რთული არსებითი სახელის (კომპოზიციის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მასდარი ან ზმნის წმინდა ფუძე.

იმდენად, რამდენადაც აფხაზურ ენას ბრუნვები არ გააჩნია, მსაზღვრელის ფუძე, ცხადია, გაუფორმებელია. აფხაზურში აღნიშნული შესიტყვებები ქართული ენის მართული მსაზღვრელის მსგავსია.

ქართულად თარგმნისას მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უნდა გადმოიცეს: მაგ.: აწესლაჰა „ჩიტის ლეღვი“.

როდესაც კომპოზიტი საზღვრულ-მსაზღვრელია, მსაზღვრელი ძირითადად ვითარებითი ზედსართავითაა გადმოცემული, რომელიც მოსდევს არსებითი სახელით ან სხვა მეტყველების ნაწილით გამოხატულ საზღვრულს, რითაც ემსგავსება ძველი ქართულის ზედსართავებს. მაგ.: აჰაშა „მსხალი თეთრი“. ასეთ დროს ზედსართავ სახელს არც ზოგადობის პრეფიქსი დაერთვის.

... „მიმართებითი ზედსართავები ვითარებით ზედსართავთაგან განსხვავებით წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: წგფხტი აჩაჰრა „მარშანდელი მოსავალი“ (გვანცელაძე, 2003, 50).

განვიხილავთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე:

აცაშა „ბალამწარა“. აც „მარცვალი“, შა < აშა „მწარე“

აჯგშ „ნიორი“. აჯგ „ხახვი“, შა < აშაჰაჰა „თეთრი“.

აკიგბბა „სოკო“. აკიგკი „მაჩიტელა“, აბა „დამპალი“.

აცცაფშ „ბოლოკი“. აცცა „ბოლოკი“, აფშ < აყაფშ „წითელი“.

აჩაფშ „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“, აჩა „პური“, აფშ < აყაფშ „წითელი“.

ა) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი (ტაბონიმი)

აჟგმჩაჟლ „ყურძნის ჯიში“, აჟ „ყურძენი“, მჩაჟლრა „ადგილის სახელი“.

ბ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი

აჟან || აჟაფს „ყურძნის ჯიში“, აჟ „ყურძენი“, ან „დედა“, აფს „ძუ“.

გ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელის ფუძე + სიწვრილის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები: -სა, -ჭა / ჭახ:

აჰასსა „გარეული, წვრილი მსხალი“.

აჰიასსა „გარეული, წვრილი ალუჩა“.

აჰაჭჭა „გარეული მსხალი, წვრილი მსხალი“.

არჭაჟს „ნორჩი კაკლის ხე“.

ალჰაჯს „ნორჩი მურყნის ხე, ნოლა“.

დ) სტრუქტურული მოდელი: ამლ „ეკალი“ ზოგადი სიტყვა + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი:

ამლგშ „ეკალიჯა“, ამლ „ეკალი“, შ < აშეკაია „თეთრი“.

ამლგშ „მაყვალი“, ამლ „ეკალი“, შ < აფშ < აყაფშ „წითელი“.

განხილულ მაგალითებში ამლ „ეკალი“ ფუძის გამოყენება განპირობებულია მცენარის ეკლიანობის ხაზგასასმელად.

შდრ.: ქართული: ეკალა, ეკალბარდა, ეკალიჯა... ქართულში „ეკალი“ ზოგადად ეკლიან მცენარესაც ჰქვია.

ყველა ზემოთ აღნიშნული ლექსემა თავისი კონსტრუქციით საზღვრულ-მსაზღვრელია. ამ შემთხვევაში აფხაზურისათვის დამახასიათებელი პოზიცია: „საზღვრული + მსაზღვრელისა“, დაცულია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფუძეს მსაზღვრელად ერთვის ვითარებითი ზედსართავი სახელი ან მისი ფუძის ნაშთი.

ე) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + ზმნიზედა:

ავგაფშგრფზა „ჭაჭაზე დაყენებული ღვინო“, ავგ „ღვინო“, აწგფხ „შარშან“, რ- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი.

II. მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი:**

აშამაშიგა „ჭიაფერა“, აშამაყა „ცვილის დიდი სანთელი“, აშიგა „საღებავი“.

ადიგარგნ „ია“, ადიგ „მინდორი“, აკრ „შუქურა“.

აწიარსა „ია“, აწია „ვაშლი“, არსა „თხილი“.

აშითაკაჭ, აშით „ყვავილი“, აკაკაჭ „ყვავილი“.

აცგხა „თალგამი“, აც „მარცვალი“, (ა)ხგ / ხა „თავი“.

სტრუქტურული მოდელი: **მსაზღვრელი + საზღვრული. არსებითი სახელი + არსებითი სახელი.**

ახგრხგნგ „წინის ღვინო“, ახგრხგნ „ყურძნის საწინი“, ავგ „ღვინო“.

აყაღარკავგ „წინის ღვინო“, აყაღარკავა „ყურძნის საწინი“, ავგ „ღვინო“.

ას აქვს „თხლეს სუნი“, ას „თხლე“, აქვს „სუნი“, ამწგში ავტოპი „გიდლის ძირი“, ამწგში „გიდელი“, ავტოპი „ძირი“... და მსგავს შესიტყვეებში მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კატეგორიის კუთვნილების ა- პრეფიქსი შენარჩუნებულია; ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აღნიშნული ტიპის მაგალითები კომპოზიტებად ჯერ კიდევ არ აღიქმება და მყარ შესიტყვეებს წარმოადგენს.

ა) კომპოზიტის საზღვრულია აჯ / ჯა.

ადგლჯა „ბაძგი, ჭყორი“.

ამხარაჯ „ყოლო“.

ას^აარაჯ „რცხილისებრთა ოჯახის ბუჩქი“.

პ. ჭარაია მიიჩნევდა, რომ აფხაზური აჯ „მუხა“ საერთოა მეგრულ ჯა(ლ) „ხე“ სიტყვასთან. აღნიშნული ელემენტის გამოვლენა ბუჩქების სახელწოდებებში, შესაძლოა აფხაზურში ჯ ძირის უძველეს ფუნქციაზე, მის ზოგადად ხის აღმნიშვნელ ძირად გამოყენებაზე მიუთითებდეს; თუკი ჯ აღნიშნულ შემთხვევაში მეორეული არაა და რომელიმე სხვა თანხმოვნისაგან, მაგალითად ყ-საგან არ მომდინარეობს (ჭარაია, 1912, 45).

ბ) კომპოზიტის საზღვრულია აწლა „ხე“.

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელის ფუძე + აწლა „ხე“** ლექსემა:

აბაციწლა „ზღმარტლის ხე“.

ათიაწლა „ცაცხვის ხე“.

ალიმონწლა „ლიმონის ხე“.

ამჟიწლა „თუთის, ბჟოლის ხე“.

ჩამოთვლილ მაგალითებში კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები ერთიმეორესთან მსაზღვრელ-საზღვრულ მიმართებაშია, რამდენადაც აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია, ერთმანეთს ერწყმის მსაზღვრელის და საზღვრულის მორფოლოგიურად გაუფორმებელი ფუძეები.

აღნიშნული რიგი მსაზღვრელ-საზღვრულისა აფხაზური ენისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა იყოს. ისტორიულად აფხაზურს ახასიათებს საზღვრულ-

მსაზღვრელის სინტაქსური კონსტრუქცია. ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო.

გ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (აბნა „ტყე“)
+ **არსებითი სახელი (მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა):**

აბნარასა „გარეული, ტყის თხილი“, აბნა „ტყე“, (ა)რასა „თხილი“.

აბნაწია || აბტნაწია „მაჟალო, ტყის ვაშლი“, აბნა „ტყე“, აწია „ვაშლი“.

აბნარაპანა „ტყის რეჰანი“, აბნა „ტყე“, (ა)რაპანა „რეჰანი“.

აბნა ძახია „ტყის ვაზი“, აბნა „ტყე“, აძახია „ვაზი“.

ფიქრობთ, ხეცა ველური ჯიშების აღნიშვნას უნდა ემსახურებოდეს აღნიშნულ ლექსემებში **აბნა** „ტყე“ სიტყვის მონაწილეობა.

აღნიშნული მაგალითები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს. საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი განლაგება აფხაზურისათვის ორგანული არ არის. ძირითადად აფხაზურს ახასიათებს საზღვრულ-მსაზღვრელიანი სინტაქსური კონსტრუქცია. მსაზღვრელ-საზღვრული კი ან შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა იყოს, ან კალკირების გზით მიღებული გამსესხებელი ენიდან.

შესაძლოა, აღნიშნულ შემთხვევაში არსებითი სახელი **აბნა** „ტყე“ მიმართებითი ზედსართავის ფუნქციით გვევლინებოდეს.

„მიმართებითი ზედსართავი სახელები აფხაზურში ძირითადად იწარმოება მეტყველების სხვა ნაწილთა ფუძეებისაგან. ამ მიზნით გამოიყენება დანიშნულების, კუთვნილების აღმნიშვნელი **-ტი(გ) || -ტიი** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება **ა-ტიი** „საკუთრება“ სიტყვის ძირს. ასე მიღებული მიმართებითი ზედსართავეები, ვითარებით ზედსართავთაგან განსხვავებით, წინ უძღვის საზღვრულს. მაგალითად, წგფხ-ტიი აჩაჰრა „შარშანდელი მოსავალი“, ახახი-ტიი გაბრა „ქვის ღობე“ (გვანცელაძე, 2003, 50).

დ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ეთნონიმი)
+ **არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა):**

აშიანტუჟ „ყურძნის ჯიშ“, აშიანტუ „სვანი“, (ა)ჟ „ყურძენი“.

აჟრგსტუ „ყურძნის ჯიშ“, აჟრგს „რუსი“, (გ)ჟ „ყურძენი“.

ათერქიჲჲ || ათერქიჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, ათერქი „თურქი“, (ა)ჲჲ „ყურძენი“.

აგრჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, აგრჲ „მეგრელი“, (გ)ჲჲ „ყურძენი“.

აფსტჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, აფსტჲ „აფხაზი“, (ა)ჲჲ „ყურძენი“.

ე) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ტოპონიმი) + არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა:
აჲსასარხიჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, აჲსასარხია „ცხვრის ბორცვი“, აჲჲჲ „ყურძენი“

ვ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ანთროპონიმი) + არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა):

პაპენრჲჲ „ყურძნის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელი“, **ი-** კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, აჲ „ყურძენი“.

კაცრჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, კაც „მამაკაცის სახელი“, **ი-** კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, აჲ „ყურძენი“.

თაგირჲჲ „ყურძნის ჯიში“, თაგჲჲ „მამაკაცის სახელი“, **ი-** კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, აჲ „ყურძენი“.

პეტრჲჲჲჲ || პეტრჲჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, პეტრა < პეტრე „მამაკაცის სახელი“, **ი-** კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, (გ)ჲჲ „ყურძენი“.

ხიგფჲჲჲჲ || ხიგფჲჲჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, ხიგფჲჲჲჲჲ „მამაკაცის სახელი“, **ი-** კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, აჲ „ყურძენი“.

ხიგნალჲჲჲჲ „ყურძნის ჯიში“, ხინა „ქალის სახელი“, **ლ-** კუთვნილებითი პრეფიქსი ქალთა კლასისა, აჲ „ყურძენი“.

აღნიშნულ მაგალითებში კომპოზიტის მსაზღვრელად ადამიანთა კლასის სახელები გვევლინება, ამის გამო კომპოზიტის საზღვრულის თავში გამოჩნდება ადამიანის კლასის პირის (კუთვნილების) პრეფიქსი **ლ-**ს რიგისა, განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, როდესაც მსაზღვრელად ნივთთა კლასის სახელი გვევლინება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნივთთა კლასის პირის (კუთვნილების) მაჩვენებელი პრეფიქსი იკარგება.

ზ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ზოონიმი) + არსებითი სახელი:

აჟმაყუტ „დენგრა, კუნელი“, აჟმა „თხა“, (ა)ყუტ „ცურცილი“.
აჟიაპაჟა || აჟიარპაჟა „მოცივი“, აჟი „ლორი“, (ა) პაჟა „ტიკი-
პა“.

ალაწიმღმ „ასკილი“, ალ „ძალი“, აწიმღმ „ლურსმანი“,
აჟიგრძე „ღვია“, აჟი „ძროხა“, აძე „წყალი“, -რ III პირის
„კუთენილები“ მრავლობითობის პრეფიქსი.

აჟიაჟმა „გვირილა“, აჟი „ლორი“, (ა) კაჟა „კაჟა“.

**თ) სტრუქტურული მოდელი: ზედსართავი სახელი + არსე-
ბითი სახელი (მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა):**

აჟარგჟ „ახალი ვენახი“, აჟარა < აჟა „სიახლე“, აჟ „ყურძენი“.

ათიჟ „სავსე ყურძენი“, ათი „სავსე“, აჟ „ყურძენი“.

აჯიდაჟაჟა „უკანო გოგრა“, აჯიდა „უკანო, კანის არ მქონე
გოგრა“, -და უარყოფითობის სუფიქსი, აჟაჟა „გოგრა“.

აჟსაჟ || აჟსა „მოქნილი, დრეკადი ყურძენი“, აჟსა „მოქნილი,
დრეკადი“, აჟ „ყურძენი“.

აჯმღჟ „შავი ყურძენი საშუალო ზომის მარცვლებით“, აჯმ
„უმარცვლო“, აჯ „მარცვალი“, -მ უარყოფითობის სუფიქსი, -ლ ინს-
ტრუმენტალისის სუფიქსის ნაშთი, (ა)ჟ „ყურძენი“... „უმარცვლო
ყურძენი“.

**ი) სტრუქტურული მოდელი: რიცხვითი სახელი + არსებითი
სახელი:**

აჯტიგრაჟრა აჟაჟა „ორნახალი არაყი“, აჯ < აჯა „ორი“ რი-
ცხვითი სახელის შეკვეცილი ფუძე, ტიგ დანიშნულების სუფიქსი,
აჟრა „დუღილი“, „ორ(ჯერ) მოდუღებული არაყი“.

აჯგკრაჟრა აჟაჟა „ერთნახალი არაყი“, აჯგ „ერთხელ“, კ-
განუსაზღვრელობის აფიქსი. აჟრა „დუღილი“, „ერთხელ მოდუღებუ-
ლი არაყი“.

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + მასდარი:**

აჯაჟი აკრა „დაფესვიანება“, აჯაჟი „ფესვი“, აკრა „დაჟერა“

აძე ალაღარა „წვენის მოძრაობა“, აძე „წყალი“, ალაღარა
„შიგ შესვლა“. იგულისხმება ვაზის ზროში მცენარის წვენის მოძრაობა.

აძე აწგსრა „წყლის ჩადგომა მცენარეში“, აძე „წყალი“, აწგსრა
„ჩადგომა“.

ორზე მეტკომპონენტიანი კომპოზიტები

III. მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრული

ა) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი:**

აქა/რ/გიგ/ც „ყურძნის მარცვალი“, აქ „ყურძენი“, აგიე „გული“, ც < აც „მარცვალი“ (-რ III პირის „კუთვნილების“ მრავლობითობის პრეფიქსი).

აჩე/კვკ/აქ „ყურძნის ჯიშო“, აჩე „ცხენი“, (ა)კკა „ძუძუ“, აქ „ყურძენი“.

აგი/ლა/ხ/აქ „ყურძნის ჯიშო“, აგიე „გული“, (ა)ხე „თავი“, აქ „ყურძენი“, -ლა ინსტრუმენტალისის სუფიქსი.

ბ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი (ზოონიმი) + მასღარი + არსებითი სახელი:**

აცეგ/ბბრ/ხი „მთის ყვავილი“, აცეგ „ხარი, ხარირემი“, აბგბრა „ბღავილი“, ახიე „კერძი“.

გ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:**

აბას/ყ/შე || აბს/ყ/შე „ყურძნის ჯიშო“, აბას „ციხე-სიმაგრე, ეკლესია“, (ა)ყ „ყურძენი“, შე < სშეკაყა „თეთრი“.

დ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება) + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი + არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება):**

ალემ/შე/ძახიბ, ალგმშე „სვია“, შე < სშეკაყა „თეთრი“, აძახიბ „ვაზი“.

ოთხკომპონენტიანი კომპოზიტები

IV. მსაზღვრელ + საზღვრულ + საზღვრულ + მსაზღვრელი

ა) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი:**

აქასა/რ/ხია/ყ/შე „ყურძნის ჯიშო“, აქასა „ცხვარი“, ახიე „ბორცვი“, ა(გ)ყ „ყურძენი“, (-რ III პირის მრავლობითობის კუთვნილებითი პრეფიქსი). „ცხვარი“ „მათი“ ბორცვი ყურძენი თეთრი“.

შესიტყვებანი

ქვევით წარმოდგენილია მყარი შესიტყვებები, რომლებიც ჯერ-ჯერობით კომპოზიციას არ წარმოადგენს, მაგრამ ამჟღავნებს კომპოზიციულ ქცევის ტენდენციას:

ა) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი + მასდარი:

აძახიან სჟილა სკრა „ვაზის გაშენება“, აძახიან „ვაზი“, სჟილა „თესლი“, სკრა „დაჭერა“ — მასდარი.

აჰაფშა ახტ სხტრა „ქვევრის მოხდა“, აჰაფშა „ქვევრი“, ახტ „თავი“, სხტრა „მოხდა“ — მასდარი.

ბ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + გარდაქცევითობის -ნგ სუფიქსით ნაწარმოები აბსოლუტივი + მასდარი:

ახწიერ ლბანგანგ სწაწარა „ვაზის გადაწიდგნა“, ახწიერ || აშაყწარ „ვაზის რქა“, ალბანგარა „ჩამოღება“ > ლბანგანგ „ჩამოღებით“, სწაწარა „ქვეშ ამოღება“.

ახწიარ ხწიანგ სწაწარა || სხწიარ სწაწარა „ლერწის, რქის დარგვა“, ახწიარ „რქა“, ახწიარა „გადაჭრა“ > ხწიანგ „გადაჭრით“, სწაწარა „ქვეშ ამოღება“.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апреа бызшыа ажар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апреа бызшыа ажар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჰარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — Б. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тбилиси, 1955.

Nana Machavariani

Compounds in Abkhazian Plant Lexis

(Structural models)

Summary

The paper investigates Abkhazian compound plant names structurally. The following structural models have been singled out.

I. Two component compounds:

1. The modified + the modifier
2. The modifier + the modified

II. Compounds with more than two components:

1. The modifier + the modifier + the modified.
2. Four-component compounds: the modifier + the modifier + the modified + the modifier

III. Set expressions that cannot be considered to be compounds yet, however they reveal some tendencies of becoming compounds.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIII, თბილისი, 2006.

აფიქსაციით ნაწარმოები მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში

მცენარეთა აფხაზური სახელწოდებების გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით.

მცენარეთა სახელწოდებებში გამოვლინდა სახელური და ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

1. სახელური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

- ა) -ქია ნივთთა კლასის მრავლობითობის სუფიქსი.
- ბ) -რა კრებითობის სუფიქსი.
- გ) -რა აბსტრაქტულობის სუფიქსის ნაშთი.
- დ) ზ<ს გარდაქცევითობის აფიქსი.
- ე) -ლა ინსტრუმენტალისის აფიქსი.
- ვ) -ნარა გარდაქცევითობის აფიქსი.
- ზ) -ტიგ დანიშნულების სუფიქსი.
- თ) -გა იარაღის (საჭურვლის) სუფიქსი.
- ი) -კ განუსაზღვრელობის სუფიქსი.
- კ) -რთა/-თრა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი.

2. ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

- ა) ჩა- სათავისო (უკუქცევითი) ქცევის პრეფიქსი.
- ბ) მ- უარყოფითობის სუფიქსი.
- გ) -და უარყოფითობის სუფიქსი.
- დ) აფ- საურთიერთო მიმართების პრეფიქსი.
- ე) რ- კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსი.
- ვ) აფბა- საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელი პრეფიქსი.

კომპოზიტში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან მომდინარე ელემენტები ლ-ს რიგისა: ი-, ლ-, რ-...

ა) III პირის კუთვნილების გამომხატველი ი- პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა.

ბ) III პირის კუთვნილების გამომხატველი ლ- პრეფიქსი ქალთა კლასისა.

გ) III პირის მრავლობითობის 'კუთვნილების' გამომხატველი რ- პრეფიქსი.

1. სახელური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

ა) -ქია ნივთთა კლასის მრავლობითობის სუფიქსი:

აშიაქიას „ყლარტი, ლამური, სატაცური“.

ალაპიაქიასა „ველური ხახვისებური მცენარე“, ზედმიწ.: „გახვე-ულ-რები“-უბედურება“.

ბ) -რა კრებითობის სუფიქსი:

ახიაჩრა „შამბი, შამბნარი, ყელტამი“.

აჰირა „შამბი, შამბნარი“.

ახინც || ახინცრა „ჭინჭარი“.

ასახჭივრა „საკვები ბალახის სახეობა“.

-რა წარმოშობით კრებითობის სუფიქსია, მაგრამ ამ შემთხვევაში მცენარის სახელწოდებაში ვლინდება, როგორც აბსტრაქტულობისაკენ გარდამავალი მნიშვნელობის სუფიქსი.

გ) აბსტრაქტულობის -რა სუფიქსის ნაშთი:

აჭარტყ „ახალი ვენახი“, აჭარა < აჭა „სიახლე“, აყ „ყურძენი“.

აწხაყ აცხარტყ „ტკბილი ყურძენი“, აწხარა „თაფლობა“, აყ „ყურძენი“.

დ) ზ < ს გარდაქცევითობის სუფიქსი:

აფყზ „ლაქაში“.

აჩზ „ბზე“.

აჩგს „საჭმელი“.

ე) -ლა ინსტრუმენტალისის აფიქსი:

აფმაციალა „ტარო“, აფმა „სიმინდი“, აცია „კანი“, -ლა წარმოშობით ინსტრუმენტალისის სუფიქსი. ზედმიწევნით: „სიმინდი კან-ით (კანიანი)“.

აშიგლა „ფქვილი“, აშიგ „ფეტვი“.

აგილახაყ „ყურძნის ჯიშო“, აგიგ „გული“, (ა)ხგ „თავი“, აყ „ყურძენი“.

აგმელტყ „უმარცვლო“ იანი, ით¹ ყურძენი“.

ვ) -ხარა (რადმე გახდომა, ქცევა)

აფამის**ნარა** „დაფესვიანება“, აფაში „ფესვი“.
აჟემჟი**ნარა** „მტევნად ქცევა / გახლომა“, აჟემჟი**ნარა** „მტევანი“.
აჟე აბჟი**ნარა** „ღვინის დამარება“, აჟე „ღვინო“, აბჟი**ნარა**
„მმრად გახლომა, ქცევა“.

ზ) -ტიგ დანიშნულების სუფიქსი:

აჟჟა**ტიგ** „ბალახი“.

არში**ტიგ** „სათესლე ხაზვი“.

ახი**ტიგ** „ნაცარა, ვაზის დაავადება“, ახია „ნაცარი“.

ჟუნ**ტიგ**რმეგრა აჟაჟკა „ორნახალი არაყი“.

არგჟი**ტი** „სასმელი“, აჟირა „დალევა“, **რ-** კაუზატივის პრეფიქ-

სი.

ანგჟი**გატი** ჟალგრ „ზედაშეს კასრი“.

ანგჟი**გატი** ჰნფმა „ზედაშეს ქვევრი“.

ათაჰ**ტი** „ნერგი“.

თ) -გა იარალის გამომხატველი სუფიქსი:

აშამაში**გა** „ჭიაფერა“.

აჟალ**გა** „წინეხი“.

აჟ ხა**გა** ამაშენა „ყურძნის დასაწური წინეხი“.

აჰნფმა**გა** „ქვევრის სარეცხი“.

ანგჟი**გატი** ჟალგრ „ზედაშეს კასრი“.

ანგჟი**გატი** ჰნფმა „ზედაშეს ქვევრი“.

არაძი**გა** აკალაჟკიარ „სახელურიანი პატარა კალათი, საწური“.

არაძი**გა** „საწური, ლასტი, რომელიც იღვმება საწინახლის ერთ

თავზე, ნახვრეტის წინ“.

აჟთა**გა** შახნა „გიდლის თოკი, ბაწარი“

აზ**გა** „საწყაო“

აჟჟ**გა** „ბარი“

აჰიჰი**გა** „ფოცხი“

აჩა**გა** „თოხი“

ი) -კ განუსაზღვრელობის აფიქსი:

ზნგკგრ**მეგრა** აჟაჟკა „ერთნახალი არაყი“, ზნგ „ერთხელ“, **კ-**
განუსაზღვრელობის აფიქსი, აშორა „დულილი“, **-რ** კაუზატივის აფიქსი.

კ) -რთა / -თრა შემოსაზღვრული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი:

აწ**თრა** „ბოსტანი“, აუს „საქმე“.

აჩ**რთა** „ხორბლის ყანა, ხორბლით ნათესი ადგილი“, აჩ**ბურა**“.

აყი**დგრთა** „ლობიოთი ნათესი ადგილი“, აყი**დ** „ლობიო“.

აფშ**გრთა** „სიმიინდის ყანა“, აფშ**ე** „სიმიინდი“.

აჯჭ**ირგრთა** „სიმიინდის ყანა“, აჯჭ**ირე** „სიმიინდი“.

ამხ**გრთა** || ამხ**ნათა** || ამხ**ათახი** || ამხ**ერთახი** „ყანა“.

ანხ**რთა** „საცხოვრებელი, საბინადრო ადგილი“, ანხ**ა** „მეურნეობა“.

ალ**თრა** „კვირტი“, ალა „თვალი“.

აძახ**ირთა** „ვენახი“, აძახ**ი** „ვაზი“.

2. ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

ა) ჩ- სათავისო (უკუქცევითი) ქცევის პრეფიქსი:

აშ**ი**ტ აჩ**ი**გ ლგრგარა „ყვავილის გამოტანა“, აშ**ი**ტ „ყვავილი“, აჩ**ი**გ ლგრგარა „თავის გამოტანა“.

აშ**ი**ტ აჩ**ი**რგსქარა || აშ**ი**ტ აჩ**ი**გრცქარა „ყვავილის გამოტანა“, აშ**ი**ტ „ყვავილი“, აჩ**ი**რგსქარა || აჩ**ი**გრცქარა „თავის გამოსუფთავება“.

აჯ**ი** აჩ**ი**გ ლგრგარა „ღვინის დაწმენდა“, აჯ**ი** „ღვინო“, აჩ**ი**გ ლგრგარა „თავის გამოტანა“.

ბ) მ- უარყოფითობის სუფიქსი:

აშ**ე**მ „მწყერფეხა“, აშ < აშ**ა**ბ „ფეხი“.

ა**ც**მ**ლ**ქ „უმარცვლო ყურძენი“, ა**ც**მ „უმარცვლო“, ლ- ინსტრუმენტალისის სუფიქსის ნაშთი, (გ)ქ „ყურძენი“.

ა**ტ**ი**მ**ცია „კანი“, ა**ტ**ი**მ** „უცხო“, ა**ც**ი**ა** „კანი“.

ა**მ**ი**ა**ი**ა**გ **ქ**ჯგ „გაურეცხობის სუნი“.

გ) -და უარყოფითობის სუფიქსი:

ა**ც**ი**ა**და ყაბაყ „თხელკანიანი გოგრა“, ა**ც**ი**ა** „კანი“, -და უარყოფითობის სუფიქსი, ყაბაყ „გოგრა“, ზედმიწე. „კანის არმქონე, უკანო გოგრა“.

დ) ად- საურთიერთო მიმართების პრეფიქსი:

სჟ **ადლწრა** „წვენის გამოსვლა დაჭყლეთილი ყურძნიდან“, სჟ „ყურძენი“, სლწრა „გამოსვლა“.

ადგიში „წალი“.

ადქიგრფარა „დაჩეხა“.

ადთაჰატი „ნერგი“, „ურთიერთ შიგ ჩასადები“.

აფში **ადთა**გარა „დაფესვიანებული გადანაწვენის რქის გადა-
რგვა“, აფში „ფესვი“, ადთაგარა „გადარგვა“.

აძახის **ადლ**გზრა „ვაზის გასხვლა“, აძახის „ვაზი“, ადლგზრა
„ტანთ გახდა“.

აჯ **ადწ**გრყარა „ტკბილის ფეხში გამოღება, გამოჭყლეთა“, აჯ
„ღვინო“, არყწცრა „ჭყლეთა, გაჭყლეთა“.

აჯ **ადწ**გრფზარა „ტკბილის ჭაჭაზე დაყენება“, აჯ „ღვინო“,
აწგრფზარა „სასმელის, ჩაის დაყენება“.

აჯ **ადთ**აკრა „ღვინის გადაღება“, აჯ „ღვინო“, ადთაკრა „სი-
თხის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა“.

ე) რ- კაუზატივის პრეფიქსი:

აჯ **არწ**ტგზრა „ჭაჭაზე დაყენებული ღვინო“, აჯ „ღვინო“,
აწგფზ „შარშან“.

ზნგკგ**რ**შგრა ატატკა „ერთნახალი არაყი“, ზნგ „ერთხელ“, **კ-**
განუსაზღვრელობის აფიქსი, აშარა „დუღილი“.

არგჟიტი „სასმელი“, სჟირა „დაღევა“.

არშიტიგ „სათესლე ხახვი“, არშიარა „გამარგვილინება“.

აჟგ**რ**ყსა „ყურძნის ჯიში“, სჟ „ყურძენი“, (ა)ყსა „მოქნილი,
ღრეკადი“.

არტრა „ხილის დამწიფება, შემოსვლა“, არტრა „შემოსვლა“.

აჯ ახ**არ**ტიარა „ღვინის დამატება“, ახგ „თავი“, ატიარ „და-
ჯდომა“.

აძლ **არ**ჯარა / აჟალ **არ**ჯარა „ჭაჭის გახმობა“, აძლ / აჟალ
„ჭაჭა“, სჯარა „გახმობა“.

ატატკა **რ**შარ „არყის გამოხდა“, ატატკა „არაყი“, აშარა „მო-
ღუღება“.

ვ) აბა- საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის პრეფიქსი:

აჯალ ადბაქარა „ჭაჭის დადუღება“, აჯალ „ჭაჭა“, ადბაქარა „ურთიერთდაჭმა“.

აყ ადბაქარა „ყურძნის დუღილი“, აყ „ყურძენი“, აქარა „ჭამა“, ადბაქარა „ურთიერთდაჭმა“.

3. კომპონტში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები ლ-ს რიგისა, ი-, ლ-, რ-.

ა) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ი-** პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა:

პაპენ^იყ „ყურძნის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“.

კაც^იყ „ყურძნის ჯიში“, კაც „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“.

თაგი^იყ „ყურძნის ჯიში“, თაგი „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“.

ხიფფ^იყ || ხიფფ^იყ „ყურძნის ჯიში“, ხიფფ^იყ „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“.

ხიტუნ^იყ „ყურძნის ჯიში“, ხიტუნ „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“.

აპაპ^იყ „ყურძნის ჯიში“, აპაპ „მღვდელი“, ყ „ყურძენი“.

ბ) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ლ-** პრეფიქსი ქალთა კლასისა:

ხიენა^ლყ „ყურძნის ჯიში“, ხინა „ქალის სახელი“, ყ „ყურძენი“.

გ) III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ გამომხატველი **რ-** პრეფიქსი:

აპიარ^რპაჭა „მოცივი“, აპიარ „ლორი“, (ა)პაჭა „ტკიპა“.

აყიერ^რძე „ღვია“, აყი „ძროხა“, აძე „წყალი“.

აყარ^რპასკენ „ბალახის სახეობა“, აყარ „კურდღელი“, აპასკენ „ბალახი“.

ახიერ^რბლენც „მრავალძარღვა“, ახიერ „დაჭრილი“, აბლენც „ერთი ცალი ფოთოლი“.

აჩარ^რტე „ერთი ცალი მარცვალი“, აჩარ „პური“, ტ < ატ „მარცვალი“.

აჩარ^რჩე „საფუარი“, აჩარ „პური“, ჩე (განუმარტავია).

აგიერ^რყიღე „ცერცვი“, აგიერ „ნემსი“, აყიღე „ლობიო“.

აქა**რ**იგდ „ველური მუხულო“, აქა „კურდღელი“, აყიგდ „ლო-
ბიო“.

ამიგ**რ**დ „ფეტვი“, ამიგ „ფეტვი“, ძ < აძა „ნელი“.

ამიგ**რ**ბღღ „ანწლი“, ამწ „ბუზი“, აბღღ „ფოთოლი“.

აქა**რ**გიგდ „ყურძნის მარცვალი“, აყ „ყურძენი“, აგიგდ „გული“,
ც < აც „მარცვალი“.

აქასგ**რ**ხია || აქასა**რ**ხია || აქასა**რ**ხიაჟმიგ „ყურძნის ჯიში“, აქასა
„ცხვარი“, (ა)ხია „ბორცი“, (ა/გ)ყ „ყურძენი“, ში < აშიჟიაჟია „თეთრი“.

აქგგიგდ „ყურძნის მარცვალი“, აყ „ყურძენი“, (ა)გიგდ „გული“,
ც < აც „მარცვალი“.

აქგ**რ**ძმ || აქ**ძრ**გ „ყურძნის ბურახი“, აყ „ყურძენი“, აძგ „წყალი“.

-**რ** ელემენტი მესამე პირის მრავლობითობის „კუთვნილების“
პრეფიქსს წარმოადგენს. სიტყვასიტყვითი თარგმანი აღნიშნული ლექ-
სიკური ერთეულებისა ასეთი იქნება: „ღორი [მათი] ტკიპა“, „ძროხა
[მათი] წყალი“ და ა. შ. საგულისხმოა, რომ ღორი და ძროხა ზოო-
ნიმები მხოლოდითი რიცხვითაა წარმოდგენილი, მათი კუთვნილებითი
პრეფიქსი კი მრავლობითი რიცხვისაა.

ჩვეულებრივ მეტყველებაში იქნება აჰაჰჟია რბჰჟია „ღორების
მათი ტკიპა“, ასევე, აჟიჟია რძგ „ძროხების [მათი] წყალი“. გონიერ-
თა და არაგონიერთა კლასის კუთვნილების გამოსახატავად მრავლო-
ბითის წარმოებისას იხმარება რ- პრეფიქსი.

საზოგადოდ, კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული სა-
ხელის ფუძე ასრულებს ქართული ენის ნათესაობითი ბრუნვის ფუნ-
ქციას, რაც გამოწვეულია იმით, რომ აფხაზურში ბრუნვები არ არის.

აღნიშნული გარემოება იმაზე მიანიშნებს, რომ **რ-** III პირის
მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსი ამ შემთხვევაში სიტყვა-
წარმოებითი ფუნქციით გვევლინება.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апсуа бызшәа аҟаар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апсуа бызшәа аҟаар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — П. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тбилиси, 1955.

Nana Machavariani

Abkhazian Plant Names Formed by Affixation

Summary

A certain part of the Abkhazian plant names is formed by means of affixes. The paper examines some nominal and verbal derivational elements in the plant names of the language in question. The paper attempts to state the motivation of the given forms.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIV, თბილისი, 2006.

ლოკალურ პრევერბთა და მასდარულ ფუძეთა შემცველი მცენარეთა სახელწოდებანი აფხაზურში

აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკის გარკვეულ ნაწილსა და მცენარეთა სახელწოდებების სემანტიკურ ველში შემავალ ლექსიკაში გამოვლინდა ლოკალური პრევერბები და მასდარული ფუძეები.

1. ლოკალური პრევერბები:

ქი'გ' — „ზედა, ზევიდან“ < ა-ქი, ქიგ „სახურავი“, „კენწერო“:

აქიგფსპ „ზედ დაყრილი, მსხმოიარე მსხალი“ **ქიგ** „ზედ მყოფობის მაჩვენებელი ფუძე-წინდებული, ანუ ლოკალური პრევერბი.

აქიანა || აქიანრა „მაღლარი ვენახი, ვაზნარი“, აქიანრა „ზედ დადება“. **ქი'გ'** „ზედ ზევიდან“ ლოკალური პრევერბი.

აჯ აქიტარა „ღვინის დადგომა“, აჯ „ღვინო“, აქიტარა „ურთიერთ-ზედ-დაჯდომა“. **აჯ**- საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, **ქი** „ზედ“ მყოფობის ლოკალური პრეფიქსი.

ა ქიერფარა „დაჩეხა“, **(ა)ქიგ** „ზედ, ზევიდან“ ლოკალური პრევერბი.

თა/გ — „შიგნით“:

ათგრას „გვიმრა“, **თა/გ** „შიგნით“, ათგრა „შიგნიდან ამოსვლა“

აჯ ათთარა „ღვინის დაყენება“, აჯ „ღვინო“, ათთარა „ჩასხმა, დაყენება“. **ათა** „შიგნით“ ლოკალური პრევერბი.

ატჯშია ათბალრა „გოგირდის ხრჩოლება“, ატჯშია „გოგირდი“, აბგლრა „წვა, დაწვა“, **(ა)თა** „შიგნით“ ლოკალური პრევერბი.

აჟთანრა „რთველი, ყურძნის კრეფა“, აჟ „ყურძენი“, ათაარა „ხილის შეგროვება“, **თა** „შიგნით“ ლოკალური პრევერბი, **აა**- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აშათა „ფესვი, ძირი, საფუძველი“, აშა < აშაპ „ფეხი“, **თა/გ** „შიგნით, სიღრმეში“.

ნ'გ' — „სიბრტყეზე (პორიზონტალურად, სივრცეში)“:

ანტცი „კანაფი“, **ნ'გ'** „სიბრტყეზე (ჰორიზონტალურად, სივრცეში)“. შდრ. ანტში „მიწა“.

ადიგარტნ „ია“, ადიტ „მინდორი“, აკრა „შუქურა“, **-გნ** „სიბრტყეზე, ჰორიზონტალურად, სივრცეში“.

ხა/ 'გ' — „ზედ, ზევიდან“ < ა-ზე „თავი“:

ახეხნტლა „მწვანილისაგან მომზადებული საკაზმი, თავზე (ზედ) მოსაყრელი“, გურ. „წასაჭარი“, **ხა/ გ** (აბჟ.) < ჯა (აბაზ.) „თავი“.

წა/ 'გ' — „ქვეშ, ქვეშიდან“ < ა-წა „ფსკერი“:

აწყიდტ „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“, **აწა** „ქვეშ“, აყიდტ „ლობიო“. ლოკალური პრევერბი.

აწჰია „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“. აწ < **აწა** „ქვეშ“, (ა)ჰია < აჰირა „ძოვა“ — მასდარი. ლოკალური პრევერბი.

აწიყ / აწტყ „ყურძნის ჯიში“, **აწ** < **აწა** „ქვეშ“, აყ „ყურძენი“. ლოკალური პრევერბი.

ახწიგრ ლბაანგ აწაწარა „ვაზის გადაწიდვნა“, ახწიგრ „ვაზის რქა“, ალბაანგარა „ჩამოღება“ > ლბაანგანგ „ჩამოღებით“, აწაწარა „ქვეშ ამოღება“, **წა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახწიგრ ხწიანგ აწაწარა || ახწიარ აწაწარა „ღერწის, რქის დარგვა“, ახწიგრ „რქა“, ახწიარა „გადაჭრა“ > ხწიანგ „გადაჭრით“, აწაწარა „ქვეშ ამოღება“, **წა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

აჯტ აწხრა „(საწნახლიდან) ღვინის გამოშვება“, აწხრა „ქვეშიდან გამოღება“, **აწ** < **აწა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახ აწხრა „თხლეს გამოღება“, ახ „თხლე“, აწხრა „ქვეშიდან გამოღება“. **აწა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახ ატიარს || ახ აწანტიალარა (ბზიფ.) „თხლეს დაღეჟვა“, ახ „თხლე“, ატიარს „დაჯდომა“, **აწა** „ქვეშ, ქვემოთ“ ლოკალური პრევერბი.

აწიას „მცენარე“, **წ** < **აწა** „ქვეშ, ქვევით“, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

ლა/ 'გ' — „რამეში შიგ შესვლა“:

აჟაღარლარა „ყურძნის შეფერადება, შეთვალება“, აჟ „ყურძენი“, აღტრლა „თვალში შესვლა“, აღარლარა „შიგ შესვლა თვალში“, **ლა-** ლოკალური პრევერბი „რამეში შიგ შესვლა“.

სლაწარა „თესვა“, ლა / 'გ' „შიგ, შორის“, წა / 'გ' „ქვეშ, ქვეშიდან“.

ჭა / 'გ' — „შიგ, ზედ, შიგნიდან“ < ა-ჭა/გ „პირი“:

აჭალარა „მსხმოიარობა“, აჭა „პირი“ > „პირსავსეობა“ ლოკალური პრევერბი.

კგლ — „სიბრტყეზე...“ (ვერტიკალურად):

აჭა ადკლარა „ახლის აღება, მოსავლის აღება“, აჭა „ახალი“, ადკლარა „მიღება, ჩაბარება“ **ადკვ**- ლოკალური პრევერბი.

აა- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აწი „ფითრი“, აწიგლარა „ამოსვლა“, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აჟთარა „რთველი, ყურძნის კრეფა“, აჟ „ყურძენი“, ათარა „ხილის შეგროვება“, **თა** „შიგნით“ ლოკალური პრევერბი, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აწინა „მცენარე“, წ < აწა „ქვეშ, ქვევით“, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

2. მასდარული ფუძეები:

ადგრძ „მეყუნა“, **ადგრ** „ნაცნობი“ < **ადგრრა** „ცოდნა“, აძგ „წყალი“.

აფვზ „ლაქაში“, **აფყარა** „ჭრა“. ზ < ს (გარდაქცევითობის სუფიქსი).

აჭიირა „შამბი, შამბნარი“, **აჭირა** „ძოვა“.

ასახჭიგრა „საკვები ბალახის სახეობა“, **აჭირა** „ძოვა“.

ალაჭიაქინჯა „ველური ხახვისებური მცენარე“, **ალაჭიარა** „გახვევა“.

არშიტიგ „სათესლე ხახვი“, **არშიარა** „გამარგვლა“.

ამკიანდგრ „ჭინჭრის მხალი“, **აკიადგრრა** „ცხენის შეკაზმვა“.

აწი „ფითრი“, **აწიგლარა** „ამოსვლა“.

აზარაყა „მზესუმზირა“, **აზარა** „წყვა, აწყვა“, **აყარა** „ქნევა“.

აშით „ყვავილი“, **აშითრა** „აყვავება“.

არაკია „მხვიარა, მცოცავი მცენარეების ღერო და განშტოებანი“. **აკიანარა** „ცეკვა, გარშემო შემოვლა“.

აჩაკიპა „ცომი“, **აჩ** „პური“, **აკიპარა** „ზეღვა“.

აწჰია „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“, **ჰია** < **აჰირა** „ძოვა“.

აკიშარ || **აკიშგრ** || **აკისგრ** „ყურძნის ჯიში“ < **აკიშარა** „შემოხვევა“.

აქიწა || **აქიწარა** „მაღლარი ვენახი, ვაზნარი“ < **აქიწარა** „ზედ დაღება“.

არტრა „ზოგიერთი ხილის, აგრეთვე ყურძნის სრული დამწიფება“. **არტრა** „შემოსვლა“.

აშიატიარ „ხილის შემოსვლა“, **აში** < **აშიერთა** „აყვავება“ ფუძიდან მიღებული სიტყვა, ამ შემთხვევაში ხილი, **ატიარ** „დაჯდომა“.

აჰალარა „მსხმოიარობა“.

არგუიტი „სასმელი“, აჰირა „დაღვა“.

ამძიძიგ **ძუგ** „გაუტრეცხაობის სუნი“, **ამძიძარა** „რეცხვა“ მ-უარყოფითობის, **გა-** დანიშნულების აფიქსები, **ძუგ** „სუნი“.

აჩანკლარა „ღვინის ჰარმონიულობა“, **აჩან** „კოდი, კოდურა“, **აკგლსრა** „სითხის გაღენა, გასვლა“.

აწწარა (ბზიფ.) || **აწწანარა** „ამჟავება, შეჭანგება, დაჭანგება“

აშორა „დუღილი (აქ ღვინისა)“.

აჰანფშაძიძიგა „ქვევრის სარეცხი, სარცხლი“ **ამძიძარა** „რეცხვა“.

ალაწარა „თესვა“.

არაშიარა „თოხნა, გამარგვლა“.

ატიალიარა „ხენა“.

ათიანსრა „თიბვა“, **ათია** „თივა“, **ანრა** „ჩეხა“.

ათანსარა „რგვა“.

აჩანლტრა „ფარცხვა“ < **აჩანლტ** „ფარცხი“.

აჟორა „თხრა“.

აჩარა „ბარვა, თოხნა“.

ადგოგში „წაღდი“, **ად-** საუბრითიერთო მიმართების პრეფიქსი, **ადგირა** / **ადგიათასსა** „უბრთიერთ ჯიკაობა, ბიძგება“.

ანრა „დაჩეხა“.

აშარა „დაჩეხა“.

ადქივრფარა „დაჩეხა“.

ანჭარან „ყლორტი“, **ანჭარა** „ახოს გატეხა“.

აშიგრ „ხილი“ < **აშირა** „დამწიფება“.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апсуа
бызша ажар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апсуа
бызша ажар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხა-
ზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართუ-
ლი ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის
გრამატიკული მიმოხილვა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი,
2003.

ლომათიძე, 1981 — ქ. ლომთაიძე, ლოკალურ პრევერბთა
ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში,
თბილისი, 1981.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к
яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — П. Джанашиа, Абхазская лексика виног-
радства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд.
филол. наук, Тбилиси, 1955.

Nana Machavariani

**Abkhazian Plant Names Containing Location
Preverbs and Masdar Stems**

Summary

The paper discusses the names included in the semantic field of plant vocabulary. Special attention is paid to the plant names containing location preverbs and masdar stems.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIV, თბილისი, 2006.

აფხაზური აქარს¹ „ფიჩხი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

აფხაზური აქარს¹ აღნიშნავს „ფიჩხს“, იგივე სიტყვა იხმარება ზედსართავ სახელადაც „გამხდარის“ მნიშვნელობით.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვა აფხაზურში ქართველურიდან უნდა იყოს ნასესხები. სვან. ფარხ (მრ. რ. ფარხ-არ) ბქ. „ხაფანგი, კვერნის დასაჭერი“.

ქართ. ფერჯ-ი, „სა-ი-ფე-ჯ-ი-ო არს სხვა რიგად თოკითვე ადგილზედ შეუპყრას ფერხი“ (საბა).

ზან. ფარხი „ხაფანგი“ (ჩუხუა, 2000-2003, 231-232) აღიღურში „ფიჩხი“ არის ჩგ < შაფხ.: ქჯ < *ქგ „წინელი ფიჩხი“ (შენგელია, 2006, 150-152).

ამ ენაშიც, როგორც ვხედავთ, *ქ-ს აღადგენენ, რომელიც აფხაზური ხ-ს ეკვივალენტური ჩანს.

სიტყვის თავდაპირველი ფარხი სახეობა უნდა იყოს სწორედ ქართველურიდან აფხაზურში ნასესხები: ქართულ ხშულ, ყრუ ფშვინვიერ, ბაგისმიერ ფ-ს აფხაზურში კბილბაგისმიერი ტ-სპირანტი შეესატყვისება.

მართალია, ეს ბგერათცვლილება აფხაზურის ნასესხებლექსიკაში რეგულარული ხასიათის არაა, მაგრამ მაინც შეიძლება დაიძებნოს ფ-საგან ტ-ს მიღების მაგალითები: აქერგმ < აფერუმ (შორისდ.), აქლგკა „ნავი, ფელუკა“.

რაც შეეხება სიტყვის ბოლოკიდური უკანაენისმიერი ხ სპირანტის პალატალიზაციას აფხაზურში, იგი გამსესხებელი ენის ი-ხმოვნის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული.

ცნობილი მოვლენაა, რომ, როდესაც გამსესხებელ ენაში გ, ქ, კ, ლ, ხ, ყ თანხმოვნებს ი ხმოვანი მოსდევს, აფხაზურში სესხებისას იგი წინამავალი თანხმოვნის პალატალიზაციას იწვევს (ლომთათიძე, 1976, 60).

მსგავსი მნიშვნელობის ***ფარცხ** ფორმა აღდგენილი აქვთ ფენრიხსა და სარჯველაძეს (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 458).

ქართ. **ფარცხ**-/**ფარცხ**-/**ფარცხ** **ფარცხ**-ი; **ფარცხ**-ილ-ი/**ფარცხ**-ილ-ი;
ფარცხ-ენ-ა/**ფარცხ**-ენ-ა; **ფარცხ**-ენ-ს/**ფარცხ**-ენ-ს.

მეგრ. **ბუცხ**-/**ბირცხ**- **ფოცხ**-ი „ფოცხი“; **ბუცხ**-ა / **ბირცხ**-ა „ფარცხილი“; **აკა-ბუცხ**-ა „ძალიან მცირე“;

ლაზ. **ბუცხ**- **ბუცხ**-ა „ფარცხილი, ფოცხი“; **ბუცხ-უფ**-ს „ფოცხავს“; **დო-ბუცხ-უფ**-ს „დაფოცხავს“;

ძველ ქართულში ფარცხილ- „სატანჯველ იარაღსაც“ აღნიშნავს: ფარცხილებითა რკინისაითა ხუეტნეს გუერდნი მისნი (დიდი სვინაქს. 17, 31-33).

ძველ ქართულ ძეგლებში დასტურდება აგრეთვე ფუცხე „ჩანგალი“ (მღრ.: მეგრ.: **ბუცხ** < **ბურცხ**- რ-ს დაკარგვით, ისე როგორც ლაზ. **ბუცხ**-).

როგორც სულხან-საბა მიუთითებს: „ეცე არს კავოელი რკინა, ქვაბით ხორცთა ამოსაღებელი“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 459).

„და ფუცხუები მისი რვალისაი“ (გამოსლგ. 38, 23).

იოანე ოქრობირის „ასკეტიკონში“ (104, 12-13) ვხვდებით ასეთ წინადადებას: „გამოვიძიოთ ფუცხუთათჳს რკინისათა“. ტექსტებში შემთხვევითი არ უნდა იყოს მითითება / განსაზღვრებანი: „რვალისაი“, „რკინისათა“. ეს, ჩვენთვის საინტერესო ხაზგასმა, ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აღნიშნული ნივთები: ხაფანგი, ფოცხი, ჩანგალი... ხისაც არსებობდა, ან თავდაპირველად, სავარაუდოდ, ხისაგან მზადდებოდა.

ჩვენი აზრით, **ფარცხი** „ხაფანგი“, **ფარცხი** „ფოცხი“, **ფუცხუ** „ჩანგალი“ სემანტიკურად მონათესავე სიტყვებია, ამ უკანასკნელებშიც ბგერის გამოვლენა თანხმოვანთა ჰარმონიულ კომპლექსთა ჩამოყალიბებით შეიძლება აიხსნას (**ხ** სათანადო ფშვინვიერებთან: ფხ, თხ, ცხ, ჩხ) (შანიძე, 1980, 23).

შესაძლოა აფხაზურის **ქარც** ფუძემ თავად დაკარგა -ც, თანხმოვანი (რომელიც ქართულ **ფარცხ**ში დასტურდება ამჟამად) აფხაზურისათვის არანიშანდობლივი ბგერათმომდევრობის გამო.

ამრიგად, **აფარხ** „ფიჩხი“ აფხაზურში შესული უნდა იყოს ქართველურიდან: ან (უშუალოდ) **ფარხ**, ან **ფარცხ** (ც-ს დაკარგვით) ფუძეთა სახით.

ის ფაქტი, რომ **ფარხი** ქართველურში ამჟამად სხვა მნიშვნელობისაა, ჩვენი მოსაზრებისათვის დაბრკოლებად არ უნდა ჩაითვალოს; აღნიშნულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მნიშვნელობის გადაწვევასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ლიტერატურა

ლომთათიძე, 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1976.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 — პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, თხზულებანი III, თბილისი, 1980.

შენგელია, 2006 — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, 2006.

ჩუხუა, 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

Nana Machavariani

Towards the etymology of the Abkhazian word *afarx* ‘twigs’

Summary

The article deals with the opinion that *afarx* ‘twigs’ entered in Abkhazian from Kartvelian or in the form of stems **parx** or **parcx** (lossing of **c**).

პროფესორ იან ბრაუნის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2006.

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის ც⁰- პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში

აფხაზურში ვითარებითი ზედსართავის ოდნაობით ხარისხს -ც⁰ პრეფიქსი აწარმოებს: ა-ც⁰გ-ყაფშ „მოწითალო“, ა-ც⁰გ-ჟაჟ „მოყვითალო“, ა-ც⁰გ-ხ⁰ა „მონაცრისფრო“.

-ც⁰ა სუფიქსი გამოიყენება ასევე ინტენსივობის გამოხატვის ფუნქციით და დგას უშუალოდ ზმნის ძირის შემდეგ. იხმარება უპირატესად ზმნის უარყოფით ფორმებში: დ-ღუ-ც⁰ა-მ „იგი (არა-გონ.) დიდი სულაც (ოდნავადაც) არ არის.“

ეს -ც⁰ა შესაძლოა სწორედ ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის -ც⁰ა მაწარმოებლის ტრანსფორმირებული სახეობა იყოს.

ჩვენი აზრით, ც⁰ აფიქსი უნდა უკავშირდებოდეს სასხვისო (სა-ზიანო) ქცევის ც⁰- პრეფიქსს აფხაზურში.

აფხაზურ ზმნაში ზმნის სასხვისო ქცევა ორი ქვესახეობითაა წარმოდგენილი: სასარგებლო ქცევა, რომელიც ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო მოქმედებას აღნიშნავს, მისი ნიშანია ზ- პრეფიქსი; საზიანო ქცევა, რომელიც სუბიექტისათვის საზიანო მოქმედებას აღნიშნავს, მისი ნიშანია ც⁰- პრეფიქსი;

ქცევათა აღნიშნული ქვესახეობანი მიმართულების გაგებასაც შეიცავენ, (ქართულში მიმართულების აღსანიშნავად თანდებულები და ზმნისწინები გამოიყენება.) აღნიშნულ შემთხვევაში ზ- აფიქსით გადმოცემულ მნიშვნელობას -თვის თანდებული, ან მი- ზმნისწინი შეესატყვისება: დ-ღ-ზგ-ზ-გო-ღტ „მე რაღაცა მისთვის (ქალისათვის) მიმაქვს“; ც⁰ აფიქსით გადმოცემულ მნიშვნელობას კი გან- თანდებულის, ან მო- ზმნისწინი შეეფერება: დ-ღ-ც⁰გ-ზ-გო-ღტ „მე რაღაცა მისი (ქალის) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს, მისგან მომაქვს“. რაც ქართულში თანდებულისა და ზმნისწინის კომბინაციით გამოიხატება, აფხაზურში ერთ აფიქსს შეუძლია გამონახატოს (ლომთათიძე, 1947, 417-418).

დედამეზილის მოსაზრებით **ც** ელემენტი უბიხურია (დედამეზილი, 1932, 199).

აფხაზურ-უბიხური **ც**- როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ქვემო ადიღურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს **ს**-ს, რომლისგანაც მოდის ყაბარდოული **ფ**;

ქეთევან ლომთათიძის ვარაუდით, იგი აფხაზურისავე ცოგრ-„გარეთ“ წინდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს. აცოგრწრა „გარეთ გამოსვლა“, აცოგრგარა „გარეთ გამოტანა“ (ლომთათიძე, 1947, 419).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ც** აფიქსი უნდა მომდინარეობდეს აფხაზური აცორა „თლა“, „გათლა“, „თრაშვა“ მასდარისაგან: არი აქდღ იბზინაღ იცოგ! „ეს მორი კარგად გათალე!“ ზმნური ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა კი უნდა იყოს ა-ცოა „ტყავი, კანი, ნაჭუჭი, ქერქი, ალარდენი“. შდრ.: ქართ.: „ტყავი, ჩამოტყავება“ (მაჭავარიანი, 1998, 28).

ლგშაპქა ლცოშტ ლან „მას (ქ.) ფეხები ჩამოაჭრა დედამისმა“; შაპცოგშ ნაპცოგშ ახეტარდენ დაქოტოოტუპ „ფეხმოჭრილი, ხელმოჭრილი ოქროს ურემზე დასვეს“.

ც-ს თავდაპირველად უნდა ჰქონოდა რალაცის მოკლება, ჩამოჭრის მნიშვნელობა. (აფხაზურისათვის აფიქსთა დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობა დამახასიათებელია; მაგ.: იშასწოშტ „ფეხთ ვიცვამ“, აშაპგ „ფეხი“, იხასწოშტ „თავს ვიხურავ“, ახგ „თავი“ და სხვ.).

ცოგრ „გარეთ“ წინდებულშიც შესაძლოა ეს ელემენტი მონაწილეობდეს „კანის, ტყავის“ (წარმოსახვითი) გაგებით.

ვითარებით ზედსართავთა აღმატებითი და ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებლად ზმნური ელემენტების გამოყენება არც ქართულიათვისაა უცხო.

გავიხსენოთ ვითარებითი ზედსართავის აღმატებითი ხარისხის **უ**- პრეფიქსის წარმოშობის აკ. შანიძისეული ინტერპრეტაცია: მ-მ-მჯობ-ე-ის-ი, გ-მ-მჯობ-ე-ის-ი, ხ-უ-მჯობ-ე-ის-ი; (შანიძე, 1980, 143)

აკ. შანიძის აზრით, ვითარებითი ზედსართავის **უ**- პრეფიქსი წარმოშობით სასხვისო ქცევის **უ**- პრეფიქსი უნდა იყოს. (შანიძე, 1980, 143).

საყურადღებოა აგრეთვე ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად **მო-ო**, **წა-ო** კონფიქსის გამოყენება ქართულში: მოწითალო / წაწითალო, მოთეთრო / წათეთრო. აკ. შანიძე ფიქრობს, რომ როგორც **მო-**, ისე **წა-** წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები (შანიძე, 1980, 141).

იგივე **ც** ელემენტი აფხაზურში შესაძლოა ადამიანის (გონიერთა) მრავლობითობის გამომხატველ **-ცა** სუფიქსშიც ვივარაუდოთ: ასტუდენტცა „სტუდენტები“, აძლბცა „გოგოები“, აჭკგნცა „ბიჭები“.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ელემენტი მონაწილეობს აფხაზურ აც⁰-ეიჟ „სხელი“, სიტყვასიტყვით: „კანი და ხორცი“ კომპოზიტშიც, რომელიც მხოლოდ ადამიანის მიმართ იხმარება და ქართული „სისხლი და ხორცის“ სემანტიკისაა.

ც ელემენტი რალაცის „მოკლება“, „ჩამოჭრის“ მნიშვნელობასთან ერთად შესაძლოა ითავსებდეს მისთვის სრულიად საპირისპირო, გონიერთა კლასის მრავლობითობის აღნიშვნასაც; ამ, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს, როგორებიცაა „მოკლება“ და „სიმრავლე“, „კანის“ / „ტყავის“ მთლიანობის გაგება უნდა შეიცავდეს თავის თავში.

საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე -აცა ელემენტის მონაწილეობა განუსაზღვრელი რიცხვითი სახელის ა-რაცა „ბევრი, მრავალი“ ფუძეში: აუა რაცა „მრავალი ხალხი“, ამთა რაცანგ იჰამოუბ „ბევრი დრო გვაქვს“.

ამ ლექსემაში თავკიდური **რ-** წარმოშობით III პირის მრავლობითობის, აწ უკვე გაქვავებული, პრეფიქსი შეიძლება იყოს. მაგ.: აუა რაც⁰ოუბ სიტყვასიტყვით: „ხალხი (მათი) სიმრავლეა“, წარმოსახვითი მნიშვნელობით: „ხალხი (მათი) მრავალ ტყავობაა“.

ის ფაქტი, რომ აფხაზურში მრავლობითობა სუფიქსით აღინიშნება, ხოლო საზიანო ქცევისა და ზედსართავის ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლები პრეფიქსებია, მსგავსი სიძველის გრამატიკული მოვლენისათვის, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება.

ამრიგად, ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის (ა)ც⁰- პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის ც⁰- პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -ც^ა სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ ც⁰ აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ საყურადღებოა ქართული ჩვენება.

თუ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება აფხაზურ ენაში არსებულ ობიექტურ ვითარებას მართლაც შეეფერება, ეს შესაძლოა დამატებით მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით ნიშანდობლივად გვეჩვენება.

ლიტერატურა

დუმეზილი, 1932 — A. Dumezil. Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris, 1932.

ლომთათიძე, 1947 — ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბილისი, 1947.

მაჭავარიანი, 1998 — ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო ქცევის ც⁰ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, კრებ. „არნ. ჩიქობავა 100“, თბილისი, 1998.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

Nana Machavariani

**Towards the History of the Abkhasian Prefic c° Indicating
Slight Degree in Manner Adjectives**

Summary

In the paper it is assumed that the Abkhasian adjectival prefix c° showing a slight degree, the objective version forming prefix c° – and the suffix c°a forming the plural of the class of the reasonable are of the same origin.

The affix in question might have originated from the word ac°a meaning skin / h. de.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXV, თბილისი, 2007.

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში

1. ა-ჯგსთაა „ემმაკი“

აფხაზურში **ა-ჯგსთაა** // **ა-ჯსთაა** აღნიშნავს „ემმაკს“, „მაც-დურს“. იხმარება აგრეთვე ზედსართავის ფუნქციით „ემმაკის“, „ცბი-ერის“, „გაქნილის“ მნიშვნელობით.

აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ ენებში ასეთი ან მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი ძირის ლექსემა არ ჩანს.

ადილურში აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება არაბული წარმომავლობის „შაითან“ სიტყვა.

ქართველურში ეს მნიშვნელობა აქვს ირანული წარმოშობის „ემმაკ“ ლექსემას.

ვფიქრობთ, აფხაზურში დადასტურებული **ა-ჯგსთაა** სიტყვა ნა-სესხები უნდა იყოს ახალი სპარსულიდან, სადაც იგი აღნიშნავდა ძველ ირანელთა რელიგიის ზოროასტრიზმის უძველეს ლიტერატურულ ძეგლს.

საშუალ სპარსულში ამ ნაწარმოებს ეწოდებოდა **apastak** „ფუ-ძე“, ანუ „ძირითადი ტექსტი“. ახალ სპარსულში მისი ფონეტიკური სახესხვაობაა **avistā**.

ჩვენს ვარაუდს ფონეტიკური დაბრკოლება არ ახლავს, ირანული სიტყვის ბოლო გრძელი **ā** ხმოვანი აფხაზურში ორი **ა**-თია წარმოდგენილი, რაც ნასესხებ მასალაში აფხაზურისათვის ნიშანდობლივია, ხოლო თავკიდური **ა**- ენამ, როგორც ჩანს, აფხაზურისათვის დამახასიათებელ ზოგადობა-განსაზღვრულობის ფორმანტად აღიქვა.

რაც შეეხება სიტყვის სემანტიკურ მხარეს, ვფიქრობთ, ამ ლექსემით ბოროტი ძალის აღნიშვნა აფხაზურში მეორეული უნდა იყოს. თავდაპირველად, ცეცხლთაყვანისმცემლობის ხანაში, ტერმინის მნიშვნელობა არ უნდა ყოფილიყო უარყოფითი არც აფხაზურისათვის; სავარაუდოდ, იგი ამ ენაში შემოვიდა, როგორც ცეცხლმსახურების

მთავარი ტერმინი, ხოლო შემდგომ, როდესაც მაზდეანობას ქრისტიანობა ჩაენაცვლა, სიტყვამ შეიძინა უარყოფითი სემანტიკა და ავი, ბოროტი ძალის აღნიშვნა იტვირთა.

ანალოგიური მოვლენები ცნობილია კულტუროლოგიიდან: როდესაც ერთი რელიგიის მეორეთი ჩანაცვლება ხდება, წინამორბედი რელიგიის მრავალი ტერმინი ჩამნაცვლებელ რელიგიაში აღმოჩნდება ხოლმე.

მაგალითად, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის სოლიდური ნაწილი ირანული წარმოშობისაა: ზუარაკი, ბარძიმი, ფეშხენი, ტაძარი... (ანდრონიკაშვილი, 1966, 34).

ჩვენს მოსაზრებას გარკვეულ სირთულეებს უქმნის სიტყვის სესხების გზებისა და მიმართულებების დადგენა.

შესაძლოა, სიტყვა აფხაზურში მოხვედრილიყო ყარაჩაულ-ბალყარულიდან ან ოსურიდან...

თუმცა ოსურში მსგავსი ლექსემა ვერ დავადასტურეთ. აქ **ჭგს** ნიშნავს „ნაწერს“. ხომ არ არის ეს სიტყვა კავშირში ავესტასთან „ნაწერის“ სემანტიკით? აღსანიშნავია ისიც, რომ ოსურად **ჭგს** „ცხვარს“ აღნიშნავს. — ცხვარი/ტყავი/ნაწერი — სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებადი ცნებებია.

ენათმეცნიერებაში ცნობილია ფაქტები, როდესაც გამსესხებელი ენიდან ნასესხები სიტყვა მსესხებელ ენაში დადასტურებულია, გამტარში კი აღარ ჩანს.

საკვლევი ლექსემა აფხაზურში გადარჩენილია მსგავსად ხელსაყრელ ეკო-გეოლოგიურ პირობებში მოხვედრილი პალეოლითის დროინდელი არსებისა, რომელსაც დრომ სახე ვერ უცვალა.

თუ ჩვენი მოსაზრება სიტყვის წარმომავლობის შესახებ ობიექტურ ვითარებას მართლაც შეეფერება, მაშინ ეს გარემოება კიდევ ერთხელ გაუმაგრებს საფუძველს აზრს იმის თაობაზე, რომ აფხაზთა თავდაპირველი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასია უნდა ყოფილიყო.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ- ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1, თბილისი, 1975.

Осетинско-русский словарь, Орджоникидзе, 1962.

Nana Machavariani

Towards the Origin of Anthropomorphic Creatures in Apkhazian

Summary

The paper argues that the word *ayəṭaa* (meaning - devil) evidenced in Apkhazian might have been borrowed via Ossetian from New Persian. In the latter it nominated the ancient written record of Zoroastrianism - *Avistā*.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXVI, თბილისი, 2008.

ანთრპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში

2. აძქღლან // აძგზღლან „ალი, ფერია“

აფხაზურში **აძქღლან // აძგზღლან** აღნიშნავს „ალს, ფერიას“.

აძქღლან // აძგზღლან ლექსემა რთული შედგენილობისა უნდა იყოს: **აძგ** „წყალი“, + ***-ს** > **-ზ** (გარდაქცევითობის მაწარმოებელი სუფიქსი) + **ლა** (ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას გამოხატავს) + **-ნ** (ნამყო განუსაზღვრელი დროის, ამ შემთხვევაში, გაქვავებული სუფიქსი).

***ა-აძქღლან > აძგზღლან > აძქღლან** უნდა მიგვეღო პროგრესული ასიმილაციით;

-ს წინაენისმიერი სისინა ფშვინვიერი სპირანტი **-ლ** სონანტთან მეზობლობაში გამჟღერდა და მოგვცა **-ზ** წინაენისმიერი სისინა მჟღერი სპირანტი; შემდეგ წინამავალი სისინა აფრიკატის, **ძ**-ს გავლენით ასიმილირდა და თავადაც იქცა წინაენისმიერ სისინა აფრიკატ **ძ**-დ. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია აფხაზურისათვის.

თუმცა, **აძქღლან // აძგზღლან** ორივე ცოცხალი, პარალელურად არსებული ფორმაა აფხაზურში.

-ს სუფიქსი გარდაქცევითობის მაწარმოებელია, ამ სუფიქსდართული სახელების მნიშვნელობას აფხაზურში ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელის მნიშვნელობა შეეფერება.

ლა- ლოკალური პრევერბი პირის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

აფხაზურში ლოკალური პრევერბები წარმოშობით უკავშირდება სათანადო სახელთა ძირებს თუ ფუძეებს. ლოკალურ პრევერბთა შემცველი ზმნები ხან შეიცავს პირის ნიშანს, ხან არა.

ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აბსტრაპირებულ / განზოგადებულია თვით პრევერბის მნიშვნელობა. რაც უფრო მეტია

ლოკალური პრევერბის განზოგადების ხარისხი, მით ნაკლებია პრევერბთან პირის ნიშნის გამოვლენის სიხშირე.

თუ განზოგადებული, არაკონკრეტული შინაარსით არის აღებული ზმნა, არ არის ნაგულისხმევი კონკრეტული პირი, აღარც მისი ექსპონენტი ჩანს (მსჯელობა ემყარება: ლომთათიძე, 1982, 5, 8, 62).

სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე აღნიშნულ მაგალითში.

რაც შეეხება **-ნ** სუფიქსს, იგი უნდა წარმოადგენდეს ნამყო განუსაზღვრელი დროის ამჟამად გაქვევებულ სუფიქსს, თუმცა, **-ნ** სუფიქსი სახელთა წარმოებაშიც გვხვდება (ლომთათიძე, 1977, 140).

ამრიგად, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „წყლად შიგ მყოფი“.

აღნიშნული სემანტიკა „ალი“ ლექსემისა არც ქართულ-კავკასიური ფოლკლორისთვისაა უცხო.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ალი“ ლექსიკური ერთეული დამოუკიდებლად არ არის განმარტებული, მაგრამ განმარტებულია შემდეგი ლექსემები:

„ალის-კბილი — ზღვის ჭრელი ლოკოკინის ბუდე. ბავშვებს ჰკიდებდნენ, თვალი არავინ ჰკრასო“.

„ალის-ყური — ზღვის დიდრონი ჭრელი ლოკოკინის ბუდე“.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ანთროპომორფული არსება **ალი** ქართულ ცნობიერებაშიც წყალთანაა დაკავშირებული.

ლიტერატურა

ლომთათიძე, 1982 — ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურ-აბაზურში, თბილისი, 1982.

ლომთათიძე, 1977 — აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1977.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.

Nana Machavariani

**Towards the Origin of Some Abkhazian Names for
Antropomorphic Beings**

(აჰჰჰლან//აჰჰლან meaning a mermaid, fairy)

Summary

The Abkhazian აჰჰჰლან//აჰჰლან denotes a mermaid, fairy. The paper argues that the given lexeme might have a complex structure: აჰ meaning 'water', + the transformation denoting suffix *-s > z + la, the local preverb, + n the frozen form of the Simple Past suffix. *a-ჰჰლან > აჰჰლან > აჰჰლან is a sample of progressive assimilation.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXVIII, თბილისი, 2008.

აფხაზური აძანა „ვაზი“ ლექსების წარმომავლობისათვის

აძანა აფხაზურში ვაზის სახელწოდებაა. ბ. ჯანაშიას აზრით, აბუ. **აძანა** და მისი ფონეტიკური ვარიანტი ბზიფ. **აძნა** უნდა წარმოადგენდეს ორცნებიან კომპოზიტს, რომლის პირველი ელემენტი **ძა-**, დეტერმინანტი სუფიქსის გარეშე, უკავშირდება ძველ ქართულ **ძელს**, რომელსაც ზანური შიშინა **ჯ** ვარიანტი შეესაბამება: **ჯ; ჯა** „ხე“.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აფხაზურმა, ძველი ქართულის მსგავსად, შემონახა ძირის სისინა სახეობა.

იმავე **ძა-** ელემენტს ბ. ჯანაშია გამოყოფს **აძაცა** „ხის კანი“ სიტყვაშიც, სადაც **ძა** „ხეა“, **აცა** „კანი“. რაც შეეხება სიტყვის მეორე, **ნა** ელემენტს, იგი, ბ. ჯანაშიას აზრით, იგივეა, რაც აფხაზური **ანა** „მოლუნული“.

ამგვარად, ასკვნის მკვლევარი, კომპოზიტი **აძანა** უნდა ნიშნავდეს „ხე მოლუნული“ (ჯანაშია, 1955, 2-4).

ჩვენი აზრით, აფხაზური ენის **აძანა** „ვაზი“ უნდა უკავშირდებოდეს ქართულში არსებულ მცენარის სახელწოდებას ძახველი.

ბოტანიკური ლექსიკონი აღნიშნულ მცენარეს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ძახველა, ძახველი **калина обыкновенная**, ვიბურნუმ ობულუს. 1. ქრთ., კხ. ძახველა; მთ., ფშ., ხვს., ქვ. რჭ. მჯახველი; თშ. ძხველი, ჯარხველი; ქრთ., მსხ., რჭ., ლჩხ., იმ. ჯახველა, ჯანხველი; ჯარხველი, ჯაკველი; მგრ. ძარიწუფა; სვან. წანწოფ, წონწოფ, სანწოფ“ (მაყაშვილი, 1961, 89).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ძახველი** განმარტებულია, როგორც საშუალო სიდიდის ბუჩქი; იკეთებს ქოლგის მსგავსად შეკრებილ თეთრ ყვავილებს; ისხამს წითელ, წვნიან, ერთკუროკიან ნაყოფს; იზრდება ტყეებში. ძახველის ჭალა...

სახელწოდება **ძახველი** დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში (საბა, 1993, 352).

ქართული **ძავგ-** (***ძავუ-**) ძირის შესატყვისია სვანური **ჟაკუ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 623).

გამორიცხული არაა, **ძახველი** ლექსემა ქართულშიც ისტორიულად საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენდეს: სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს, მართლაც, **ძა/ჯა** „ხე“; ხოლო მეორე: **ხგ-ელ** ელემენტი შესაძლოა მომდინარეობდეს (**შემო**)-**ხგ-ევ-ა** მასდარული ფუძისაგან.

ქართ. ხუ / მო-ხუ-ევ-ა; სა-ხუ-ევ-ელ-ი; შე-ხგ-ევ-ა... მეგრ. ხ-ქიმ-შა-ა-ხ-უ „შეახვია“.

ქართული **ხუ-** ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული **ხ** (<***ხუ-**) არნ. ჩიქობავას აზრით, ამავე ძირს უკავშირდება ლაზური **ხგ** (ჩიქობავა, 1938, 423; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 696).

აფხაზური **აძახა** „ვაზი“ და ქართული **ძახველი** — ხის სახელწოდება ერთნაირი აგებულების სიტყვები ჩანს. ტერმინის როგორც პირველი (**ა**)**ძა** „ხე“, ისე მეორე (**ა**)**ხა** „მოღუნული“ შემადგენელი ლექსემები ქართული წარმოშობისად გვესახება, რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ აფხაზურში აღნიშნული სიტყვა ქართულიდან არის შესული.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს თვით ძახველისა და მისი ნაყოფის აგებულება/დახასიათებაც (ვგულისხმობთ ვაზისა და ძახველის გარეგნულ მსგავსებას).

ლიტერატურა

მაყაშვილი, 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბილისი, 1961.

საბა, 1993 — ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, 1993.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2000.

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანთრ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1942.

ჯანაშია, 1955 — Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тбилиси, 1955.

Nana Machavariani

Towards the Origin of the Apkhazian Lexeme *azax^oa*

Summary

B. Janashia connects the element **aza** of the lexeme **azax^oa** (vine) with the Old Georgian **zel-**; The paper argues that the second component of the word **x^oa** is similar to the Apkhazian **-ax^oa** (crooked). Hence, it is assumed that the Apkhazian **azax^oa** (vine) originates from the Georgian **zaxveli**. The Georgian **za** might denote 'tree' whereas the component **xvel** is connected with **xveva** (winding). Thus it is concluded that the Apkhazian **azax^oa** and Georgian **zaxveli** have similar structures - determinandum - determinatum. Moreover, the elements **(a) za** (tree) and **ax^oa** (crooked) are considered to be of Georgian origin, hence the discussed word is a borrowing from Georgian.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXVI, თბილისი, 2008.

ლექსემა „მერცხლის“ ეტიმოლოგიის კიდევ ერთი ცდა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **მერცხალი** განმარტებულია შემდეგნაირად: „პატარა სწრაფი ფრინველი. აქვს გრძელი, წაწვეტებული ფრთები და მაკრატელივით ბოლო“.

მეგრულში ამ ფრინველის სახელწოდებაა **მაჭირხოლი** || **მარჭიხოლი**, სვანურში კი **შდაუალ**.

ამჟამად **მერცხალი** / **მაჭირხოლი** ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ერთი ამოსავალი ლექსემის ორი ფონეტიკური ვარიანტი, ხოლო სიტყვის სახელდების მოტივაცი-ად მიჩნეულია ხმაბაძვა.

აღნიშნული ლექსემის ეტიმოლოგიზაციის ისტორია ასეთია:

თავდაპირველად ქართულ „მერცხალ“ ლექსემას ნიკო მარი უკავშირებდა „მეხს“, „მეყსეულს“, „წამიერს“, „უეცარს“, ხოლო მეგრულ „მარჭიხოლს“ კი „ვარსკვლავს“ (მარი, 1909, 1158).

1918 წელს მარი შენიშნავდა, რომ „ციალი და მერცხალი წარმომდგარია ერთი და იმავე ძირიდან“ (მარი, 1918, 2097).

1922 წელს მარი ასკვნის: „მარტიჟოლ „მერცხალი“ და „ვარსკვლავი“ ერთი ძირისაა; ეს სახელდობრ „ვარსკვლავია“; მისი ფუძე **მარტქ** // **მარსკ** // **ვარსკ**, ისევე, როგორც **მასკ** // **ვასკ**, აღნიშნავს „ვარსკვლავს“... მურციქი „ვარსკვლავი“ იმავე მარსკ-ისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების დიალექტური სახესხვაობაა და ესეც აღნიშნავს „ვარსკვლავს“ და ფუძეს სიტყვის „მერცხალი“ (მარი, 1922, 42).

ამგვარია ქართული „მერცხალი“ და მეგრული „მაჭირხოლი“ სიტყვის ნ. მარისეული ეტიმოლოგია.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნული სიტყვის ერთნაირ ეტიმოლოგიას გვთავაზობენ გ. ა. კლიმოვი და ტ. გუდავა.

„**მარჭიხოლ**“ ფუძიდან თუ ამოვალთ, — წერს ტ. გუდავა, — ქართულში მისი ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი უნდა ყოფილიყო ***მერწინალ**-, სწორედ ეს აღდგენილი ფორმაა ამოსავალი ქართული-სათვის; **-რწინ-** მარცვალში ჩავარდნილია **ი**, ხოლო შემდგომ არაბუ-

ნებრივი **წხ** კომპლექსი შეცვლილია ბუნებრივი (ჰარმონიული) **ცხ** კომპლექსით: ***მერწინალ > *მერწხალ > მერცხალ...** ამგვარად, **მე-რცხალი < მერწინალი // მეწინალი** ეტიმოლოგიურად „მოჭიკჭიკეს“ (**რწინ // წირხ**) ხმის გამომცემს ნიშნავს.

ფუძეში **-რწინ-** / **-რჭინ-** რ ფონეტიკურად განვითარებული შეიძლება იყოს. ან კიდევ ფუძის შიგნიდან წინ გადმოსმული (***წირხ > რწინ, ჭირხ > რჭინ**). უფრო ბუნებრივი თითქოს ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ჩანს. ამის გათვალისწინებით: ***მე-წირხ-ალ > *მე-რწინ-ალ > *მე-რწხ-ალ > მე-რცხ-ალ**. მეგრულში მარჭიხოლის გვერდით მართლაც გვაქვს მაჭირხოლიც (ზუგდიდურ კილოკავში). ი. ყიფშიძე თავის ლექსიკონში ძირითად ფორმად სწორედ **მაჭირხოლს** ასახელებს (გუდავა, 1964, 144).

„ეს ხმაბაძვითი ფუძე **ჭირხ-**, განაგრძობს ტ. გუდავა, — (ქართ. **წირხ-**ის ბადალი) დღემდე გვხვდება მერცხლის ჭიკჭიკის აღსანიშნავად, მაგ. ხალხურ ლექსში:

მარჭიხოლი ჭირხოლია,
სკანი ბუდე მუ ღოლია? —
„მერცხალო მოჭიკჭიკევ,
შენი ბუდე რა უყავ?“

სემანტიკური ანალოგიისათვის ტ. გუდავას მოჰყავს სომხ. წიწერნაც „მერცხალი“, რომელშიც პირველად ფუძედ მიჩნეულია ხმაბაძვითი წარმოების **წერ** (გუდავა, 1964, 145).

ამავე აზრისაა გ. ა. კლიმოვიც; „მერცხალს“ იგიც (მეგრ. „ჭირხინის“ საფუძველზე) „ჭიკჭიკის, ჟღურტულის“ მნიშვნელობის მქონე ზმნური ფუძიდან ნაწარმოებად თვლის, **მე-, -ალ-** აფიქსაციით და მაგალითად მოჰყავს „შოშია მარჭიხოლი“ (კლიმოვი, 1964, 155).

განხილული მოსაზრებანი სიტყვის წარმოშობის თაობაზე საშეცდინო ლიტერატურაში განიარებულა:

„მერცხლის“ ტ. გუდავასაეულ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ფ. ერთელიშვილი: „მართებული ჩანს მოსაზრება **მერცხალ // მარჭიხოლ** ფუძეთა თაობაზე, აღნიშნავს მკვლევარი, ***წირხ > რწინ, ჭირხ > რჭინ. რ** ანლაუტში მართლაც მეტათეზისის შედეგი ჩანს. ქართულში გვაქვს კიდევ ამოსავალი ფუძე დაცული, მაგრამ ზანური

„იერთ“: ჭრიხვა — კრუხვა, ჭრიხინი — ჯოჯობთა და მისთანათა ჯმი-
ანობა (საბა)...“ (ერთელიშვილი, 1970, 178).

სხვადასხვა ენებსა და, მათ შორის, ქართულშიც, ფრინველთა
ხმაბაძვითი სახელწოდებანი მრავლადაა. ასეთი ხმაბაძვითი სახელები
უმეტესად რედუბლიცირებულ ფუძეებიანია: კაჭკაჭი, გუგული, ჯოჯო-
ბი, კაკაბი, ლულუნი (მტრედი), ოფოფი...

ფრინველთა სახელებისას, ხმაბაძვის გარდა, ცნობილია ნაირ-
გვარი მოტივაცია;

ამ მოტივაციათაგან ერთ-ერთია ფიტონიმთა გამოყენება ზოო-
ნიმებში; მაგ.: მოლალური (სარჯველაძე, 1965, 39), ნიბლია, მაფშა-
ლია და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც ფრინველის სახელწოდებაში გა-
მოიყენება ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა. ასეთია მაგ.: აფხაზური
აჟუწეს „მერცხალი“. ეს სიტყვა ზედმიწევნით ნიშნავს „ძროხის ჩიტს“.

ამის კვალობაზე, ხომ არ მომდინარეობს ქართული „მერცხა-
ლი“ ლექსემაც შინაური ოთხფეხა ცხოველის „ძროხის“ სახელწოდე-
ბისაგან?

სახელწოდების წარმოშობის ისტორია შემდეგნაირად გვესახე-
ბა:

ძველ ქართულში დასტურდება **ზროხა***¹ — „ზოგადი სახელი
არს ყოველთა ზროხათა“ (საბა, 1991, 286).

ზროხა-საგან ახალ ქართულში ბგერათა სუბსტიტუციის შედე-
გად მივიღეთ **ძროხა**.

აღნიშნულ **ზროხა** / **ძროხა** ლექსემაზე **მე-ალ** კონფიქსის დარ-
თვის შედეგად პროცესი უნდა წარმართულიყო ასე: ***მე-ზროხ-ალ-ი**
/ ***მე-ძროხ-ალ-ი** > ***მე-ძრხ-ალ-ი** > **მე-ცრხ-ალ-ი** > **მე-რცხ-ალ-ი***.²
ო- ბგერის რედუქცია (სინკოპე) უნდა გამოეწვია **-ალ** ფორმანტს,
ამავე დროს უნდა მომხდარიყო **რ-** ბგერის მეტათეზისი, ხოლო არა-
ბუნებრივი **ძხ** კომპლექსი უნდა შეცვლილიყო ბუნებრივი (ჭარმონიუ-
ლი) **ცხ** კომპლექსით.

*¹ „ზროხა“ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ორჯერ.

*² „მერცხალი“ არ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“.

ჩვენთვის ამ ეტაპზე ბუნდოვანია მერცხლის სახელდების მოტივაციის საფუძველი აფხაზურშიც და ქართულშიც...

შესაძლოა, ეს სახელი ერქვა რომელიმე მერცხლის მსგავს სხვა ფრინველს, რომელიც ძროხებს მწერებისაგან ათავისუფლებს და შემდეგ მერცხალსაც დაერქვა.

ან, იქნებ, ძროხათა სადგომზე რომ იკეთებენ მერცხლები ბუდეს — ეს იყო სახელდების მოტივი?

საგულისხმოა, რომ მუხრან მაჭავარიანი სიტყვა „**მერცხალს**“ **ციხე** (< ***ძიხე**), ზან. **ჯიხა**-ს უკავშირებს.

„ქართ. ***მე-ძიხ-არ-ი** = მეგრ. ***მა-ჯიხ-ორ-ი**; „***მე-ძიხ-არ-ი** > ***მე-ძხ-არ-ი** (ფუძეში ჩავარდა **ი**) > ***მე-ცხ-არ-ი** (არაბუნებრივი **ძხ** შეცვალა ბუნებრივმა **ცხ-მ**) > ***მე-რცხ-არ-ი** (**ცხ** კომპლექსის წინ განვითარდა **რ**) > **მე-რცხ-ალ-ი** (ორმა **რ-მ** ვერ იგუა ერთმანეთი)“ (მაჭავარიანი, 2009, 445).

ქართული „**მერცხალი**“ ლექსემის ეტიმოლოგიის ჩვენული ინტერპრეტაცია თუ მართლაც შეეფერება ობიექტურ ვითარებას, გამოდის, რომ ერთისა და იმავე ჯგუფის ენებში სხვადასხვაგვარი მოტივაცია შეიძლება იყოს ერთი და იმავე ფრინველის „**მერცხლის**“ სახელდების საფუძველი.

მეგრულში სახელწოდება ხმაბაძვითია, ქართულში კი სახელების საფუძველია ზოონიმი.

ასეთივე ვითარება დასტურდება აფხაზურ-ჩერქეზულ ენებშიც.

კერძოდ: თუ აფხაზურში მერცხლის სახელწოდებაში დასტურდება **აჟ** „ძროხა“ ზოონიმი, ასე არ არის ადიღურში.

ადიღურში მერცხლის აღმნიშვნელია **პწაშხო** ლექსემა. ამ სიტყვას შაგიროვი უკავშირებს **პწა** „შავი, მუქი ლურჯი“ ფერის აღმნიშვნელ ლექსემას და მიაჩნია, რომ სახელწოდების მოტივაცია არის ფრინველის ბუმბულის შეფერილობა.

უბიხურში მერცხლის აღსანიშნავად გამოიყენება **წგრხნჷ**, **წგშხჷ** / **წაშხჷ**, **წაწაშხოჷ**, როგორც ჩანს, ნასესხები ადიღურ ენათაგან. ადიღური წყაროდან მომდინარე უბიხურ **წაშხოჷ**, **წგშხჷ** ლექსემას აბდაკოვი უკავშირებს აფხაზურ-აბაზურ **აჟიწგს** სიტყვას და ფიქრობს, რომ უბიხური სახელდების წინა ნაწილი **ჟიწგს** იდენ-

ტურია აფხაზური ლექსემის მეორე ნაწილისა და ნიშნავს „ჩიტს“ (შაგიროვი, 1977, 50).

მაშასადამე, ამ მხრივ აფხაზურიც ისეთსავე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათაგან, როგორსაც ქართული ქართველურ ენა-კილოთაგან.

კერძოდ, აფხაზურსა და ქართულში ლექსემის სახელდების მოტივი ერთნაირი ჩანს.

ლიტერატურა

გუდავა 1964 — ტ. გუდავა, „მერცხალი“, იკე. — XIV, თბილისი, 1964.

ერთელიშვილი 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონეტიკური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

მარი 1935 — Н. Я. Марр, Термин "скиф", Избр. работы, V, Москва-Ленинград. 1935.

მარი 1909 — Н. Я. Марр, Яфетическое происхождение армянского слова маргарея "пророк", ИАН, С.-Петербург, 1909.

მარი 1918 — Н. Я. Марр, Osetica japhetica, С.-Петербург, ИАН, 1918.

მაჭავარიანი 2009 — მ. მაჭავარიანი, ორტომეული, ტ. II, ეტიმოლოგიური ძიებანი, ნარკვევები ისტორიიდან, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2009.

საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბილისი, 1991.

სარჯველაძე 1965 — ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, გორის პედ. ინსტ.-ის შრომები, X, თბილისი, 1965.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.

შავიროლოგი 1977 — А. К. Шагиров, Этимологический словарь Адыгских (Черкесских) языков, II, Москва, 1977.

Nana Machavariani

A Lexeme *mercxali* "a swallow" and One More Attempt of its Etymology

S u m m a r y

The article deals with the viewpoint that Georgian lexeme *mercxali* "a swallow" must be originated through the adding of confix *me-al* to the lexeme *zroxa-zroxa* ('four-legged domestic animal'): **me-zrox-al-i* / **me-zrox-al-i* > **me-zrx-al-i* > *me-crx-al-i* > *me-rcx-al-i*.

Reduction (syncope) of *o*- sound must be resulted by *-al* formant, at the same time metathesis of *r*- sound must take place and unnatural *zx* complex must be changed into natural (harmonic) *cx* complex.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXXVII,
თბილისი, 2008.

„ინდი-მინდის“ წარმომავლობისათვის

ქართულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება ამჟამად სემანტიკისაგან დაცლილი ლექსიკური ერთეული „ინდი-მინდი“, რომელსაც რეფრენის ფუნქცია ეკისრება:

„**ინდი-მინდი**, ფერად შინდი,
გადმოფრინდი, გადმობრწყინდი“
იცი, ჩემო სიცოცხლეო,
გულში ვარღათ ჩამიფრინდი“

(ქართული ხალხური პოეზია, VI, თბილისი, 1978, 310-311).

„ვის გაქვთ ბაგე ფერად შვინდი,
თვალი შავი, **ინდი-მინდი**,
გამომყევი, გამობრწყინდი,
სანახავად ნუმცა გინდი“

(ქართული ხალხური პოეზია, VI, თბილისი, 1978, 310-311).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „**ინდი-მინდი**“, დამოუკიდებლად ნახმარი, შეიძლება იყოს ერთი და იმავე ზმნის პირიან ფორმათაგან შემდგარი ორკომპონენტისანი, თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით, „შეკუმშული“ ლექსემა, რომლის პირველი ნაწილის ანლაუტში უნდა ვივარაუდოთ I ობიექტური პირის **მ**-, ან II ობიექტური პირის **გ**- პრეფიქსი, ხოლო მეორე კომპონენტის თავკიდური **მ**- I ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს: ***მ-ინდი-(ხარ)-მ-ინდი(ხარ)** ან ***გ-ინდი-(ვარ)-მ-ინდი(ხარ)**.

დროთა ვითარებაში ლექსემის პირველ ნაწილს (ზმნას) პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე ნაწილს კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომპონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

ამ მოსაზრების საფუძველია უპირველესად ხალხური სატრფიალო პოეზიის ნიმუშები, რომლებშიც მიმართვის ობიექტია მეორე პირი (ქალი).

ხოლო „ინდი-მინდი“ შესიტყვებაში: „თვალი შავი, **ინდი-მინდი**“, უნდა ნიშნავდეს: „*შენი შავი თვალი მინდა, მინდა“.

შესაბამისად „**ინდი-მინდი**, ფერად შინდი“, უნდა ნიშნავდეს: „*შენი ფერად შინდი ბაგე მინდა, მინდა“...

ან:

„თვალი შავი, **ინდი-მინდი**“ უნდა ნიშნავდეს: „*შავი თვალი გინდა, მინდა“... „**ინდი-მინდი**, ფერად შინდი“ უნდა ნიშნავდეს: „*ფერად შინდი ბაგე გინდა, მინდა“...

ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი მთავრდება გამჭვირვალე სემანტიკის მქონე ზმნით — „**გინდი**“: „სანახავად ნუმცა **გინდი**“. აქ **გინდი** აღნიშნავს: ***„გინდი(ვარ)“**. მეშველ ზმნას თანამედროვე ქართულის მიხედვით აღვადგენთ. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ჩვენს მოსაზრებას.

ქართული ენისათვის ზოგადად უცხო არაა ზმნის პირიან ფორმათა გასუბსტანტივება — საკუთარ სახელებად ქცევა:

„ხახაბოს, მიცუ-არდოტა
ცხენტ დასხნეს შარა-გზანია
მინდიკათ გორის ციხეო
შამაგეხვია ჯარია...“

„ტერლის წვერს მონადირეთა
თოფის ხმა იცნეს ძმისაო.

მინდოდა გეუბნებოდა:

„თუ კვალად დაგვკრეს, ვისაო!“

(ქართული ხალხური პოეზია, IV, თბილისი, 1975, 271).

„ჩაგვიძელ ბერო **მინდიავ**,
მუხლი მაიბი მგლისაო,

თან ჩაიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო“...

(ქართული ხალხური პოეზია, IV, თბილისი, 1975, 32).

„არხოტით მზირი გავიდა,
წყრომით გამახყვა ჯვარია,
ხოგაის მინდი გამახყვა
გააბერტყინა ნამია“...

(ქართული ხალხური პოეზია, IV, თბილისი, 1975, 32).

..ხანარემ ცხორი აჰყარა,
მიჯრილი სამი დღე არი,
ადგა და გამაიმართა
ბედრიან-დოვლათიანი“

(უმიკაშვილი, 1964).

ცნობილია, რომ ამ შემთხვევაშიც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ზმნური პირიანი ფორმის გასუბსტანტივებასთან.

თავის ერთ-ერთ ორიგინალურ სტატიაში, რომელიც საკუთარი სახელის — **მედეას** წარმომავლობას ეხება, გიორგი როგავა მიიჩნევს, რომ ანთროპონიმი — **მედეა** (აიეტის ასულის სახელი) უნდა მომდინარეობდეს ასევე საკუთარი სახელისაგან **„მინდა“**, რომელიც წარმოშობით **„მინდა“** ზმნაა, ვარაუდობს რა, რომ თავდაპირველად ეს სახელი ქალისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და მამაკაცისაც (როგავა, 1991, 55-56).

ხომ არ არის ამჟამად რეფერენად ქცეული **„ინდი-მინდი“** მედეასადმი მიძღვნილი სარიტუალო-საკულტო სიმღერის ნაშთი, წარმოშობით ზმნური ფორმა, რომელსაც დროთა ვითარებაში, ლექსების პირველ ნაწილს (ზმნას), პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე ნაწილს კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომპონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

თუმცა, ცნობილია, რომ ამ ზმნას **დ-**ონი (წარმოშობით **ნ-**არისაგან მომდინარე ვნებითის ნიშანი: **(*უნნა > უნდა)** (დისიმილა-

ციით ნარნარა ბგერებთან) მოგვიანებით გაუჩნდა, ძველ ტექსტებში და საბასთანაც ეს ზმნა **დ-ონის** გარეშეა (შანიძე, 1980, 289).

„ვეფხისტყაოსანში“ ეს ფორმები **დ-ონიანია**, ერთ შემთხვევაშია მხოლოდ **დ-ონის** გარეშე.

გინდი (ეუბნება შერმადინი ავთანდილს):

„... წამიტანე სამსახურად, მოგეხმარო რაღაცა **გინდი**“ (781, 4);

მინდი (ამბობს ავთანდილი):

„...ვირე ვნახვიდე, სოფელო, **მინდი** სალხინოდ აღარად“ (714, 4);

მინდით (როსტევანის სიტყვებია გმირთა მიმართ):

„...თქვენ საჭკრეტლად აღარ **მინდით**, არ ვარდნო და არ იანო“ (1537, 4)

მინდეს:

„...ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ **მინდეს** შველანი“ (427, 4);

გინა (ეუბნება ასმათი ტარიელს):

„...ქალმან უთხრა: „ყმაო, მოგცა ყმად ღმერთმან, რაცა **გინა**“ (264, 1);

ამრიგად, „**ინდი-მინდი**“, ამჟამად რეფრენად ქცეული, პირის ნიშნიანი ზმნური ფორმა უნდა იყოს, ისევე, როგორც ეს საკუთარი სახელების შემთხვევაშია.

ლიტერატურა

„ვეფხისტყაოსნის სიმფონია. ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“, თბილისი, 1973.

როგავა, 1991 — გ. როგავა, **მედვია-სა** და **მინდია-ს** იდენტიფიკაციისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

უმიკაშვილი, 1964 — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება I, თბილისი, 1964.

ქართული ხალხური პოეზია, IV, თბილისი, 1975.

ქართული ხალხური პოეზია, VI, თბილისი, 1978.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

Nana Machavriani

Towards the Origin of “Indi-Mindi”

Summary

The paper proposes that the now widely spread Georgian folk song and verse refrain ‘indi-mindi’ might have originated from the ‘condensed’ two-component lexeme of one and the same finite verb. In the first part of the anlaut the first objective person marker **m-** or the 2nd objective person marker prefix **g** can be restored; whereas the initial **m** of the second component might have been the 1st objective person marker - ***m-*indi*-(*xar*)-m-*indi*(*xar*)**, or ***g-*indi*-(*var*)-m-*indi*(*xar*)**.

Gradually, the person marker of the first component has been reduced, whereas in the second component it is still preserved. However, both components have lost their primary meanings.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXVII, თბილისი, 2008.

ლექსემა „გაგანია“-ს წარმომავლობისათვის*

თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში დასტურდება ზედსართავი სახელი „გაგანია“.

ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „გაგანია (საუბ.) მეტისმეტად ცხელი. გაგანია ზაფხული; გაგანია სიცხე — პაპანაქება“ (ქეგლ, 77,3).

ამჟამად, ზედსართავი სახელი „გაგანია“ ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც. მაგ.: „გაგანია გამოცდები“, „გაგანია მიტინგი“, „გაგანია არჩევნები“... აღნიშნულ შესიტყვებას მრავლად წააწყდებით თანამედროვე ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში.

ეს ლექსემა ზედსართავ სახელად ახალი ნაქცევი უნდა იყოს. უფრო ძველი ვითარების მიხედვით, იგი არსებითი სახელი ჩანს.

სხვადასხვა სახელთა ზედსართავის ფუნქციით გამოყენება ქართულისათვის ნიშანდობლივია: შდრ.: ზღვა ხალხი, ორი თვალი ოთახი, ერთი ხელი ტანსაცმელი და სხვ.

ქვემო იმერულში არის წყევლის ასეთი ფორმულა: „შენ მოგეკიდა ცეცხლი და გაგანია“... გურულში დასტურდება „გეგენია“ ფორმა ამავე ფორმულაში (ცნობა გურულის შესახებ მოგვაწოდა ქალბატონმა ლ. ნიკოლაიშვილმა, მადლობა მას ამისათვის). ცხადია, აქ აღნიშნულ ორივე შემთხვევაში სიტყვა „გაგანია“ არსებითი სახელია. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაც „ცეცხლი“ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სემანტემა „გაგანია“ მომდინარეობს ებრაული სიტყვისაგან **გენა - გეჰენომ**, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს „ჯოჯოხეთს, ცეცხლს“ (შაპირო, 1963) სავარაუდოდ, ეს სიტყვა

* ეს სტატია რომ მოხსენებად წავიკითხე, სამწუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი, თუ ქალბატონ ლეილა ნიკოლაიშვილს აღნიშნულ ლექსემაზე გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება. შემდგომში გავეცანი მის ნაშრომს და დავიმოწმე ლიტერატურის სიაში.

ქართველურ ენობრივ სამყაროში წმინდა წერილის თარგმნის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო.

„თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მთ; 5,22), „ველ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა“ (ლ. 12,5) (აბულაძე, 1973).

საგულისხმოა, რომ ამ სიტყვის განმარტებას ვერ ვხვდებით საბასთან, არ არის ეს სიტყვა არც „ვეფხისტყაოსანში“.

„შემიბყრეს, წამომიყვანეს ხელ-ფეხს მომიდგეს გენია.

გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია.“

(ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., 1999, 399, დ. გურამიშვილი, „დავითიანი“).

ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში „გენია“ განმარტებულია, როგორც „გენა, ჯოჯოხეთის ცეცხლი“.

„გენია (საუბ.) იგივეა, რაც გენა“ — ახსნილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ცნობილია, რომ ამ სიტყვიდანვე იღებს სათავეს ლათინური **გენია** (ლათ.) — უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი. ხალხის გენია, შემოქმედებითი გენია და სხვ.; **გენიოსი** — გენიით დაჯილდოებული პიროვნება; **გენიოსობა** — გენიოსის თვისება; **გენიოსური** — გენიოსის დამახასიათებელი, — **გენიალური** (ქველ, 148,1)...

„გენა“ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ადგილი ჯოჯოხეთისა ცეცხლით სატანჯველი ცოდვილთა“ (მათ. 5,22; 5, 29; 10, 28; 18, 9) რუს. геена, ბერძ. გენა, (ჩუბინაშვილი, 1961).

დ. ჩუბინაშვილი კი ასე ხსნის აღნიშნულ სიტყვას: „გენა — არაბ. ჯანამა, ჯოჯოხეთის ადგილი, სადაც ცეცხლი მთებარეა სატანჯველად ცოდვილთა“ რუს. геена, ад.

ბერძნული **გენა** -ад, место вечного мучения, в пер. мука (еврейское слово), — ასე განმარტავს ვაისმანი (ვაისმანი, 1991, 265)

როგორი ვითარებაა ამ ლექსემის გავრცელებულობის თვალსაზრისით მეგრულსა და სვანურში?

მეგრულში არის ლექსემა „გენია“ ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილების გარეშე: დაჩხირი დო გენია მონტებული — „ცეცხლ და

გენია მოკიდებული“... (ეს ცნობა მოგვაწოდა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ მას).

სვანური: — **გგრგჷ** „ჯოჯონეთი“, მ. ჩუხუას აზრით, სვანურის ჯოჯონეთი გადატანით სემანტიკას ასახავს: **მდულარე > ცეცხლი > ჯოჯონეთი**. შდრ.: ებრაული **გენა** „ჯოჯონეთი, ცეცხლი“.

მკვლევარს პრობლემურად ესახება სვანური ეკვივალენტის ფორმალური მხარის იდენტიფიკაცია და ფიქრობს, რომ: — „თანამედროვე **გგრგჷ** ქართული **კოწ**- ძირის შესატყვისი ***გოჭ**- არქეფორმის რედუქციურიტულ სახეობას წარმოგვიდგენს, ეს უკანასკნელი თავდაპირველად გამჟღერებით ***გოჭ**-ს მოგვცემდა, საიდანაც ფუძის გაორკეცებით ჯერ **გოგოჭ**-ს, ხოლო შემდეგ **გგრგჷ**-ს მივიღებდით. სვანურში ფუძის გაორკეცებით მიღწეულ იქნა სიტყვის ექსპრესიული მხარის გაძლიერება“ (ჩუხუა, 2000-2003, 89).

თუმცა, სვანურში ამ მნიშვნელობით „**გეგენ**“ ლექსიკური ერთეულიც დასტურდება.

ჩვენი მოსაზრებით, ქართული: **გენია, გეგენია, გაგანია**, მეგრული **გენია** და სვანური **გგრგჷ || გეგენ** უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან. ეს წყაროა ებრაული სიტყვა — **გეენია** „ჯოჯონეთი, ცეცხლი“.

ახლა რაც შეეხება სიტყვის სესხების ფონეტიკურ მხარეს. როგორ უნდა მიგველო **გეჰენია || გეენიადან — გაგანია?**

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვა წმინდა წერილის თარგმნის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო ქართველურ ენობრივ სამყაროში. ქართულ სამეტიყველო ენაში და ზოგჯერ ნათარგმნ ტექსტებშიც ლექსემა იმთავითვე **ჰ**- ბგერის გარეშე გვხვდება, ვფიქრობთ, ეს ბგერა აღნიშნული სიტყვიდან ადრევე გაუჩინარდა, რასაც ხელი ალბათ იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ **ჰ**-ბგერა იმავე ებრაულში არ გამოითქმოდა, დღესაც არ გამოითქმის და წარმოადგენს გრძელი **ჲ** ხმოვნის საყრდენ ნახევარხმოვანს (ეს ინფომაცია მოგვაწოდა ქალბატონმა ლალი ბინიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას).

არ ჩანს **ჰ** ბგერა არც ბერძნულში, რუსულსა და ლათინურში.

„გენადან“ თავდაპირველად უნდა მიგვედო „გენია“, როგორც ამ სიტყვას ხმარობს დავით გურამიშვილი. ხოლო შემდგომ ინტენსივობისათვის, ფუძის გაორკეცვით — *გენგენია > გეგენია, ნ ბგერის ჩავარდნით, რაც დასტურდება გურულში, რომლისგანაც მოგვიანებით მივიღეთ **გაგანია. ე > ა** ბგერათმონაცვლეობა ქართულისათვის უცხო არაა, მდრ.: **ბებო > ბაბო, ნენა > ნანა, ფერხი > ფარხი...**

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს სვანურის ვითარებაც (რედუბლიცირებული ძირი), სადაც პროცესი ანალოგიურად უნდა წარმართულიყო, რის შედეგადაც მივიღეთ **გგრგგუ** იმავე მნიშვნელობით.

ამრიგად, ამჟამად, თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ზედსართავ სახელად ხმარებული „გაგანია“ უნდა მომდინარეობდეს ებრაული სიტყვისაგან **გეჭენია** || **გეენია**. ძველ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, მეგრულსა და სვანურში ეს ლექსემა არსებითი სახელია.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ვაისმანი, 1991 — А. Д. Вайсман, Греческо-русский словарь, 1991.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., 1999 — ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბილისი, 1999.

ნიკოლაიშვილი, 1987 — ე. ნიკოლაიშვილი, იკვ XXVI, თბილისი, 1987.

შაპირო, 1963 — Ф. Л. Шапиро, Иврит-русский словарь, М., 1963.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი, 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

ჩუხუა, 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

Nana Machavariani

Towards the Origination of the Lexeme *gagania*

S u m m a r y

An attribute *gagania* – “extreme hot” which must originally be a noun is evidenced in the modern Georgian colloquial speech.

The article deals with the viewpoint that this semanteme comes from the Hebrew word *gehenia, geenia* – “the hell, fire”.

„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, X, თბილისი, 2009.

აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამომხატავს რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება **ა/მხა ამაჯა** პრეფიქსით. ეს პრეფიქსი შედგება ორი **(ა) მა** და **ჯა** ნაწილისაგან. **მა**- ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1955, 154; Грам. абхазского языка, 1968, 135, 136).

იგივე **მა**- ელემენტს გამოყოფს ქ. ლომთათიძე ე. წ. მიჩნევის (მოჩვენების) კატეგორიაშიც (ლომთათიძე, 1955, 157). აბაზური ამ კატეგორიის საწარმოებლად იყენებს **გ-მა** პრეფიქსს, ადილური ენები „გამოსვლა“ ზმნასთან ერთად სამიმართებო **ღჳ**- პრეფიქსს ან ოდენ „საზიანო“ ქცევის **(ჭა || სიჳ)** პრეფიქსს (Рогава, Керашева, 1966, 159).

მაჯა > მხა პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორიც პოტენციალისის წარმოებისას: **დციეძტ** — „მან (ად.) დაიძინა“; **დამხაციეძტ** — „მას (ად.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

ორ პ ი რ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი

- I. **მ-ს-ამხა-ყაწეძტ** — „ის (ნ.) მე უნებურად გავაკეთე“
- II. **მ-ს-ამხა-წხძტ** — „ის (ნ.) მე უნებურად გავწილე“
- III. **მ-ს-ამხა-ფყეძტ** — „ის (ნ.) მე უნებურად გავჭერი“
- IV. **მ-ს-ამხა-ფჩიძტ** — „ის (ნ.) მე უნებურად გავტეხე“

სამპირიანი ზმნები

- I. **ე-ს-ამხა-ლგ-თედტ** — „ის (ნ.) მე მას (ქ.) უნებურად მივეცი“
- II. **ე-ს-ამხა-ლ-ჭაწედტ** — „მე მას (ქ.) ის (ნ.) უნებურად ვაჭამე“
- III. **ე-ს-ამხა-ლგ-რ-ყაწედტ** — „მე მას (ქ.) ის (ნ.) უნებურად გავაკეთებინე

ქ. ლომთათიძის აზრით, პოტენციალისის კატეგორია უნებურობის კატეგორიასთან ისეთ მიმართებაში უნდა იყოს, როგორ მიმართებაშიც არის ე. წ. სასარგებლო **ზ-**, **ზ'**- და ე. წ. საზიანო **ც-** პრეფიქსებით ნაწარმოები ქცევის კატეგორიები ერთიმეორესთან. **ზ-** პრეფიქსი გამოხატავს მიმართულებას ირიბ ობიექტური პირისაკენ, ხოლო **ც-** პრეფიქსი — მიმართულებას ირიბ ობიექტური პირიდან: ისზაგედტ — „მომიტანა მე მან“, ისციიგედტ — „წაიღო ის ჩემგან მან“.

ცი- საზიანო ქცევის და ამხა- უნებურობის პრეფიქსები დასტურდება კონტრამინირებულ ფორმებშიც: (ი)სციამხაძედტ — ის (ნ.) ჩემგან (მე) უნებურად შემომეჭამა... ისზეყამწედტ — „ის მე ვერ გავაკეთე“, ისგზუამპიედტ — „ის მე შენ ვერ გითხარი“... ასეთი ფორმები უმთავრესად უარყოფითი წარმოებებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ისამხაყაწედტ — „ის მე უნებურად გავაკეთე“, ისამხაჭაპიედტ — „ის მე შენ უნებურად გითხარი“ ფორმები კი დადებითისათვის.

პოტენციალისისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან.

ადილურ ენაში უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელია **პჭ-/პ-** პრეფიქსი. ეს კატეგორია აქვთ მხოლოდ დინამიკურ ზმნებს.

უნებურობის კატეგორია იწარმოება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნათაგან.

გარდამავალი ზმნები უნებურობის კატეგორიაში გარდაუვალი, ინვერსიული ხდება: სწ არ სგ-უჭედღ — „მე ის მოვკალი“, სწ არ ს-პჭუჭად — „მე ის უნებურად მოვკალი“...

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები უნებურობის კატეგორიის წარმოებისას ორპირიანი ხდება: არ ჭოდგნ — „ის იღუპება“, აწ არ

ჰჰ-ჰოდან — „ის უნებურად იღუბება“ (Рогова, Керашева, 1966. 281-282).

ქართულში უნებლობის კატეგორიას გამოყოფს ა. ფოცხიშვილი, რომელსაც აღნიშნული კატეგორია ლექსიკურ-გრამატიკულად მიაჩნია. უნებლობის კატეგორიის მაწარმოებლად ა. ფოცხიშვილი ასახელებს **შემო** ზმნისწინს, რომელსაც გეზი და ორიენტაცია აღარ მოეპოვება: „შემო-მ-ა-კვდა“ (ფოცხიშვილი, 1969, 152-155).

ა- პრეფიქსს ა. ფოცხიშვილი მიიჩნევს მოქმედებითობის, გარდამავლობის უძველეს პრეფიქსად, რომელიც ამჟამად ქცევის ნიშნად გაიგება.

ა. ფოცხიშვილი ქართული ენის მასალაზე დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ უნებლობის კატეგორია წარმოადგენდა სამეტყველო ენის კუთვნილებას (1505 წლის ხელნაწერში გვხვდება პირველად), ხოლო, როცა სამეტყველო და სალიტერატურო ენა ერთმანეთს დაუახლოვდა, აღნიშნული კატეგორია პროდუქტიული გახდა (ფოცხიშვილი, 1969, 152-155).

შემო- ზმნისწინის დართვასთან ერთად, ქართული ზმნა უნებურობის სემანტიკის გადმოსაცემად აფიქსთა ობიექტურ წყობას იყენებს. ასეთი შინაარსის ზმნები ყოველთვის გარდაუვალია, ვნებითი გვარისა: შემო-მ-ა-ტყდ-ა, შემო-მ-ე-სვ-ა, შემო-მ-ე-ჰამ-ა...

უნებურობის სემანტიკური კატეგორიის არსებობა არნ. ჩიქობავას ქართულშიც აქვს აღნიშნული. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ „თურმეობითის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს უნებურობის კატეგორიის გამოხატვა (მღრ: ვერ გააკეთა, არ გააკეთა, არ გაუკეთებია)...

გარდამავალი ზმნის თურმეობითი შეიძლება იყოს პირდაპირი წყობისაც (ჰანური; მეგრული თურმეობითის ერთ-ერთი სახეობა) და ინვერსიულიც (ქართული, სვანური): უკეთებია, უთესავს, უკერავს **მას (RS) ის (RO)**.

პირდაპირი წყობა გარდამავალი ზმნის თურმეობითში მეორეულია, ახალი: ინვერსიული წყობა ძველია“ (ჩიქობავა, 1982, 13).

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ გარდამავლობის ნეიტრალიზაცია III სერიაში, ინვერსია და უნებურობა შინაგან კავშირშია. (ჩიქობავა, 1982, 13).

ქართულშიც, ისევე როგორც აფხაზურში, უნებურობის სემანტიკის გამოხატვისას (ანუ III სერიის თურმეობითში) ხდება ინვერსია.

პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს **ველწიფება** საწყისის ზოგიერთი პირიანი ფორმა ძველსა და ახალ ქართულში:

ველწიფება — შეძლება, უფლება, გაბედვა: I. „რომელმან.. ველ-იწიფოს ბოროტის-სიტყუად ჩუენდა“ მრ. 9,39 II. არლარა ველ-გეწიფების შენ ამიერთგან მნობად“ ლ. 16,2. III. ვის ველ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად“ მთ. 12,29. IV. არა ველ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ“ ი. 5,19. V. „ვერვის ველ-ეწიფებოდა წარსლვა“ მიერ გზით“ მთ. 8,28. VI. „რადსა ველ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესვეითარისა საქმედ?“ შუშ. IV (აბულაძე, 1973, 569).

I და VI მაგალითებში პირის აფიქსების განლაგება სუბიექტურია, ხოლო დანარჩენ ოთხ მაგალითში პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასთან გვაქვს საქმე.

ჩვენი დაკვირვებით, ახალ ქართულში ეს ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით იხმარება: „ხელეწიფება, ხელეწიფების გრდუჳ. (ძვ.) უფლება აქვს რისამე“ (ქეგლ, 1986, 578).

საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ **ველწიფება** — „შეძლებას“, „უფლებას“, „გაბედვას“ ნიშნავს, სემანტიკით ეს უკანასკნელი ახლოს დგას აფხაზურის ვითარებასთან.

გარდა ამისა, ქართულის რთულფუძიან მასდარში (resp. ზმნა-შიც, „**ველწიფება**“ / **ველწიფება** მონაწილეობს **ხელი** < **ველი** ლექსემა, ისევე როგორც აფხაზურში, უნებურობის მაწარმოებელ პრეფიქს — **ა/მხა ამაჯა**-ში **-მა** ელემენტის ამოსავალი მნიშვნელობაა „ხელი“ (იხ. ზემოთ).

ამრიგად, ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის — „ხელის“ არსებობით გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ლომთათიძე, 1970 — ქ. ლომთათიძე, მიჩნევის (მოჩვენების, მოჩვენებითობის) კატეგორიისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში და შესაბამისი წარმოების საკითხი ქართულში, იკე, ტ. XVIII, თბილისი, 1970.

ლომთათიძე, 1955 — ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბილისი, 1955.

ფოცხიშვილი, 1969 — ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში. თსუ გ. ახვლედიანს, თბილისი, 1969.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

ჩიქობავა, 1982 — Арн. Чикобава, О категории непроизвольности, об инверсии и нейтрализации переходности глагола в результативном 1 картвельских языков., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IX, თბილისი, 1982.

Грамм. абхаз. языка, 1968 — Грамматика абхазского языка, Сухуми, 1968.

Рогава, Керашева, 1966 — Г. В. Рогава, З. Н. Керашева, Грамматика Адыгейского языка. Краснодар, Майкоп, 1966.

აფხაზური ენის მასალა მოხმობილია ჩვენ მიერ საველე სამუშაოებისას მოპოვებული აბჟუური ტექსტებიდან.

Nana Machavariani

**Similarity of Abkhazian and Georgian verbal constructions
in formation of the category of involuntariness**

Summary

Category of involuntariness should be distinguished among the morphological category of a verb in the Abkhaz–Adyge languages.

1. Category of involuntariness is formed by *amxa-* prefix. Its initial meaning is *xeli* "a hand".

In the Kartvelian languages the category of involuntariness is semasiological, but it is a lexical means by which the mentioned category is formed. It manifests an important similarity with Abkhazian morphological category; cf.: Abkh. *j-s-amxa-gačejt* "I have done it involuntarily", where an inversive order of affixes takes place, Old Georgian *ara xel mečipeba* "I can not do it", where an inversive order of affixes occurs as well and also a lexeme *xeli* is used.

„ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის
პრობლემები“, ტ. I, თბილისი, 2009.

ერგატიული კონსტრუქცია აფხაზურსა და ქართულში

(პირ-კლასისა და პირის აფიქსთა განლაგების ეკვივალენტურობისათვის აფხაზური და ქართული გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაში)

აფხაზურ ენას არ გააჩნია ბრუნვათა სისტემა, შესაბამისად, არც ერგატიული ბრუნვა, მაგრამ ერგატიული კონსტრუქცია ასახულია გარდამავალ ზმნაში. აქ პირ-კლასის ნიშანთა განლაგება მკაცრად განსაზღვრულია.

აფხაზური ზმნა ერგატიულ ბრუნვას კონსტრუქციით გრძნობს. სახელთა ბრუნების სისტემის უქონლობის კომპენსაცია ამ ენაში ზმნური კონსტრუქციით ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის მორფოლოგიურად გამოხატვას, რასაც სახელი ვერ ახერხებს, ზმნა კისრულობს.

აფხაზური ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის ძირითადი ნიშანია პირ-კლასის ნიშანთა ადგილმდებარეობის განსაზღვრულობა ზმნურ კონსტრუქციაში. გარდამავალი ზმნა აქაც, ბუნებრივია, გულისხმობს აქტიური სუბიექტისა და უახლოესი, პირდაპირ ობიექტური პირის მქონეობას, ისევე, როგორც ეს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშია, ოღონდ აქ პირდაპირი ობიექტი ბრუნვის ფორმით კი არ გამოიცინობა, არამედ თავისი ადგილით ზმნურ ფორმაში.

აფხაზურ გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი **დ**-ს რიგისა, ხოლო მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი **ლ**-ს რიგით: დგ-ზ-ბოფტ — „მას მე ვხედავ“, დგ-ლ-გოფტ — ის (ად.) მას (ქ.) მიჰყავს“...

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი **დ**-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები **ლ**-ს რიგით: ი-ლგ-ლ-თოფტ — „იგი (ქ.) მას (ქ.) რაღაცას აძლევს“, ი-ბ-ა-ს-ჰოფტ — „მე შენ (ქ.) რაღაცას გეუბნები“...

ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ძველ ქართულშიც, ხანმეტ და ჰაემეტი ტექსტებში:

O₃ და S₁ პირთა კომბინაციის დროს ხანმეტ ტექსტებში O₃ პირის ნიშანი S₁ პირის ნიშნის წინ დგას თანხმონით დაწყებულ და ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფუძეთა წინ; მაგალითად:

ხ- III ირიბ ობიექტური პირის ნიშანია:

ხურქჳ — „მას ხურქჳ, მე წარვედ და წარვიდის“ (მ. 8, 9)

შესუძინე — „ორი სხუად ტალანტი შესუძინე“ (მ. 25, 22)

ხუარწმუნოთ — „ესე მთავარსა მას ჩუენ ხუარწმუნოთ“ (მ. 28, 14).

ხ-/ჰ- III პირდაპირ ობიექტური პირის ნიშანია:

მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის **ხ-/ჰ-** პრეფიქსით გამოხატვა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისათვის ნორმაა : **აღსუტყორცებ** (უძვ. 364), **ხჯტყოდე** (უძვ. 32), **ჰუყოფ** (ჰაემ. 388), **ჰჯცოდე** (ჰაემ. 388).

შემდგომი დროის ხელნაწერებში აღნიშნულ ზმნურ ფორმათა ნაცვლად ვხვდებით: **ვჰარქჳ, ვეტყჳ, შეესძინე, ვარწმუნოთ...** ე. ი. ზოგან ხანის მაგიერ ჰაე ან სანია, ზოგან საერთოდ დაკარგულია ნიშანი, მაგალითად **ვეტყჳ** ფორმაში.

S₂ და O₃ პირის ნიშნად ძველ ქართულში **ხ/ჰ/ჰს/ხ-** აფიქსია წარმოდგენილი (შანიძე, 1981, 113-261, 265-279, 174, 280-299).

S₂ და O₃ პირის ერთი და იმავე აფიქსით აღნიშვნა, არნ. ჩიქობავას აზრით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ აფიქსის პირვანდელი ფუნქცია არ იყო პირის გამოხატვა, იგი გრამატიკული კლასის აფიქსი უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა, 1944) ამავე აზრისაა გ. როგავაც (როგავა, 1945, 447) იგი თავის მხრივ დასძენს, რომ **ჰ/ხ-**ს გამოვლენა ძველ ტექსტებში შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის გამომხატველი გრაფიკული ხასიათის მოვლენა. **ჰ/ხ** შესაძლოა იყო ერთი გარდამავალი ბგერა, რომელსაც ხან ხანით გადმოსცემდნენ, ხან ჰაეთი (როგავა, 1956, 292, 289).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისისამებრ, იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნათა უღვლილების სამი ტიპი არსებობს: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი (ჩიქობავა, 1953).

უღვლილების კლასოვან ეტაპზე ზმნა მონოკლასოვანია, პოლიპერსონალური ზმნა კლასოვან-პიროვანი უღვლილების განვითარების შედეგია (როგავა, 1953).

ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნა პოლიპერსონალურია: აფხაზურ ენას ახასიათებს ზმნის კლასოვან-პიროვანი უღვლილება, ქართველური ენებისათვის პიროვანი უღვლილებაა დამახასიათებელი (ივარაუდება, რომ ქართველურმა ენებმა გამოიარეს უღვლილების კლასოვანი და კლასოვან-პიროვანი საფეხურები, რომელთა ნაშთი პიროვან უღვლილებაში ჩანს) (როგავა, 1953, 445).

ბ-/ჰ- ფორმანტთა გამოვლენამ **S**₂ პირისა და **O**₃ პირის ნიშნად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მათი ფუნქციური რაობის საკითხის გარდა, ჰ-სა და ხ-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც დასვა:

ივ. ჯავახიშვილს ჰაე ხანისაგან მომდინარედ მიაჩნდა (ჯავახიშვილი, 1949, 98-299).

გ. ახვლედიანი თვლიდა, რომ ჰაემეტობა/ხანმეტობა ტექსტების შექმნის დროისათვის გადავარდნილი იყო და სწორედ ამან გამოიწვია ხანისა და ჰაეს ხმარების აღრევა (ახვლედიანი, 1986, 100).

აკ. შანიძე ხანმეტობა/ჰაემეტობას დიალექტურ მოვლენად მიიჩნევდა (შანიძე, 1923, 360).

თ. გონიაშვილის აზრით, ტექსტების შექმნისას „ხანურობა“ უკვე აღარ იყო მოქმედი, ჰაემეტობა კი ნორმა იყო (გონიაშვილი, 1938, 142,145).

აკ. შანიძის მოსაზრებას იზიარებენ: ალ. ონიანი, ზ. სარჯველაძე, რ. ენუქაშვილი.

ალ. ონიანს მიაჩნია, რომ ხანის ჰაედ ცვალება ჯერ უნდა მომხდარიყო ხმოვნების წინა პოზიციაში, **ი**-ს წინ; **ხი** > **ჰი**, ამის დამადასტურებლად იგი თვლის ხანმეტ ტექსტებში გამოვლენილ ჰაემეტ ფორმებს (ონიანი, 1974)

ზ. სარჯველაძე იზიარებს აკ. შანიძის მოსაზრებას **ჰ/ხ** სხვადასხვა დიალექტური წარმოშობის შესახებ, იგი არ ეთანხმება გ. როგავას ვარაუდს ორი განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის არსებობის თაობაზე **ჰ/ხ**- ბგერის გრაფიკულად გადმოცემაში, მას **ჰ/ხ**

გარდამავალი ბგერის ძველ ქართულში არსებობაც საეჭვოდ მიაჩნია (სარჯველაძე, 1971, 29, 37).

ზ. სარჯველაძეს იმ ფაქტის ერთ-ერთ საბუთად, რომ ჰაემეტობა VIII ს-ში აღარ არის მოქმედი ნორმა, მოჰყავს ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში პირის აფიქს-მორფემათა რანგების განსაზღვრულობა: პირველ ადგილზეა III ობიექტური პირის ნიშანი, მეორეზე I სუბიექტური პირის ნიშანი; **მიხუხედე** (პროტ. ევანგ. 70); **აღხუმართე** (უკანგ. წარწ. I); **აღჰუმართე** (წყისის წარწ.); **მიჰუგუარე** (ჰაემ. 370); **ჰუ-ყოფ** (388); **ჰეცოდე** (388) ... IX ს-დან მორფემათა რანგი შეცვლილია: პირველ ადგილზე დგას S_1 პირის ნიშანი, მეორეზე O_3 პირის ნიშანი: **ადგჰმართე**, **მევსცემ** (სარჯველაძე, 1971, 25).

O_3 პირისა და S_1 პირის მორფემათა მიმდევრობა ერთი, S_1 პირის ნიშნადაც არის გააზრებული (კლიმოვი 1971, 225, ონიანი 1974, გამყრელიძე 1979):

მ. სუხიშვილს, ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით, **ხუ** S_1 პირის ნიშნად მიაჩნია სვანურში. მკვლევრის აზრით, ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული $O_3 + S_1$ აფიქსთა რიგი მიღებულია $S_1 + O_3$ აფიქსთა განლაგების მეტაანალიზის საფუძველზე, ქართველურ ენათა ფონეტიკური სტრუქტურის გავლენით, შემდეგ გააზრია-ნებულია S_1 პირის ნიშნად (სუხიშვილი, 1986, 58).

რ. ენუქაშვილის აზრით, $S_2 O_3$ პირებს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდათ: S_2 ხანით აღინიშნებოდა, ხოლო O_3 ჰაეთი (ენუქაშვილი, 1979, 117)

ჰ-ზ-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხის კვლევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია **ჰ-ზ**-ს პირვანდელი ფუნქციის გარკვევის საკითხი.

ჰ-ზ- პრეფიქსთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან ყველაზე მართებული ჩანს ამ პრეფიქსთა პირვანდელ ფუნქციად კლას-კატეგორიის აღნიშვნის მიჩნევა (ჩიქობავა, 1944, 450; როგავა, 1954, 287; როგავა, 1956, 447; როგავა, 1950 65; თოფურია, 1950, 56).

თუ არ ამ საბუთით, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის, ობიექტისა და სუბიექტის ერთი და იმავე ნიშნით წარმოდგენა.

O_3 პირისა და S_1 პირის ნიშანთა მიმდევრობის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპით ახსნა, რომელსაც გვთავაზობს თ. გამყრელიძე (გამყრელიძე, 1979) არამართებულად გვეჩვენება — ძველი ქართულის წერილობით ძეგლთა და პოლიპერსონალური ზმნის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემის გათვალისწინებით.

როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. როგავა: „კლასის ნიშნები ერთი მხრივ, „მკვდარი მორფოლოგიური ინვენტარის“ სახით შემოგვრჩა, ხოლო მეორე მხრივ, ეს აფიქსები გამოხატავენ ახალ მორფოლოგიურ კატეგორიებს: პირის, რიცხვის, ბრუნვისა და სხვას“ (როგავა, 1953, 16).

ჰ-ზ- ფორმანტა კლას-ნიშნურ წარმომავლობას ნათელს ხდის ერთი ფაქტიც: O_3 პირისა და S_1 პირის კომბინაციის დროს ხანმეტ ტექსტებში O_3 პირის ნიშანი S_1 პირის ნიშნის წინ დგას თანხმოვნით დაწყებულ და ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფუძეთა წინ;

აღნიშნულ მორფემათა კლას-ნიშნური წარმომავლობის გათვალისწინებით, **ზ-ჰ-** ნიშანთა ირიბი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა, შესაძლოა, ქართულ ენაში არსებული ამოსავალი მდგომარეობის ამსახველად ჩავთვალოთ (ირიბი და პირდაპირი ობიექტის ერთი და იმავე ნიშნით აღნიშვნა) და ანალოგიური ვითარება აფხაზურისთვისაც დავუშვათ.

O_3 პირისა და S_1 პირის ნიშანთა განლაგება ხანმეტ ტექსტებში გარდაუვალ ზმნაშიც დასტურდება: **გარდახუედ** — „მე არასადა მცნებასა შენსა გარდახუედ“ (ლ. 15, 29).

გარდაუვალ ზმნაში აღნიშნული მორფემათა მიმდევრობა შესაძლოა გარდამავალ ზმნათა ვითარების უნიფიკაციით იყოს გამოწვეული.

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ ზმნურ ფორმებში გამოვლენილი O_3 პირისა და S_1 პირის ნიშანთა განლაგება მეტათეზისად მიაჩნიათ (შანიძე, 1980, 186, ჩიქობავა, 1968, 141)

ჩვენი აზრით, O_3 პირისა და S_1 პირის ნიშანთა მიმდევრობა უნდა იყოს არა მეტათეზისის შედეგი, არამედ ადრე მოქმედი გრამატიკული ნორმის ნაშთი, შემორჩენილი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში, იმდროინდელი მოვლენა, როდესაც გვართა მიხედვით ნეიტრალურფუძიანი ზმნა ობიექტის კლასსა და სუბიექტის პირს გამოხა-

ტავდა. პრეფიქსთა ასეთი განლაგება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად შეძლებდა გავრცელებას, რითაც უნდა აიხსნებოდეს **ხ-შ**- აფიქსთა ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა (შდრ. ხუნძურის მონოკლასოვანი უღვლილება, ლაკურის, დარგულის, ბაცბურის, აფხაზურის კლასოვან-პიროვანი უღვლილება). ეს უნდა მომხდარიყო ენის განვითარებაში ზმნის უღვლილების კლასოვან-პიროვან ეტაპზე.

აფხაზურში სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „დ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად.

სწორედ „დ“-ს რიგის აფიქსთა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო **ხ-შ**- პრეფიქსი ხანმეტ ტექსტებში შემორჩენილ აფიქსთა განლაგებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული აფიქსის თავკიდური პოზიცია ზმნაში. თუმცა აფხაზურისათვის დამახასიათებელი კლასისა და პირის ნიშანთა პოზიციური სიმყარე ქართულმა ზმნამ ვერ შეინარჩუნა. ქართულ წერილობით ძეგლებში IX ს-დან დადასტურებული პირის ნიშანთა განლაგება $S_1 + O_3$ უნდა იყოს სწორედ მეტათეზისის შედეგი, რაც, ფონეტიკური ცვლილებისათვის ხელშემწყობი გარემოს გარდა, სუბიექტის ხვედრითი წონის ზრდასაც უნდა გამოეწვიო.

აფხაზურში მონოპერსონალიზმის (კლასოვანი უღვლილების) დროისაა „დ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს. ისტორიულად „დ“- აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (როგავა, 1950, 443).

ნივთთა კლასიდან **დ**- ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად, შემდეგ ადამიანის კატეგორიის ნიშნად განზოგადდა (როგავა, 1953, 445).

ვფიქრობთ, აფხაზურ გარდამავალ ზმნაში პირ-კლასის ნიშანთა განლაგების ეკვივალენტურია ზემოთ განხილული პირის ნიშანთა რიგი ხანმეტ და ჰანმეტ ტექსტებში ($O_3 + S_1$):

ამრიგად, ქართული ზმნა ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერგატიულ კონსტრუქციას ასახავდა არა მარტო მასთან შეწყობილი სუბიექტური და ობიექტური პირის ფარდი სახელების ბრუნ-

ვებით — სინტაქსურად, არამედ მორფოლოგიურადაც — პირის ნიშანთა განლაგებით, ისევე, როგორც ეს აფხაზურშია.

ძველი ქართული ენის ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული და იბერიულ-კავკასიური ენების განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთადერთი ძველი დამწერლობის მქონე ენა ქართულია. ბუნებრივია, ადრეულ გრამატიკულ მოვლენებს, რომლებიც უმწერლობო ენებს ახასიათებდა, ნაშთების სახით ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წავაწყდეთ. ასევე, უმწერლობო ენებში დადასტურებული ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის არსებობა ხშირად გასაღებივით შეიძლება მოერგოს ძველი ქართულის, გრამატიკულად არც თუ ადვილად ასახსნელ, ენობრივ ვითარებას.

ამის ნათელ მაგალითად წარმოგვიდგება სწორედ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრება ძველ ქართულ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის **ხ-ჰ-ჰხ-ლ-** პრეფიქსთა და აფხაზურ ენაში „დ“-ს რიგის პრეფიქსთა კლასნიშნური წარმომავლობისა და ზმნაში მათი განლაგების ეკვივალენტურობის შესახებ.

თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრება მართლაც შეეფერება ამ ორ ენაში არსებულ ოდინდელ ობიექტურ გრამატიკულ ვითარებას, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ენათა მონათესავეობის ერთ-ერთ უტყუარი საბუთია ენის გრამატიკულ წყობაში გამოვლენილი თანხვედრა/მსგავსება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ეს კავკასიურ ენათა მორფოლოგიის ხერხემალს — ზმნურ კონსტრუქციას შეეხება.

ლიტერატურა

ანდლულაძე, 1968 — ნ. ანდლულაძე, კლასიკური და პიროვნული უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1968.

ახვლედიანი, 1986 — გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1986.

გამყრელიძე, 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა და ვალენტობა“. საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე, თბილისი, 1979.

გონიაშვილი, 1938 — თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადისის ძეგლში, ენიმკ-ის მოამბე, № IV₂, თბილისი, 1938.

ენუქაშვილი, 1979 — რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის, თსუ შრომები XIX, თბილისი, 1979.

კლიმოვი, 1971 — Г. А. Климов, Структурно-типологические параллелизмы картвельских и абхазско-адыгских языков. Фонетика, фонология, грамматика. К семидесятилетию А. А. Реформатского, М., 1971.

ლომათიძე, 1942 — ქ. ლომთაიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.

ლომათიძე, 1948 — ქ. ლომთაიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი, 1948.

თოფურია, 1962 — გ. თოფურია, კლასიკური უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე ტ. XIII, თბილისი, 1962.

ონიანი, 1974 — ალ. ონიანი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.

როგავა, 1950 — გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონაშთებისათვის ადილურ ენებში, სმამ, ტ. XI, თბილისი, 1950.

როგავა, 1964 — გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში, თბილისი, 1964.

როგავა, 1953 — გ. როგავა, კლასიკური უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, № 7, თბილისი, 1953.

როგავა, 1956 — გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.

სარჯველაძე, 1971 — ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებული ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბილისი, 1971.

სუხიშვილი, 1986 — მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. XXV, თბილისი, 1986.

შანიძე, 1981 — აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

შანიძე, 1923 — აკ. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტუმ, III, 1923.

ჩიქობავა, 1944 — არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, სმამ V (4), თბილისი, 1944.

ჩიქობავა, 1953 — არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. V, თბილისი, 1953.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში. ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.

ჩიქობავა, 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.

ჩიქობავა, 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, ტ. XI, თბილისი, 1959.

ჩიქობავა, 1928 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, ტფ., 1928.

ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, II გამოცემა, თბილისი, 1968.

ჩიქობავა, 1941 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, სმამ, ტ. II, №1 (2, 3), თბილისი, 1941.

ჯავახიშვილი, 1949 — ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.

წყაროები

1. მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო **ელ. დოჩანაშვილმა**, თბილისი, 1983.
2. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, **ი. იმნაიშვილი**, ტ. 1, ნაწ. I, თბილისი, 1970.
3. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო **ი. იმნაიშვილმა**, თბილისი, 1979.
4. ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო **ლ. ქაჯაიამ**, თბილისი, 1984.

Нана Мачавариани

Эргативная конструкция в абхазском и грузинском языках

(об эквивалентности распределения классных и классно-личных аффиксов в конструкциях переходных глаголов абхазского и грузинского языках)

В абхазском языке отсутствует система склонения. Соответственно, нет и эргативного падежа.

В переходном двухличном глаголе абхазского языка на первом месте стоит показатель ближайшего (прямого) объекта ряда *d*, а на

втором - показатель субъекта ряда *l*: *də-z-boiṭ* «его я вижу», *də-l-goiṭ* «его она ведёт».

В переходном трёхличном глаголе на первом месте стоит показатель ближайшего (прямого) объекта ряда *d*, затем следуют показатели косвенного объекта и субъекта: *i-lə-l-toiṭ* «она ей что-то даёт», *i-b-a-s-h^o-iṭ* «я тебе (жен.) что-то говорю»...

В абхазском языке личные показатели ряда “*d*” в соответствии с синтаксической функцией используются в роли формантов субъекта непереходного глагола и прямого объекта переходного глагола.

Такая же последовательность личных аффиксов зафиксировано в ханметных и хаэметных памятниках грузинского языка.

Об архаичности функций формантов *x* // *h*, как показателей класса свидетельствует тот факт, что в комбинации O_3+S_1 в ханметных текстах показатель O_3 стоит перед формантом S_1 , например, показатель O_3 (косв.) *x*-:

mas **xwarkwi** me *çarved da çarvidis*

«... говорю одному: пойдя - и идет» (Мф. 8, 9);

ori *sxwai* *çalanti* **šexwžine**

«... другие два таланта я приобрел на них» (Мф. 25, 22);

ese *mtavarsa* mas *çwen* **xuarçmunot**

«Мы убедим его (правителя)» (Мф. 28, 24).

Показатель O_3 (прям.) *x*- // *h*- :

xwiṭqode «сказал бы то я» (Древ. 320); *hwqor* «делаю я» (хаэмэт.

388); *hvcode* «согрешил я ему» (хаэмэт. 388).

С нашей точки зрения, префикс *x* // *h*, сохраняющийся в ханметных текстах, функционально аналогичен именно абхазским аффиксам ряда “*d*”, что и обусловило анлаутную позицию этого аффикса в глаголе. Правда, глагол грузинского языка не сохранил присущую абхазскому языку стабильность позиции показателей класса и лица. Прослеживаемая с IX в. последовательность $S_1 + O_3$ действительно возникла в результате метатезы, и предопределялась она не только благоприятными фонетическими условиями, но и ростом удельного веса субъекта.

С нашей точки зрения, зафиксированная в ханметных и хаэметных памятниках грузинского языка последовательность личных аффиксов аналогична описанной выше последовательности аффиксов абхазского языка.

Последовательность $O_3 + S_1$ в данных глагольных формах специалисты признают результатом метатезы (Ак. Шанидзе, Арн. Чикобава, И. И. Имнаишвили).

В работе высказано соображение о том, что в данном конкретном случае следует говорить не о метатезе, а о пережиточном явлении сохранения древнего грамматического элемента в ханметных и хаэметных текстах. Это явление отражает период развития языка, когда нейтральный к залогу глагол содержал в себе аффиксы класса объекта и лица субъекта. Подобное сочетание префиксов в равной мере могло получить распространение в переходных и непереходных глаголах, чем, должно быть, и объясняется способность аффиксов $h // x$ выступать в роли показателей прямого и косвенного объектов (ср. моноклассное спряжение аварского языка, классно-личное спряжение лакского, даргинского, цова-тушинского (бацбийского) и абхазского языков). Выше описанный процесс, видимо, относится к этапу классно-личного спряжения.

Думаем, что расположение личных показателей в абхазском языке находит аналогию с теми же маркерами в ханметных и хаэметных текстах.

Личные показатели в картвельских языках генетически восходят к классным элементам.

Второе лицо субъекта и третье лицо объекта в древнегрузинском языке выражались префиксами: $x // h // hs // s$.

Выражение S_2 и O_3 одним и тем же формантом, по мнению Арн. Чикобава свидетельствует о вторичности данной функции для представленного аффикса, который служил, по-видимому, показателем грамматического класса.

Той же точки зрения придерживается Г. Рогава, считающий, что варианты аффикса $x // h$ в древних текстах являются графическим отражением разных литературных традиций.

Некоторые специалисты (Г. А. Климов, А. А. Ониани, Т. В. Гамкрелидзе, М. А. Сухишвили) интерпретируют последовательность $O_3 + S_1$ и их аффиксов как показатель S_1 . Наиболее убедительным представляется мнение, согласно которому названные аффиксы понимаются как исконные показатели категории класса. Иначе трудно объяснить оформление двух, грамматически разных элементов - лиц объекта и субъекта одним и тем же аффиксом.

С нашей точки зрения, зафиксированная в ханметных и хаэметных памятниках грузинского языка последовательность личных аффиксов аналогична описанной выше последовательности аффиксов абхазского языка.

Ergative construction in Abkhazian and Georgian

(Towards the equivalency of arranging of a person-class and person affixes in the construction of Abkhazian and Georgian transitive verb)

Summary

The Abkhazian language has no declension system, accordingly an ergative case neither, but an ergative construction is reflected in a verb. Arranging of person-class markers is strictly defined:

In Abkhazian bi-personal transitive verb. a **-d** marker of (direct) nearest object is on the first place, and a **-I** marker of a subject – on the second place: *də-z-bojt* – “I see him/her”, *də-l-gojt* “He takes him/her”...

In a tri-personal transitive verb a marker **-d** of the nearest (direct) object is on the first place, the markers of **-I** type of an indirect object and subject follow it: *i-lə-l-tojt* “He /she is giving him/her smth.”, *i-b-a-s-h^oojt* “I’m saying you smth”...

An analogous situation might be in old Georgian in *khanmeti* and *haemeti* texts.

In combination of O_3+S_1 persons in *khanmeti* texts a marker of O_3 precedes S_1 before the verbal stems beginning with a consonant and a vowel, e. g.: **x-** is a III person indirect object marker:

xurky, – “*mas xurky, me çarved da çarvidis*” – “I say to this one, “Go!” and he goes” (Matt. 8, 9).

šexuzine – “*ori sxuai țalanți šexuzine*” – “I have gained two more talants” (Matt. 25, 22).

xuarçmunot – “*eše mtavarsa mas çuen xuarçmunot*” – “We will win him over” (Matt. 28, 14).

-x-/h- is a III person direct object marker.

(Expressing a direct object in dative by **x-/h-** prefix is usual for *khanmeti* and *haemeti* texts: **axuțğorceb**, **xyțğode**, **huğop**, **hwcode**).

In the manuscripts of the following period instead of the mentioned verbal forms we find: **vrky**, **vețgy**, **ševsžine**, **varçmunot** ... i. e. in some forms there is **hae** or **san** instead of **xan**, in some forms a marker is lost, e. g. in **vețgy**, form.

O_3+S_1 in *khanmeti* texts is attested even in an intransitive verb: **gardaxued** – “*me arasada mcnebasa šensa gardaxued*” - “I have never neglected a command of yours” (Luk. 15, 29).

Sequence of the mentioned morphemes in an intransitive verb can be caused by the unification of a condition of transitive verbs.

The arranging of O_3+S_1 markers manifested in the mentioned verbal forms is considered to be metathesis.

We believe, that sequence of O_3+S_1 markers must not be a result of metathesis, but the traces of a grammatical norme preserved in khanmeti and haemeti texts, a phenomenon of that time, when a verb with a neutral-stem expressed an object class and a subject person according to voices. Such arranging of prefixes in transitive and intransitive verbs could be spread similarly. This fact explains a denoting role of **x/h** affixes of an indirect and direct object (cf.: Avar monoclase conjugation, class-personal conjugation of Lak, Dargwa, Bats, Abkhazian). This must be take place in a language development on the class-personal stage of a verb conjugation.

In Abkhazian according to syntactic function the markers of **-d** type are used to express a subject of intransitive verbs and an direct object of transitive ones.

The prefix **x/h** in the arranging structure of affixes preserved in Khanmeti texts, might have the function just of affixes of **-d** type, which defined an initial position of the mentioned affix in a verb. Though a positive firmnes of class and person markers characteristic for Abkhazian, a Georgian verb could not preserve. The arranging S_1+O_3 of person markers attested in the Georgian written sources since the 9th c. must be just a result of metathesis, which could be caused by the facilitating surrouding for phonetic changes as well as increasing of specific weight of a subject.

We think that the mentioned person markers in khanmeti and haemeti texts are equivalent with the arranging of person markers in an Abkhazian verb.

Thus, on a definite stage of a language development, a Georgian verb reflected an ergative construction not only by declension of nous equal subjective and objective person adapted with it, but by the arranging of person markers, like in Abkhazian.

1. „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 21-23. 05. 2009.

2. Languages and Cultures in the Caucasus, Papers from the International Conference “Current Advances in Caucasian Studies”, Macerata, January 21-23, 2010, SLCCEE, Verlag Otto Sagner. München-Berlin, 2011.

ფრინველთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ენის ლექსიკური ფონდის ამა თუ იმ უბანში ადამიანთა ყოფის სხვადასხვაობაა უკუფენილი. ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეინიშნება.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი ფრინველთა სახელწოდებებს მოიცავს.

სემანტიკური თვალსაზრისით ფრინველთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს: შინაურ და გარეულ ფრინველთა მდებრობით, მამრობით და ნაშიერთა სახელწოდებებად.

ცალკეა გამოსაყოფი ფრინველთა სადგომის, სხეულის ნაწილების, ხმინაობისა და დაავადებების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომელიც მრავალ საინტერესოს იძლევა ფრინველთა სახელწოდებების შესწავლისა და, ზოგადად, ენობრივი ერთობის ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური ასპექტების გათვალისწინებისათვის.

ფრინველის ზოგადი სახელწოდებაა **ა-ფსაა // ა-ფსაატ**, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ეკუთვნის ქეთევან ლომთათიძეს. მკვლევრის აზრით, ლექსემის ძირი უნდა მომდინარეობდეს ტაპანთურში დადასტურებული **აფჰარა** „ფრენა“ ძირისაგან, რომელიც პირაქეთა დიალექტების (აბჟუურისა და ბზიფურის) **აფსაა**-ს სავსებით თანხვედნილია: **ზ**-ს დაკარგვის ნიადაგზე ვიღებთ **აა**-ს. რაც შეეხება **-ტ** სუფიქსს, იგი აფხაზურსა და აბაზურში ძალზე პროდუქტიულია, გამოხატავს კუთვნილებას, გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელებში სამოქმედო, მოქმედებისათვის განკუთვნილი სახელის საწარმოებელ აფიქსად. მაგ.: **აშტგ** „დასაკლავი“, **აყაწატ** „გასაკეთებელი“ და სხვ. **ა-ფსაატ** სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს „საფრენი“, „ფრენისა“, „ფრინველი“ (ლომთათიძე, 1945, 311)

ფრინველთა სახელწოდებებს აფხაზურში განიხილავს თ. გვანცელაძე. მას გაანალიზებული აქვს ფრინველთა სახელები: ა) გარეგნობის, ბ) საცხოვრებელი ადგილის გ) ცხოვრების ნირის, დ) გამოცემული ხმის მიხედვით შერქმეული კომპოზიტები, ნასესხები ლექსმეზი... მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მოტივირებულია (გვანცელაძე, 1982, 5-8)

ჩვენს ხელთ არსებულ ფრინველთა ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელი:

- ფრინველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით: **ა-ყვზ** „ბატი“, **ა-პყა** „წერო“ **ა-კტგ** „ქათამი“, **აყარო** „კრუხი“, **აწგს** „ჩიტი“, **აკა** „შევარდენი“, **აჭგჭ** „მტრედი“, **ა-ტგ** „ბუ“, **ა-ჩა** „მწყერი“, **ა-ლაპა** „ყორანი“, **ა-ხგშ** „ქორი“, **ა-ხ გაუ** „ჩხიკვი, ჯაფარა“, **აქაჩა** „იხვი“, **ა-კუკუ** „გუგული“, **ა-ყარასა** „გვრიტი“. **არასა** „თხილი“? **ა-გაგუშ** // **ა-კაკუშ** // ბზიფ.: **ა-შოში** „ინდაური“.

- ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

ა-მშაგნყვზ „გედი“, რომელშიც **ა-მშაგნ** „ზღვაა“, (**ა)ყვზ** „ბატი“; სიტყვასიტყვით: „ზღვის ბატი“.

ა-შაშაღჩ „წიწკანა“, რომელშიც **ა-შაშაა** „ქონია“, (**ა)ღჩ** „ქურდი“; ზედმიწევნით: „ქონის ქურდი“.

ა-ძთას „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **აძ < აძგ** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრეფერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწგს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი; სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“;

ა-ძგცა „ყანჩა“, აქაც: **ა-ძგ** „წყალს“ უნდა ნიშნავდეს, **ა-ცა** „ტყავს, კანს“; ზედმიწევნით: „წყლის ტყავი“.

ა-ძგკტგ „გარეული იხვი“, **ა-ძგ** „წყალია“ **ა-კტგ** „ქათამი“; სიტყვასიტყვით: „წყლის ქათამი“.

ა-ღგრგანწგზა „ბოლოქანქალა“, **ა-ღგრგან** „ტაფა“, **ა-წგზა** „კული“; ზედმიწევნით: „ტაფის კულა“.

ა-ყარმაწვს „ბულბული“. ქ. ლომთათიძის აზრით, სიტყვა შედგება **აყარმა** „სვია, ფშალა“ სახელისა და **აწვს** „ჩიტი“ ლექსემებისაგან. ავტორი სახელწოდებას უკავშირებს ქართულ ყარანას (ლომთათიძე, 1944, 122); სიტყვასიტყვით: „სვიის ჩიტი“.

ა-ჟწვს „მერცხალი“, **აჟ** „ძროხა“, **ა-წვს** „ჩიტი“; ზედმიწევნით: „ძროხის ჩიტი“. (მაჭავარიანი, 2008, 153).

არდღენა „შოშია“, ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოცემული აქვს ქ. ლომთათიძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, გვ. 158: ავტორს **-არ-** ელემენტი ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელ ტერმინებში დადასტურებულ **აი-** ელემენტის ვარიანტად მიაჩნია (იქვე, 95), ხოლო **დ** ელემენტი **ა-დგ** „მინდორ“ სიტყვას უკავშირდებოა. მკვლევარი სიტყვის ეტიმოლოგიის სხვა ვარიანტსაც გვთავაზობს: ბერძნულიდან ქართულში შემოსულ სიტყვად მიიჩნევს, გურული **გა-იდონა** < **იადონიდან** ხომ არ არისო? (იქვე, 158).

აჟარდენა „შოშია“. აქ **აჟ** ნიშნავს „ძველს“, **ა-** ფუძისეულისა: „ძველი, (ბებერი) შოშია“?

ანცარწვს „ბულბული“, რომელშიც **ანცა** „ღმერთია“, **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების ნიშანი, **(ა)წვს** „ჩიტი“; ზედმიწევნით: „ღმერთის (მათი) ჩიტი“. ლექსემაში სახეზეა **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების აფიქსი. აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, ენა ცდილობს, კუთვნილება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გამოხატოს. საინტერესოა, რომ ამჟამად სიტყვას **ანცა** „ღმერთი“ მხოლოდითი რიცხვის გაგება აქვს, ეტიმოლოგიურად კი, როგორც ქეთევან ლომთათიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, მისი ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „დედები“ (ლომთათიძე, 1978, 145), რასაც ნათლად ადასტურებს ამ სიტყვის შემცველი კომპოზიტი, რომელშიც ჩანს მსაზღვრელი სიტყვის მესამე პირის კუთვნილების **-რ** ნიშანი სწორედ მრავლობით რიცხვში. შდრ.: **ა-შააცა** „გამჩენი, შემოქმედი, შემქმნელი“, < **ა-შაარა** „შექმნა, გაჩენა“, რომელსაც მხოლოდითი რიცხვი არა აქვს. აფხაზურში ღვთაების აღმნიშვნელ ტერმინთა მრავლობითი რიცხვით წარმოდგენა წარმართობის (მრავალღმერთიანობის) დრო-

დან უნდა იღებდეს სათავეს. თუმცა ცნობილია, რომ ბიბლიაში შემოქმედი თავის თავს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს:

„და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა მსგავსებისა“ (დაბ. 1, 26); „და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 3, 22); „თქუა უფალმან ღმერთმან: ...მოვედით, გარდავიდეთ და შეურივნეთ მათ ენანი მუნ“ (დაბ. 11, 6-7) წმინდა ბასილი დიდის განმარტებით, ეს არის მინიმება თავად სამ პირზე, წმინდა სამებაზე (ექუსთა დღეთა, მე-9 საუბ.) ამ თვალსაზრისით, აფხაზურს შემოუნახავს არქაული ვითარება.

ა-კეტრგზ`გუ „ქორი“, „ქათმის ქორი“.

ა-წლარკუკუ „კოდალა, ხეკოდალა, ხეკაკუნა“, **აწლა** „ხე“, **აკუკუ** „გუგული“, ზედმიწევნით: „ხის გუგული“.

ა-ლაჰარაწგს „ჩამურის ჩიტი, ბელურა, ჭიკვაკვი“ შდრ.: **აბალ-რედ**. **ა-ლაჰარა** „ჩამური, საცეხველი“, **აწგს** „ჩიტი“.

ა-შაბგზაწ „სავათი“; სიტყვასიტყვით: „ფეხი, რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ-** სამიმართებო პრეფიქსია.

აძგშა „ძერ-ქორი“, **შა** უნდა იყოს **აშაკ`კა** „თეთრი“ ზედსართავის ნაშთი; ზედმიწევნით: „ქორი თეთრი“. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გამოთქმა: დძშაძა დგშაღეძტ „ძერ-ქორივით გაჭაღარავდა“.

ა-ხულფწგს // ა-ხულმწგს „ლამურა, მღამიობი“, **ა-ხულფ** „ღამე“, **ა-წგს** „ჩიტი“; სიტყვასიტყვით: „ღამის ჩიტი“.

ა-ხ`დაწგლრაა „ყელჭრელა“ **ა-ხ`და** „კისერი, ყელი“, **ა-ღრაა** „ჭრელი“; ზედმიწევნით: „ყელჭრელა“ **წ** ელემენტი ხომ არ არის **აწგს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი? ***ა-ხ`დაწგსღრაა** ზედმიწევნით: „კისერჩიტ-ჭრელი“.

ა-ჰგწწარაფშ „გულწითელა“, ბზიფ.: **ა-ჰგწწარაყაფშ**, რომელშიც **ა-ჰგწწარა** „ლილია“, **აფშ < აყაფშ** „წითელი“.

ა-შხაც // ა-შხვც „არწივი“, აშხა „მთა“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ა-ტგვარკვარ // ა-ტკვგვკვგვ „კოტი“, **ა-ტგ** „ბუ“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ასევე ბუნდოვანია შემდეგი კომპოზიტების მნიშვნელობა:

ა-რნ-გნა „რუხი შაში“.

ა-ნ-შცბა „მინინო“.

ა-ბჟოუბჟიკ // ა-შამგნ-აჟ „ოფოფი“.

ა-ჰნგშე „თევზიყლაპია, ჭარო, ფოცხვი, დედა-მთვრალა“.

ა-მამგრჯაგ „ძერა, ყურბი“.

წარმოდგენილი კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა.

- მამრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მამრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **-არბად** „მამალი“, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც იხმარება (ზოგადად) მამლის აღსანიშნავად. მამლის მნიშვნელობით ეს სიტყვა **-ღ** სუფიქსის გარეშეც გვხვდება: **არბა** „მამალი“, რომელსაც კრებითობის მნიშვნელობაც აქვს: **არბა ჰგართჟეიტ** „მამლები ყვიან“. **ა-კ°ტგ** „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **ა-კ°ტარბად** „ქათამ-მამალი“. სწორედ ამ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-ღ** ნახევარსუფიქსი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ **-ღ** ელემენტს დაირთავს **ა-კ°ტად** „კვერცხი“ ლექსემაც. შესაძლოა ეს ელემენტი ზოგადად „აღმოცენების“ სემანტიკის შემცველი იყოს, შდრ. **ა-ღარ** „ღერო“, **ა-ღარ-ა** „აღმონაცენი“. შდრ. აგრეთვე ქართული: ღერო, ღერძი...

- მდედრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მდედრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **არცგნა**, რომელიც ცალკეც იხმარება „დედლის“ მნიშვნელობით: **ა-კ°ტგ** „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **ა-კ°ტარცგნა** „დედალი“, სიტყვასიტყვით: „ქათამ-დედალი“.

აღნიშნული სიტყვების ეტიმოლოგიას ვხვდებით ქ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. მკვლევარი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილავს **არბად** „მამალი“ და **არცგნა** „დედალი“ ლექს-

სემების სტრუქტურას და გამოაქვს დასკვნა, რომ ისინი აგებულია იდენტური უნდა ყოფილიყვნენ: **-ც** ელემენტი დედლის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხოლო **-ღ** ელემენტი — მამლისა. გარდა ამისა, **არცნა** სიტყვაში **ნა-** ელემენტი „დედას“ აღნიშნავს, ხოლო **არბაღ** სიტყვაში **ბა-** ელემენტი „მამას.“ შდრ.: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-ღ** ოღონდ ელემენტების თანამედევრობაა სხვადასხვაგვარი: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-ღ** < **არ-ღ-გ-ბა** (ლოთათიძე, 1976-77, 96).

აქაც, როგორც ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში, მსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავის როლში გვევლინება და მოსდევს საზღვრულს. აფხაზურ ენაში არსებული მოდელი საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, აქაც დაცულია: ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა ისეთივეა, როგორიც ძველ ქართულში: მართვშ არწივისაჲ.

• ნაშიერთა სახელების გადმოსაცემად ფუძეს ერთვის **-ხ** დემინუტივის სუფიქსი, რომელიც თავად **ა-წგს** „ჩიტი“ ლექსემიდან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს. **ა-წგს** „ჩიტი“, სახელწოდება ასევე გამოიყენება ზოგადად ნაშიერთა (არა მარტო ფრინველთა) სახელწოდებებშიც, ეს ფაქტი, როგორც აღნიშნავს მკვლევარი, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის მაჩვენებელია. **ა-კჳგშ < ა-კგტწგს** „წიწილა“. ამის გამო თვით ჩიტის ნაშიერისათვის **ა-წგს** ფუძეს დაერთო საგანგებოდ სინორჩის აღმნიშვნელი **ფშეჟა: ა-წგს ფშეჟა** „ჩიტის ბარტყი“. (ლომთათიძე, 1991, 48) **ა-რბაღ ჳგშ, ა-რბაღ ხჳგ** „ყვინჩილა, მამლაყინწა“, **ა-კტარშეარც** „ვარია, წრიაპი“, **შე** ელემენტი **ა-შეარა** „შექმნა, გაჩენასაგან“ მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1976-1977, 96).

ნაშიერთა **-ხ** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ხ** ჩამოსცილდება და მის ადგილს იჭერს კრებითობის სუფიქსი **-რა: აწგს** „ჩიტი“, **აწა-რა** „ჩიტები“.

• ფრინველთა გარეულობის აღსანიშნავად ფუძეს ერთვის **აბნა / აბგნ** „ტყე“ ლექსემა: **ა-ბგნკტგ** „ხოხობი“, რომელშიც **აბგნ** „ტყეა“, **აკტგ** „ქათამი“, სიტყვასიტყვით: „ტყის ქათამი“.

არსებითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავის როლში გვევლინება და წინ უსწრებს საზღვრულს. აფხაზურისათვის დამახასიათებელი მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა დაცულია.

- ფრინველთა სიმრავლე აღინიშნება კრებითობის **-რა** სუფიქსით: **ა-კჭა-რა** „წიწილები“... ან ნივთთა (არაგონიერთა) მრავლობითობის **-ქა** სუფიქსით: **ა-ყვზ-ქა** „ბატები“. ზოგჯერ ეს სუფიქსები ერთადაა წარმოდგენილი: **აკჭა-რა-ქა** „წიწილები“, **აჟწ-არ-ქა** „მერცხლები“, (თუმცა, გვხვდება **აჟწ-არ**, **აჟწ-ქა** ფორმებიც). ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი **-რა** კრებითი მრავლობითი სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის **-ქა** მრავლობითობის სუფიქსით.

- ფრინველთა სადგომის, მემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი: **აწვს-თრა // აწვს-თგვრა** „ჩიტის ბუდე“, **აკტგ-რთა // აკტ-წარ-რთა** „საბუდარი“, **აფზარგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფზარგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევად, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, მემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწვს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო.

- ფრინველთა ხმიანობის აღსანიშნავად გამოიყენება ხმაბაძვითი სიტყვა: **ა-ჭგრჭგრ-რა** „ჭიკჭიკი“ და სხვ. შდრ.: ქართ. ჭიკჭიკი...

- ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს შემდეგი სახელწოდებები: **ა-კუკუ** „გუგული“, **ა-ჭგნჭა** „ბატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრაქა“, **ა-უარბა** „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“, **ა-უარბაჟ** „ძერა“ შდრ.: „ორბი“, **ა-კაფკაფ** „მთის კაკაბი, შურთხი“, შდრ.: „კაკაბი“, **ა-მალაღურ // ა-მლაღურ** „მოლაღური“, **ა-მაჟარდენ** „შევარდენი“, **ა-ბაღრეი // აბაღერ** „ბელურა“, **აჟრან** „სვავი“, შდრ.: „ჟორანი“, **აგად** „გედი“, **ა-კტგ** „ქათამი“ შდრ.: კვატა, **ა-ჭგჭ**

„მტრედი“, შდრ.: ხოხობი, **ა-ტე** „ბუ“ შდრ.: „ტოროლა“, **ა-უ^არგლ** „ყვერული“.

- რუსულიდან ნასესხებია **ა-პოპუგაი** „თუთიყუში“.

- ქათმის ავადმყოფობის აღსანიშნავად იხმარება ლექსემა **მგრზა** „ქათმის ერთგვარი სენი“, რომლის წარმოშობა ჩვენთვის ამჟღერად ბუნდოვანია.

- ფრინველთა სხეულის ნაწილები: **ა-ხძე** // **ამწ^აგუჯა** „ფრთა“, **ა-პგზ** // **აკაფა** „კურტუმი“, **ა-ყგრყგდა** „ხორხი“, **ა-ყგრყგ** „ყანყრა-ტო, ყელი, ხორხი, საყლაპავი“, **აშაპხგც** „კლანჭი, ბრჭყალი, ჭანგი“, **ა-წგზა** „კული“, **აწგწ^ალად** „ფრინველთ კუჭი“, **ა-ხ^ა** „ბუმბული, ღინღი“, **ა-ხ^ადა** „კისერი“, **ა-ჩგყ^ა** „ჩინჩახვი“, **ა-ხჩქურთულ** // **ა-ხცგურთულ** // **ა-ხგმგმგმგლ** „ქოჩორი“, **ა-ხგც^აკუკუნ** „საქოჩრე, კორტონი, კინკრიხი“.

სიხშირის მიხედვით ფრინველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზეა კომპოზიტები, მეორეზე ოდენ-ფუძიანი წარმოება, მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფოლოგიური ასახვა ფრინველთა სახელებში არ არის სისტემატური.

ლიტერატურა

ბიბლია, 1989 — საქართველოს საპატრიარქო, 1989.

გვანცელაძე, 1982 — თ. გვანცელაძე, ფრინველთა სახელწოდებანი აფხაზურში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, 1982.

ლომათაძე, 1945 — ქ. ლომთაძე, აფხაზური აფსაა// აფსაატ^ა „ფრინველი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, სმამ, ტ. VI, №4, თბილისი, 1945.

ლომათაძე, 1991 — ქ. ლომთაძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშეერთა სახელთა მიხედვით), ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

ლომათაძე, 1976-1977 — ქ. ლომთაძე, აფხაზური და აბა-

ზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1976-1977.

ლომთათიძე, 1944 — ქ. ლომთათიძე, ბულბულის სახელ-წოდება ყარანას გამო, სმამ, ტ. №1, თბილისი, 1944.

ლომთათიძე, 1978 — ქ. ლომთათიძე, კვლავ აფხაზური ანცა („ღვთაება“) სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, №3, თბილისი, 1978.

მაჭავარიანი, 2008 — ნ. მაჭავარიანი, „ამერცხალი“ ლექსემა ენათმეცნიერულ ლიტერატურაში და ამ სიტყვის ეტიმოლოგიის კიდევ ერთი ცდა, იკე, XXXVI, თბილისი, 2008.

წმიდა ბასილი დიდი, 1996 — ექუსთა დღეთათჳს, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996.

ჯანაშია, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Nana Machavariani

Semantical-Structural Analysis of Birds' Abkhaz names

Summary

Different life of human being is mirrored in this or that area of a language fund. Different life defines those peculiarities and diversity which are observable in **inner fragmentation** of a lexical fund of different languages.

A great part of a **basic** Abkhazian lexical fund is the names denoting birds.

According to semantic viewpoint, bird vocabulary can be divided into the names female and male of domestic and wild birds and posterities.

The vocabulary denoting **dwelling place, anatomic parts of body, sound** and **disease** of birds is to be distinguished separately. This vocabulary is noteworthy from the viewpoint of studying a birds' vocabulary and generally, ethnological and culturologic aspects of language **unity**.

Different models are distinguished in a birds vocabulary from the structural viewpoint:

1. Names of birds are given with an **unsigned** stem: **a-psaa** “bird” (general name), **a-qəz** “goose”, **a-pa** “crane”.

2. A great part of birds’ names are formed through composition: **anc-arçəs** “nightingale”, word-in-word “God’s (their) bird”, in which **anc-a** is “God”, **-r** is a possessive marker of III person plural, **(a)çəs** “bird”, **a-mşəngəz** “swan”, word-in-word: “sea-goose”, in which **a-mşən** is “sea”, **(a)qəz** – “goose”, **a-şşayəç** “greenfinch”, in which **a-şşə** is “fat”, **(a)γəç** “thief”.

3. A word-suffix **-arbay** “cock” denoting male, is added to some male birds’ name. This word-suffix is also used independently (generally) to denote a cock: **a-kətə** “hen” (general name), **a-kətərbay** “hen-cock”.

4. A word-suffix **arcəna** denoting female is added to some female birds’ name: **a-kətə** “hen” (general name), **a-kətərcəna** “mammal”, word-in-word “hen-mammal”.

5. A suffix **-s** of diminutive is added to a stem to denote the names of posterities: **a-çəs** “bird”, this name is generally used in the names of posterities (and **not only of birds**): **a-kəjəş** < **a-kətçəs** “chick”. In the names of posteriors with **-s** suffix in plural this **-s** is changed into **-ra** (collective suffix): **a-çəs** “bird” – **a-ça-ra** “birds”.

6. Multiplicity of birds is expressed by a collective suffix **-ra**: **a-čə-ra** “chickens”... or by **ka** plural suffix of things (of insentients): **a-qəz-ka** “geese”. Sometimes these suffixes occur together: **a-kə-čə-ra-ka** “chicken”...

7. A suffix **-rta** / **-tra** is added to a stem denoting a bird, to express a dwelling place of birds: **a-çəstra** “bird’s nest”, **a-kətə-rta** “bird’s laying box”.

8. Onomatopoeic words are used to denote the sound of birds: **a-čə-čərra** “twittering” and others.

The article deals with the attempt of systematization of birds’ Abkhazian names. Besides mentioned names the words denoting anatomic parts of birds body and some words entering the **semantic fields** of a birds’ vocabulary are **also discussed**, motivation of some names is manifested, **borrowed stems are distinguished**.

According to frequency, in the name denoting birds, composites are on the first place, on the second one – only-stem formation, morphologic reflecting of female and male is not systemic in the birds’ names.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXXVII,
თბილისი, 2009.

მწერთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ენის ლექსიკის სემასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა უპირველესად ითვალისწინებს სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებას, მისი სემანტიკური სტრუქტურის აღწერას სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, მისი ლექსიკური სინტაგმატიკა, ენობრივი მეტაფორა.

ცნობილია, რომ ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარადაა ასახული ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო.

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი მწერთა აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს.

სემანტიკური თვალსაზრისით, მწერთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს მფრინავ და მხოხავ, ადამიანისათვის სარგებლობის მომტან თუ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ, ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით, მწერთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელი:

- მფრინავი, ადამიანისათვის სარგებლობის მომტანია **ა-შხა** „ფუტკარი“, ამ ფუძისაგან აფხაზურში არაერთი სიტყვაა ნაწარმოები: **ა-შხეც** „ერთი ფუტკარი“ — **-ც** სუფიქსი „ცალის“ აღმნიშვნელია; **ა-შხარ** „მუშა ფუტკარი“ — შესაძლოა **-რ** ამ ლექსემაში იყოს

ნაშთი სიტყვისა **არ** „ჯარი“, ანუ „ჯარისკაცი ფუტკარი“; **ა-შხაწი** „კუნდი ფუტკრისა“, **ა-შხარან** „დედა ფუტკარი“ — სიტყვის პირველი ნაწილია იგივე **ა-შხა** „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ-** პრეფიქსი და **ან** „დედა“ ლექსემა; სიტყვა-სიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“. აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ა-შხა** „ფუტკარი“ მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

შხა-ნეჭია „ფუტკრის სალოცავი“ — **ა-ნეჭიარა** „ლოცვა“, ზედმიწევნით: „ფუტკრ(ის) ლოცვა“; **ა-შხემწა / აშხემქა** „სკა“ — **ა-შხაგაიარა** „საფუტკრე“, **აგაარა** „ლობე“, სიტყვასიტყვით: „ფუტკრის ლობე“. კომპოზიციის გზით შედგენილი ზემოთ განხილული სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ფუტკრის სახელისა და მისგან ნაყარი ფუტყების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზები მეფუტკრეობას ძველთაგანვე მისდევდნენ.

ა-ყანჭ/ა-ყანჭ-ხიაც „აბრეშუმის ჭია“ — **ა-ხააც** „ჭიას“ ნიშნავს დამოუკიდებლად. ეს სიტყვა ნასესხები ჩანს აფხაზურში, შდრ.: ქართული „ყაჭის ჭია“, ლექსემის მეორე ნაწილი კალკირებულიც კია: **ა-ყანჭქაარა** „მეაბრეშუმეობა“, **ა-ქაარა** „აღზრდა“, ანუ „აბრეშუმის აღზრდა“. მეაბრეშუმეობა აფხაზთათვის შედარებით ახალი საქმიანობაა, ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზურში აბრეშუმის ჭიის აღმნიშვნელი სიტყვა ნასესხებია.

• მფრინავი, ადამიანისათვის ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია **ა-ფარფალგკ/ა-ფარფალგკ/ა-ხეჩფფვვრ** (ბზიფ.) „პეპელა“, შდრ.: ქართული **ფარფალი/პარპალი**.

ა-ძგრკიი/ა-ბგარგმ(ბზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ სიტყვის პირველი ნაწილი **ა-ბგა** „მგელი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ-** პრეფიქსი და **ამძამწ** „ბუზი“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „მგელი მათი ბუზი“, აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ა-ბგა** „მგელი“ მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

• ადამიანისათვის ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებები: **ა-მწ** „ბუზი“, **ა-ლამწ** „ძაღლის მწერი“ — **ა-ლა** „ძაღლი“, **ა-მწ** „ბუზი“, სიტყვასიტყვით: „მგლ(ის) ბუზი“; **ა-ციგმწ** „ბუზანკალი“ — **ა-ცი** „ხარი“, **ა-მწ** „ბუზი“, ზედმიწევნით: „ხარის ბუზი“, **ა-ცც** „ქინქლა“, **ა-ვ** „ჩრჩილი“, **აკუბრგ** „კოლო“, **აკუბრგ სსა** „წვრილი ქინქლა“, **ა-წა** „ტილი, მკბენარი“, **ა-ძ** „რწყილი“, **ა-ძთრა** „სარწყილე“, **-თრა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი. **აკაწა** „ბაღლინჯო“, **ა-ხიაც** „ჭია“, **ა-ხია** „ხორცის მატლი **ა-ხიარშ’/ა-ხიარშ’გ** „ბობოლი (ხის დიდი მატლი), **ახიაჭა-მაჭა** „ჭია-ლუა, მწერი“ შდრ.: ქართული ხოჭო; **ა-შ’ხგრციაღ** „კრაზანა, ბზიკი“, **ა-ბგზკათაჭა** „ობობა, ბაბატუა, ფეიქარა“, **ა-ბგზკათაჭარა** „აბლაბუდა, ობობას ქსელი“ — სიტყვის პირველი ნაწილი **ა-ბგზ** „ენა“, მეორე ნაწილი **აკათა** „ბაღეა“, **აჭარა** „ქსოვა“. **ა-შ’გშ’კამსა** „ჭიანჭველა“ — სიტყვის მეორე ნაწილი **კამსა-ქამსა** „ბანჯგვლიანი“ ზედსართავია, პირველი კი **ა-შ’გშ’** ქართული *ჭიანჭ ფუძის ბგერათფარდი სახელი უნდა იყოს (მაჭავარიანი, 2007, 53).

ამგვარად, მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავებით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმრავლითაც გამოირჩევა.

ლიტერატურა

ლომათიძე, 1991 — ქ. ლომთაიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშეერთა სახელთა მიხედვით), ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

ლომათიძე, 1976-1977 — ქ. ლომთაიძე, „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, თბილისი, 1976-1977.

მაჭავარიანი, 2007 — ნ. მაჭავარიანი, აფხაზური აზგუშკამს „ჭიანჭველა“ ლექსემის ბგერათფარდობისათვის მის ქართულ შესატყვისთან. XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2007.

ჯანაშია, 1954 — აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

Nana Machavariani

Structural and Semantic Analysis of Abkhazian Insect Names

Summary

The Abkhazian insect names that are quite numerous, reveal culture-specific reflection of the extralinguistic reality. Semantically the names in question can be divided into the names for: flying, crawling, harmful, useful and aesthetically attractive insects. From the structural standpoint a number of patterns can be singled out. The compounds follow the norms of the Abkhazian language: the modified precedes the modifier.

„საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIX, თბილისი, 2009.

**კითხვითობის -მა და უარყოფითობის -მ-
მორფემათა ისტორიისათვის აფხაზურში და მათი
საერთო ამოსავლის კავშირი ქართული ენის
ანალოგიურ კატეგორიებთან**

კითხვითი ფორმები დიდ ნაირსახეობას იძლევა აფხაზურში. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს კითხვითობის -მა სუფიქსი, რომელიც კითხვითობის გამომხატვის ერთ-ერთი საშუალებაა დადებით-კითხვით წინადადებაში, ანუ ისეთი სახის კითხვით წინადადებაში, რომელიც არ შეიცავს უარყოფით ნაწილს.

ზმნის დადებით-კითხვითი ფორმა კითხვითობის გამოსახატავად იყენებს -მა და -უ სუფიქსებს. ისინი დაერთვიან ზმნის ამა თუ იმ დროის ინფინიტურ ფორმას: **ბ-ცო-მა?** < **ბ-ცაჟა-მა?** „შენ (ქ.) მიდიხარ?“, **მ-ჟ-ბო?** < **მ-ჟ-ბაჟა-უ?** „შენ (კ.) ხედავ?“ (ლომთათიძე 1942).

უარყოფითობა აფხაზურში -მ- მორფემით გადმოიცემა. მისი ადგილი ზმნაში დამოკიდებულია ზმნის სხვადასხვა მორფოლოგიურ პირობაზე: დინამიკურობა-სტატიკურობაზე, ფინიტურობა-ინფინიტურობაზე, მწკრივის ფორმაზე.

სტატიკურ ზმნებში უარყოფის -მ ნაწილაკი მუდამ ძირის შემდეგ დგას (სუფიქსია) ყველა ნაკვთსა და სიტყვათწარმოებით კატეგორიაში, დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების აწმყოს, მყოფადი I-ის, მყოფადი II-ისა და ნამყო უსრულის ფორმებში.

უარყოფის მ- ნაწილაკი მუდამ პრეფიქსია და, ჩვეულებრივ, ზმნის ძირის წინ იჭერს ადგილს დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების ნამყო განუსაზღვრელის, ნამყო სრულის (აორისტის), ნამყო უკვეობითის, ნამყო წინარე წარსულის ფორმებსა და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმებში.

თუ დინამიკური ზმნიდანაა სახელი ნაწარმოები და მას უარყოფითი შინაარსი აქვს, უარყოფითი აფიქსი მ- იქნება სიტყვის თავში: **ა-მ-ბატ** „უხილავი“, **აბარა** „ხილვა“. პირიქით, თუ სტატიკური

ზმნიდანაა ნაწარმოები სახელი და მას უარყოფითი შინაარსი აქვს, უარყოფითი აფიქსი **-მ** იქნება სიტყვის ბოლოში: **ა-ტ⁰გ-მ** „უცხო“.

ასეთივეა უარყოფის წარმოება აბსოლუტივიშიც. აქ **მ** აფიქსის გარდა **-კ^ა** სუფიქსიც დაერთვის ძირს (საფიქრებელია, ეს იგივე „ყოფნა“ ზმნის ფუძეა). **მ-** და **-კ^ა** დინამიკურ ზმნებში დაშორებულია ერთმანეთს: **სგ-მ-ცა-კ^ა** „მე წაუსვლელად“, **ი-ყა-სგ-მ-წა-კ^ა** „მე რისამე გაუყეთებლად“.

სტატიკურ ზმნაში აქაც **-მ** სუფიქსია, ზმნას მთლიანად ერთვის **მ-კ^ა** ბოლოში: **მ-სგ-მა-მკ^ა** „მე მის უქონლად“.

ქ. ლომთათიძის აზრით, ზემოთ აღნიშნული ვითარება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ენაში დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა დაპირისპირების ერთ-ერთ ნიშნად გამოყენებულ იქნა უარყოფის აფიქსის ადგილმდებარეობაც (ლომთათიძე, 1953).

სწორედ **-მ-** ფორმანტის ასეთი ფორმით გამოყენების აღნიშნულმა შემთხვევამ მიიქცია ჩვენი ყურადღება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის კითხვითობის **-მა** ფორმანტი უარყოფითობის შინაარსსაც უნდა შეიცავდეს და ამით უნდა იყოს განპირობებული ამ ორი **-მა** და **-მ-** ფორმანტის (**-მ-**) მასალობრივი ერთიანობა. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება: იგი (**-მა** ფორმანტი) მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც წინადადება არ შეიცავს უარყოფით ნაწილსაც. სავარაუდოდ, ამ ნაწილაკით გადმოიცემა კითხვის, დაახლოებით, ასეთი, შინაარსი: **ბ-ცო-მა?** < **ბ-ცაჟა-მა?** „შენ(ქ.) მიღიხარ? (არა?) ან: **მ-ჟ-ბო?** < **მ-ჟ-ბაჟა-ჟ?** „შენ (კ.) ხედავ?“ (არა?).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ ზმნის დადებით-კითხვით ფორმაში **-მა** სუფიქსის გამოყენება შესაძლოა იმის გამო ხდებოდა, რომ კითხვითობა-უარყოფითობის ერთნაირი მორფოლოგიური ინვენტარით გადმოცემა მათი საერთო წარმოშობით აიხსნება.

აფხაზურის ვითარება ძველ ქართულში კითხვითი **ა-** ნაწილაკის გამოყენებას მოგვაგონებს: „იაკობ მანდა არსა?“ (შუშანიკის წამება, 52) რაც, შესაძლოა, ნიშნავდა: „იაკობი მანდ არის, არა?“

„და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა უფროის ამათსა?“... (იოვანე, 21,15).

„ჰრქუა მას მერმეცა მეორედ: სიმონ იონაძსო, გიყუარ მეა“? (იოვანე, 21,16).

„კუალად ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაძსო, გიყუარ მეა“? (იოვანე, 21,17).

ანუ, ხომ გიყვარვარ ამათზე მეტად (არა?)

ანუ, ხომ გიყვარვარ (არა?)

ანუ, ხომ გიყვარვარ (არა?)

იესოს სამგზის შეკითხვისა და პეტრე მოციქულისაგან დადებითი პასუხის შემდეგ მაცხოვრის მოწოდება უნდა გულისხმობდეს: „(თუ გიყვარვარ,) დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“... თითქოს კითხვითობის -ა მორფემა შეიცავს გარკვეულ აპელაციურობასაც. რაღა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი ამონარიდის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ასეთი ინტერპრეტაცია ჰიპოთეტურია.

-ა ნაწილაკის შესახებ ქართულში დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს (ბაბუნაშვილი, შანიძე, უთურგაიძე...).

თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა გვაქვს, ძველი ქართული იქ -ა ნაწილაკს აღარ იყენებს, მაგ.: „სადა არიან წყალობანი შენნი, უფალო?“ (ფს. 88, 50) (უთურგაიძე, 1966, 216).

-ა ნაწილაკი უნდა ჩაითვალოს კითხვის გრამატიკულ მორფემად (უთურგაიძე, 1966, 217).

კითხვითი -ა ნაწილაკი საერთო ქართველურია: ძველ ქართულში დადასტურებულ კითხვით -ა ნაწილაკს სხვა ქართველურ ენებში მოებოვება კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისები: სვანური -ა და მეგრული -ო, მათ მხოლოდ კითხვის წარმოება ევალებათ (უთურგაიძე, 1966, 214).

ა-სთან დაკავშირებით სვანურში თ. უთურგაიძეს უჩნდება კითხვა: (მირესა? ხოხესა? ხოხალესა?-ს -ესა მთლიანი აფიქსია თუ იშლება? იგი ვარაუდობს, რომ -ესა დაბოლოება მიღებულია ჰა „თუ“ და დესა „არა“ ნაწილაკის შეერთებით პროკლიტიკა-ენკლიტიკისა და ელიზიის შედეგად, რაც ჰიატუსითაა გამოწვეული, ჰა+დესა იძლევა -ესა დაბოლოებას, ანუ დაბოლოება შეიცავს უარყოფით ნაწილაკს (უთურგაიძე, 1966, 219).

ჩვენ გგვონია, რომ ქართულის კითხვითობის **ა-ც** უარყოფითი „არა“ ნაცვალსახელიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც თავის მხრივ „არსებობა/ყოფნა“, ზმნასთან უნდა იყოს კავშირში..., ეს **არა** ნაცვალსახელია და **არა** ნაწილაკი, მიღებული **არ+რა**-საგან ორი თანხმობის შეერთებით და შემდეგ ერთ-ერთის გაუჩინარებით (შანიძე, 1980, 103) (< **არა-რა, არ-რა...**) ეს ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში აღარ გვხვდება: შემორჩენილია მხოლოდ ზმნით გათიშულ სინტაქსურ კონსტრუქციაში: „იყო და არა იყო რა“ (შანიძე, 1980, 103).

„არსებობა/ყოფნა“ ზმნასთან დაკავშირებით და მის ნაცვალსახელურ ძირებთან კავშირზე მრავალი მეტ-ნაკლებად გასაზიარებელი მოსაზრებაა გამოთქმული (შანიძე, იმნაიშვილი, აბულაძე, ჩიქობავა, ლომთათიძე, როგავა, ქურდიანი, არაბული, ოსიძე, ჭარაია, კლიმოვი, გამყრელიძე, მაჭავარიანი, სარჯველაძე, ფენრიხი, სოსელია, ერთელიშვილი, ქავთარაძე, გაჩეჩილაძე, შენგელია, სუხიშვილი, შმიდტი, დეეტერსი, ბოედერი...)

ჩვენი აზრით, შესაძლოა **ა** მომდინარეობდეს **არა**-საგან, *არ-მყოფი..., ხოლო **რა** ნიშნავს *მყოფს... ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები არსებობა და არარსებობა, შესაძლოა, ენაში ერთი და იმავე მორფოლოგიური ინვენტარით გადმოიცეს: ***ა+რა**=არ+მყოფი, ეს ლექსიკური ერთეული შესაძლოა ერთდროულად ასახავდა გონიერისა და არაგონიერის არმყოფობას, შესაბამისად, ადამიანისა და ნივთისათვის იგი ერთნაირად გამოყენებადი იქნებოდა. არის: როგორც ნივთი, ისე ადამიანი, არ არის როგორც ნივთი, ისე ადამიანი... ე. ი. აქ გვაქვს ასეთი დაპირისპირება: **არა** და **რა**... მათი სემანტიკური მოდელირება შეიძლება როგორც **მყოფი — არმყოფი...**

აფხაზურში უარყოფითობისა და კითხვითობის გამოსახატავად **აკ°გ** < **აკ°ზაარა** „არსებობა/ყოფნა“ კობულის შემცველი სიტყვა-ნაწილაკიც გამოიყენება: **სარა სზაკ°გზ(ე)ი?** „მე ვინ, რა ვარ?“ ...**მ-კ°ა**... მომდინარეობს **ამაზაარა-აკ°ზაარა** „ყოფნა-არსებობის“ სემანტიკის მქონე ზმნიდან...

აგებულების მიხედვით, აფხაზური **მ-კ°ა** ქართული **ა-რა**-ს სემანტიკურ-ფუნქციური ეკვივალენტია: აფხაზური **მ-** ისევე შეიძლე-

ბა იყოს უარყოფითობისა, როგორც ქართულის **ა-**. ანუ ქართული **არა** < **ა+რა**, „არყოფი“; ხოლო აფხაზური **მკ°** < **მ+კ°** „არყოფი“...

თავისთავად, ქართულის **ა-** და აფხაზურის **მ-** ერთი და იგივე ოდენობა ჩანს, ისინი ამჟამად უარყოფითობას აღნიშნავენ, ისტორიულად კი ორივე ყოფნა-არსებობის სემანტიკის ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს: „**ამაზარა**“-დან — **მა-**, „**არის**“ ზმნიდან კი — **ა-**.

ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, საგულისხმო თანხვედრაა. თავად **მამ** „უარი“ შესაძლოა შედგებოდეს **მ + აბ < აკ°** კოპულისაგან (ლომთათიძე, 1974, 133).

საფიქრებელია, რომ ეს ორი მორფემა (კითხვითობის **მა-** და უარყოფითობის **მ-**) წარმოადგენდა ერთი და იმავე მნიშვნელობის საერთო მორფოლოგიურ ოდენობას, სავარაუდოდ, უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვა-ნაწილაკს. (შდრ.: აფხ. **მამოჟ** < **მაჟმაჟ**, „არა“, **მამ** „უარი“), შესაბამისად, მათი მატერიალური თანხვედრა არ უნდა იყოს შემთხვევითი.

მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებიც;

ს. ჯანაშიას აზრით, სვანური **-მა** კითხვითი ნაწილაკი, ალბათ, ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული ვარიანტია **ა-**სი, რომელიც საერთო ქართველური კითხვითი ნაწილაკია (ძველი ქართული **-ა**, მეგრული **-მა**). ეს ქართველური **-ა** ფორმანტი გენეტურად ენათესავენა ჩერქეზულ **-ა** სუფიქსს, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს როგორც სახელებთან, ისე ზმნასთან: **ის** „ზის“, **ის-ა?** „ზის?“ (ჯანაშია, 1959, 102).

კითხვითობის და უარყოფითობის სემანტიკათა დაკავშირება არ არის მოულოდნელი ზოგად ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ლოგიკურად დაკავშირებულ კატეგორიათა მაწარმოებელი მორფემებიც რომ მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებდნენ, დასაშვებია, აქ განხილული აფხაზურის, ქართულისა და სვანურის ვითარება იძლევა საფუძველს ამ ორი კატეგორიისათვის — უარყოფითობა-კითხვითობისათვის ერთი საერთო ლოგიკური ამოსავალი მივიჩნოთ.

ლიტერატურა

არაბული, 1996 — ა. არაბული, ზოგი ცალთანხმოვნინი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. VII. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1996

ანალი აღთქმა, თბილისი, 2008.

გაჩეჩილაძე, 1974 — პ. გაჩეჩილაძე, უვის ზმნის ეტიმოლოგიისათვის. იკე, XIX, თბილისი, 1974.

ლომთათიძე, 1997 — ქ. ლომთათიძე, ყოფნა-არსებობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნათა ძირეული ნაირსახეობების წარმომავლობა ქართველურ ენებში და მათ საერთო ამოსავალთან აბაზურ-აფხაზურ მონაცემთა კავშირი. ქართველური მემკვიდრეობა. I, ქუთაისი, 1997.

ლომთათიძე, 1942 — ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში. სმამ. ტ. III, № 9, თბილისი, 1942.

ლომთათიძე, 1953 — ქ. ლომთათიძე, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. იკე, V, თბილისი, 1953.

ლომთათიძე, 1974 — ქ. ლომთათიძე, ფინიტობის -ბ სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, თსუ შრომები, B 6-7 (151-152), თბილისი, 1974.

ოსიძე, 1996 — ე. ოსიძე, ვარაუდები „არსებობისა“ და „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზოგი უძველესი ზმნის წარმომავლობის თაობაზე. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. VII. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1996.

როგავა, 1979 — გ. როგავა, ძველი ქართული უვის ზმნის ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტები ქართველურ ენებში. იკეწ, ტ. VI, თბილისი, 1979.

უთურგაიძე, 1966 — თ. უთურგაიძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში. იკე, IV, თბილისი, 1966.

ქურდიანი, 1996 — მ. ქურდიანი, კლასიკატეგორიანი ენების გრამატიკულ სტრუქტურათა თეორიული მოდელირების ცდა. I. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. VII. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1996.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III, თბილისი, 1980.

შენგელია, 1978 — ვ. შენგელია, „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილება ძველ ქართულში. იკეწ, ტ. V, თბილისი, 1978.

შუშანიკის წამება, 1999 — იაკობ ცურტაველი, „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბილისი, 1999.

ჯანაშია, 1959 — ს. ჯანაშია, შრომები. ტ. III, თბილისი, 1959.

Н. Мачавариани

К истории морфем вопросительности **-ma** и отрицания **-m** в абхазском и связь их общего происхождения с аналогичными категориями грузинского языка

В абхазском языке вопросительные формы весьма многообразны. Предмет нашего интереса на данный момент – вопросительный суффикс **-ma**, который является одним из средств выражения вопроса в положительно-вопросительном предложении, т.е. в вопросительном предложении такого типа, которое не содержит отрицательную частицу.

В положительно-вопросительной форме глагола для выражения вопроса используются суффиксы **-ma** и **-y**. Они примыкают к инфинитивной форме того или иного времени глагола: **b-so-ma?** < **b-ca-ma?** «ты (ж.) идешь?», «**i-y-bo?**» «**i-y-ba-y**» «ты (м.) видишь?» (Ломтатидзе 1942).

Отрицательность в абхазском передается морфемой **-m**. Ее место в глаголе зависит от различных морфологических условий глагола: динамичности-статичности, финитности-инфинитности.

В статических глаголах отрицательная частица **-m** всегда стоит после корня (является суффиксом), во всех временах и категориях

словообразования, в формах настоящего, условного I, условного II и прошедшего несовершенного времени динамических глаголов финитного образования.

Частица отрицания **m-** всегда является префиксом и обычно занимает место перед корнем глагола в формах прошедшего неопределенного, прошедшего совершенного (аориста), прошедшего несовершенного, давно прошедшего времени динамических глаголов финитного образования и в инфинитивных формах всех времен тех же динамических глаголов.

Если имя образовано от динамического глагола и имеет отрицательную семантику, отрицательный аффикс **m-** будет находиться в начале слова: *ambaʔ*^o «невидимый», *abara* «видеть».

Напротив, если имя образовано от статического глагола и имеет отрицательную семантику, отрицательный аффикс **-m** будет в конце слова: *aʔəm* «чужой».

Таким же является образование отрицания в абсолютиве. Здесь помимо аффикса **-m-** к корню примыкает также суффикс **-ʔ^oa** (надо полагать, что это тот же самый корень глагола «быть»). **m** и **-ʔ^oa** в динамическом глаголе отдалены друг от друга: *səmsaʔ^oa* «я, не уходя».

В статическом глаголе **-m** также является суффиксом, к глаголу полностью примыкает **m-ʔ^oa** в конце: *isemamʔ^oa* «я, не имея это».

По мнению К. Ломтатидзе, вышеуказанное положение должно объясняться тем, что в языке для противопоставления статических и динамических глаголов в качестве одного из признаков было использовано также местоположение аффикса отрицания (Ломтатидзе 1956, 5).

Именно указанный случай использования форманта **-m-** в такой форме привлек наше внимание.

Мы считаем, что формант вопросительности **-ma** в абхазском должен содержать в себе также и семантику отрицания, и этим должно быть обусловлено материальное единство (**-m-**) этих двух формантов: **-ma** и **-m-**. Основанием для подобного мнения является следующее обстоятельство: он (формант **-ma-**) употребляется только в том случае, когда предложение не содержит отрицательную частицу. Предположительно, этой частицей передается вопросительное содержание примерно следующего характера: *b-so-ma?* < *b-sa-u-a-ma?* «ты (ж.) идешь?» (нет?) или «*i-u-bo,* < *i-u-ba-u-y?* «Ты (м.) видишь?» (нет?»).

Иначе говоря, использование суффикса **-ma** только в положительно-вопросительной форме глагола, возможно, происходит для того, чтобы передача вопросительности-отрицательности одина-

ковым морфологическим инвентарем объяснялась бы их общим происхождением.

Такое положение, отмечаемое в абхазском языке, напоминает нам употребление в древнегрузинском вопросительной частицы **-а**: «iaḡob manda arsa?» что, возможно, означало: «Яков там, не так ли?».

da odes isadilnes, hrkua simon-petres iesu: simon ionaiso, giḡuar mea uprois amatsa?... (iovane 21,15)

«Когда же они обедали, Иисус говорит Симону Петру: Симон Ионин! любишь ли ты Меня больше, нежели они?» (Иоанн 21, 15).

hrkua mas mermesa meored: simon ionaiso, giḡuar mea? (iovane 21, 16)

«Еще говорит ему в другой раз: Симон Ионин! любишь ли ты Меня?» (Иоанн 21, 16).

ḡualad hrkua mas iesu mesamed: simon ionaiso, giḡuar mea? (iovane 21, 17)

«Говорит ему в третий раз: Симон Ионин! любишь ли ты Меня?» (Иоанн 21, 17).

«Т.е. ты же любишь меня больше чем они? (не так ли?) »

«Т.е. ты же любишь меня (не так ли?) »

«Т.е. ты же любишь меня (не так ли?) »

И после трех вопросов и получения положительного ответа от Петра призыв Спасителя должен означать: «(Если ты любишь меня) паси агнцев моих»... будто бы морфема вопросительности **-а** содержит в себе определенную апелляционность. Разумеется, предложенная нами интерпретация выдержки является гипотетической.

В грузинской научной литературе немало исследований, посвященных частице **-а** (Бабунашвили, Шанидзе, Утургаидзе...).

Если в предложении мы имеем вопросительное слово, в древнегрузинском там не используется частица **-а**, например: „sada arian ḡḡalobani ḡenni upalo? (Где же твои милости, Всевышний?)“ (Пс. 88.50) (Утургаидзе 1966, 216).

Частица **-а** следует расценивать как грамматическую морфему вопроса (Утургаидзе 1966, 217).

Вопросительная частица **-а** является общегрузинской: в других картвельских языках обнаруживаются закономерные фонетико-морфологические соответствия засвидетельствованной в древнегрузинском вопросительной частице **-а**: сванская **-а** и мегрельская **-о**, на них возлагается только лишь функция вопроса (Утургаидзе 1966, 214).

В связи с **-а** к сванском у Т. Утургаидзе возникает вопрос (в словах *miresa?* *хохеса?* *хохалеса?* **-esa** это полный аффикс или он разлагается?). Ученый предполагает, что окончание **-esa** получено слиянием частиц **ha** «если» и **desa** «нет» в результате проклитики-энклитики и элизии, что вызвано гятусом, **ha+desa** дает окончание **-esa**, т. е. окончание содержит в себе отрицательную частицу (Утургаидзе 1966, 219).

Мы полагаем, что грузинское вопросительное **-а** также должно происходить от отрицательного местоимения „*ara*“ „нет“, которое, в свою очередь, должно быть связано с глаголом *arseboba/qorpa* «существовать/быть», это „*ara*“ „нет“ – местоимение и „*ara*“ „нет“ - частица образованы от *ar+ra* (нет+что) путем слияния согласных и последующим исчезновением одного из них (Шанидзе 1980, 103) (< *ara-ra*, *ar-ra*...). Это местоимение уже не встречается в современном грузинском языке: оно сохранилось только лишь в синтаксической конструкции, разъединенной глаголом: „*iqo da ara iqo ra*“ (жил-был) (Шанидзе 1980, 103).

Относительно глагола «существовать/быть» и его связи с местоименными корнями высказан целый ряд мнений (Шанидзе, Имнаишвили, Абуладзе, Чикобава, Ломтатидзе, Рогава, Курдиани, Арабули, Осидзе, Чараиа, Климов, Гамкрелидзе, Мачавариани, Сарджвеладзе, Фенрих, Соселиа, Эртелишвили, Кавтарадзе, Гачечиладзе, Шенгелия, Сухишвили, Шмидт, Деетерс, Бёдер...), с которыми можно в большей или меньшей степени согласиться.

По нашему мнению, возможно **-а** проистекает от **ar-** **armqori* (не существующий...), а **ra** означает **mqori* (существующий...). На первый взгляд, противоречащие друг другу понятия существовать и не существовать, в языке могут быть переданы одним и тем же морфологическим инвентарем: **a+ra = ar+mqori* (*a+ra = не+существующий*); эта лексическая единица возможно одновременно отражала несуществование разумного и неразумного, соответственно, для человека и предмета она могла использоваться в одинаковой мере. *aris* (есть): как предмет (вещь), так и человек; *ar aris* (нет) как предмета, так и человека..., здесь мы имеем такое противостояние: **ara** и **ra**... (нет и что). Возможно их семантическое моделирование как **mqori** – **armqori** (существующий – несуществующий).

В абхазском для выражения отрицательности и вопросительности «*aq°e*» < «*aq°zaara*» «существовать/быть» используется и слово-частица,

содержащая копулу: zaḳyzi? ...m-ḳ°a amazaara – aḳ°zaara из глаголов, имеющих семантику бытия-существования...

Согласно строению абхазское **m-ḳ°a** оказывается эквивалентным грузинскому **a-ra**: абхазское **m-** также может быть признаком отрицательности, как и грузинское **a-**, т.е. грузинское **ara < a+ra** «несуществующий», а абхазское **m-ḳ°a < m+ḳ°a** «несуществующий»...

Очевидно, груз. **a-** и абх. **m-**, одного и того же смысла, они на сегодняшний день обозначают отрицательность, исторически же обе морфемы должны происходить от глагола с семантикой быть-существовать: **ma-** от **amazaara**, **a-** – от **aris** (есть).

Само **mar** «отказ», возможно, состоит из **m + ar < aḳ°** копулы (Ломтатидзе 1974, 133).

Надо думать, что эти две морфемы (морфема вопросительности **ma-** и отрицательности **m-** представляли общий морфологический смысл одного и того же значения, вероятно, слово-частицу, обозначающую отрицание (ср. абх. **mamoy < maumay**) «нет», **mar** «отказ», соответственно их материальное совпадение не должно быть случайным.

Это мнение подтверждается также данными других иберийско-кавказских языков.

По мнению С. Джанашиа, сванская вопросительная частица “**-a**» вероятно является принятым на фонетической почве вариантом **-a**, которая представляет собой общегрузинскую вопросительную частицу (древнегрузинская **-a**, мегрельская **-o**). Этот грузинский формант генетически родственен черкесскому суффиксу **-a**, который выполняет ту же функцию как с именами, так и с глаголами: *is* „сидит“, *isa?* „сидит?“ (Джанашиа 1959, 102).

С точки зрения языковой психологии это примечательное совпадение.

Согласно строению абхазское **m-ḳ°a** оказывается эквивалентным грузинскому **a-ra**: абхазское **m-** также может быть признаком отрицательности, как и грузинское **a-**, т.е. грузинское **ara < a+ra** «не существующий», а абхазское **mḳ°a < m-ḳ°a** «не существующий»...

Связь семантик вопросительности и отрицательности не является неожиданной с общезыковедческой точки зрения, также можно допустить то, что морфемы, производящие логически связанные категории, проявляют материальное единство. Рассмотренное здесь состояние абхазского, грузинского и сванского дает основание считать, что две категории – отрицательность и вопросительность – имеют общее логическое происхождение.

Nana Machavariani

Towards the history of interrogative *-ma* and negative *-m-* morphemes in Abkhaz and the connection of their common origin with Georgian analogous categories

Summary

In Abkhaz the usage of *-ma* suffix is one of the means for expressing question in affirmative-interrogative sentence.

An affirmative-interrogative form of a verb uses *-ma* and *-u* suffixes for expressing a question. They are added to an infinitive form of this or that tense of a verb: *b-co-ma?* < *b-cawa-ma?* "Are you going?", *i-w-bo?* < *i-w-bawa-u?* – "Do you see?" (Lomtadidze, 1942).

In Abkhaz negation is expressed by *-m-* morpheme. Its place in a verb is depended on different morphological conditions of a verb: dynamic-static, finitiveness – infinitiveness, kind of a screeve.

The paper expresses the viewpoint, that an Abkhaz interrogative *ma* formant could contain negation, as well and thus, this conditions a material unity (*-m-*) of these two formants *-ma* and *-m-*. This viewpoint is grounded on the following: this *-ma* formant is used only in that case, when there is no negative particle in a sentence. Supposedly, such contents of question is expressed by this particle: *b-co-ma?* < *b-cawa-ma?* "Are you going? (aren't you?)" *ori-w-bo?* < *i-w-bawa-u?* "Do you see? (don't you?)".

We think, that these two morphemes (interrogative *ma-* and negative *m-*) should have been a common morphological quantity of the same meaning, supposedly, a word-particle denoting negation (cf.: Abkh. *mamou* < *mawmau* – "no", *map* – "refusal", that, according to K. Lomtadidze's view, should be contain *m* + *ap* < *ak^o* copula (Lomtadidze, 1974: 133). Accordingly, their material coinciding should not be accidental.

An Abkhaz situation reminds the usage of an interrogative *a-* particle in old Georgian: "*iaḡob manda arsa?*" – "Is Jacob there?" that means: "*iaḡobi mand aris, ara?*" – "Jacob is there, is not he?"

Many viewpoints are expressed on *a-* particle in a scientific literature (Babunashvili, Shanidze, Uturgaidze...).

We think, that Georgian interrogative *a-* should be also originated from *ara* "no" pronoun, that in its turn should be connected with the verb existence/ to be. This *ara* is a pronoun and not a particle originated through

joining of two consonants *ar+ra* and then losing one of them (Shanidze, 1980: 103) - (< *ara-ra*, *ar-ra*...). This pronoun does not occur in modern Georgian. It is preserved only in a syntactic construction splitted by a verb: "*iqo da ara iqo ra*" (Shanidze, 1980: 103).

Generally, many viewpoints are expressed on the verb "existence/to be" and its connection with pronoun roots in a scientific literature (Shanidze, Imnaishvili, Abuladze, Chikobava, Lomtadze, Rogava, Kurdiani, Arabuli, Osidze, Tcharaia, Klimov, Gamkrelidze, Machavariani, Sarjveladze, Fähnrich, Soselia, Ertelishvili, Kavtaradze, Gachechiladze, Shengelia, Sukhishvili, Schmidt, Deeterce, Boeder...).

The connection *a* < **ar* "non-existence"... **ra* "existence" offered by us can be added to them. At a glance, opposite conceptions **existence** and **non-existence** can be expressed by the same morphological inventory in a language: **a+ra=ar+m gopi* "non-existence". Possible this lexical entry should have expressed the non-existence of animate and inanimate, accordingly it should have be used for a human-being and an object similarly. Semantic modeling of *ara/ra* opposition could be as *arm gopi – m gopi* "non-existence – existence". It is clear, that a root element is *-r-*.

In Abkhaz word-particles containing *aḵʷə* < *aḵʷaara* "existence/to be" copula are used, as well: *zaḵuzi?* – "What?", *m-ḵʷa*... "non-existence" from the verb having the semantics of *amaaara/aḵʷaara* "to be/existence"

According to structure, Abkhaz *m-ḵʷa* comes to be an equivalent of Georgian *a-ra*: Abkhaz *m-* can be of negative like Georgian *a-* or Georgian *ara* < *a+ra* "non-existence" and Abkhaz *m-ḵʷa* < *m+ḵʷa* "non-existence"...

კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესის
მასალები, თბილისი, 2010.

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში

3. აჯნეშე „სატანა, ეშმაკი“

აფხაზურში **აჯნეშე** „სატანის, ეშმაკის“ ერთ-ერთი სახელწოდებაა. აღნიშნული ლექსემა უნდა მომდინარეობდეს აფხაზურშივე დადასტურებული **ჯაჰანემ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ამ ენაში ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან: **ჯაჰანამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“.

ჯაჰანამ > ა-ჯნეშეა „ეშმაკი“, **აჰ** მარცვლის ჩავარდნით, ბოლოკიდური **მ**-ს გაუჩინარებითა და **შე** ფონემის დამატებით. ეს **-შე** ფონემა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ამჟამად გაქვავებული, მყოფადი მეორის მაწარმოებელი სუფიქსი **შა > შე**. შდრ.: **სანცაშა** „როცა უნდა წავიდე“, სიტყვის წარმოსახვითი მნიშვნელობა უნდა იყოს „ჯოჯოხეთისა, საჯოჯოხეთე“.

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ძველი ქართულის ლექსიკური ერთეული **მემაჯანი** „თავზარდამცემი“, რომელიც ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან ჩანს მოხვედრილი.

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სამჯერ:

„იგი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა“ (261, 2);

„იგი ხელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მემაჯანია“ (1603, 2);

„ღია ღიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!“ (1606, 1).

იუსტინე აბულაძის განმარტებით, ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს „მძაბუნებელს, თავზარდამცემს, გასაოცარს“.

სიტყვის ეს მნიშვნელობა უცხო არ უნდა იყოს არც აფხაზურის ჩვენების მიხედვით: აფხაზურში **აჯაშარა** ნიშნავს „გაკვირვებას“. შესაძლოა ეს ლექსემაც **ჯაჰანამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურსა და ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან მოხვედრილი ეს ლექსემები: **აჯნეშე, ჯაჰანემ, მემაჯანი** — გარკვეული სემანტიკური ცვლილებების გათვა-

ლისწინებით, უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან და ეს წყაროა **ჯაჰნამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი, ჯანდაბა“.

ლიტერატურა

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

ანდრონიკაშვილი, 1966 — მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.

რუსთაველი, 1951 — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1951.

Nana Machavariani

Anthropomorphic names

3. Towards the origin of the Abkhazian აჰნჷ ‘satan, devil’

Summary

In Abkhazian აჰნჷ is one of the names of ‘satan, devil’. The mentioned lexeme should be originated from the word **ჰჷჷჷჷჷ** ‘hell’ evidenced in abkhazian. In its turn, this word should be borrowed from Turkish: **ჰჷჷჷჷჷ// ჰჷჷჷჷჷ** ‘hell’.

My attention is also focused on Old Georgian lexical entry **მემაჰჷჷ** ‘shoked’ that seems to be entered in Georgian from the oriental languages.

The supposition expressed in the paper according to which these lexemes that entered in Abkazian and in Georgian from the oriental languages: **აჰნჷ, ჰჷჷჷჷჷ, მემაჰჷჷ** – taking into account certain semantic changes, should be originated from one common source and this source is **ჰჷჷჷჷჷ // ჰჷჷჷჷჷ** ‘hell’.

„ეტიმოლოგიური ძიებანი“, VII, თბილისი, 2011.

მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის — 1

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიისა და გრამატიკული წყობის განვითარების კანონზომიერებათა უკეთ გაგებისათვის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა, კერძოდ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა წინადადების რთული სინტაქსური მექანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამ ენათა ზმნის სპეციფიკურ ბუნებასთან.

ქართული და აფხაზური ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები — უღლებისა: პირი, რიცხვი, კლასი; წარმოქმნისა: ქცევა, კაუზატივი, პოტენციალისი, უნებურობა, სასურთიერთო-სათანაო, აგრეთვე კითხვითობა და უარყოფითობა წარმოების პრინციპით გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ.

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიის წარმოების თვალსაზრისით, ქართულსა და აფხაზურ ენებს აერთიანებს: 1. ზმნის პოლიპერსონალურობა, 2. პირისა და კლასის ნიშნებად (აფხაზურში) პრეფიქსების გამოყენება (ამ მხრივ გამონაკლისია III პირი ქართულში, რომელიც გვიან ჩამოყალიბებულად ითვლება), 3. პირისა და კლასის ნიშნების კლასნიშნისეული და ნაცვალსახელური წარმოშობა, 4. პირისა და კლასის ნიშანთა განლაგება გარდამავალ ზმნებში (ქართულში გარდაუვლებშიც, ანალოგიით), 5. გარდამავალ ზმნებში დადებით ბრძანებითი II სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა: **იყაწა!** „გააკეთე!“, **იყაუმწან!** „არ გააკეთო!“ (ქართულში გარდაუვალშიც: **წადი / არ წახვიდე!**).

გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშნად (ქართულში ირიბი ობიექტის ნიშნადაც) ანუ კლას-კატეგორიის უძველეს ნიშნად ქართულისათვის უნდა აღგეს ***ხ- / ჰ- /|| ხ-** ფორმანტი, აფხაზურში ქართული ***ხ- /|| ჰ- /|| ხ-**

ფორმანტის ბადალი *დ- ფორმანტი უნდა გამოიყოს (ამ ენათა უღვ-ლილებს სისტემის განვითარების ერთნაირი მიმართულების გათვალისწინებით).

აფხაზურ გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის (პირდაპირი) უახლოესი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: **დგ-ზ-ბოდტ** — „მას მე ვხედავ“, **დგ-ლ-გოდტ** — ის (ად.) მას (ქ.) მიჰყავს“...

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგით: **ი-ლგ-ლ-თოდტ** — „იგი (ქ.) მას (ქ.) რაღაცას აძლევს“, **ი-ბ-ა-ს-ჰოდტ** — „მე შენ (ქ.) რაღაცას გეუბნები“...

ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ძველ ქართულშიც, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში:

$O_3 + S_1$ პირთა კომბინაციის დროს ხანმეტ ტექსტებში O_3 -ის ნიშანი S_1 -ის წინ დგას თანხმოვნით დაწყებულ და ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფუძეთა წინ; მაგალითად:

ხ- III ირიბ ობიექტური პირის ნიშანია:

ხურქჟ — „მას ხურქჟ მე წარვედ და წარვიდის“ (მ. 8, 9), **შეხუძინე** — „ორი სხუაი ტალანტი შეხუძინე“ (მ. 25, 22), **ხუარწმუნოთ** — „ესე მთავარსა მას ჩუენ ხუარწმუნოთ“ (მ. 28, 14).

ხ/ჰ- III პირდაპირ ობიექტური პირის ნიშანია:

(მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის **ხ/ჰ**- პრეფიქსით გამოხატვა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისათვის ნორმალად: **აღხუტყორცებ** (უძვ. 364), **ხვტყოდე** (უძვ. 32), **ჰუყოფ** (ჰაემ. 388), **ჰვცოდე** (ჰაემ. 388).

შემდგომი დროის ხელნაწერებში აღნიშნულ ზმნურ ფორმათა ნაცვლად ვხვდებით: **ვჰრქჟ ვეტჟჟ, შევსძინე, ვარწმუნოთ...** ე. ი. ზოგან ხანის მაგიერ ჰაე ან სანია, ზოგან საერთოდ დაკარგულია ნიშანი, მაგალითად **ვეტჟჟ**, ფორმაში.

$O_3 + S_1$ განლაგება ხანმეტ ტექსტებში გარდაუვალ ზმნაშიც დასტურდება: **გარდახუედ** — „არასადა მცნებასა შენსა გარდახუედ“ (ლ. 15, 29).

გარდაუვალ ზმნაში მორფემათა აღნიშნული მიმდევრობა შესაძლოა გარდამავალ ზმნათა ვითარების უნიფიკაციით იყოს გამოწვეული.

აღნიშნულ ზმნურ ფორმებში გამოვლენილი $O_3 + S_1$ ნიშანთა განლაგება მეტათეზისად მიაჩნიათ (შანიძე 1980, 186; ჩიქობავა 1968, 141).

ჩვენი აზრით, $O_3 + S_1$ ნიშანთა მიმდევრობა უნდა იყოს არა მეტათეზისის შედეგი, არამედ ადრე მოქმედი გრამატიკული ნორმის ნაშთი, შემორჩენილი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში, იმდროინდელი მოვლენა, როდესაც გვართა მიხედვით ნეიტრალურფუძიანი ზმნა ობიექტის კლასსა და სუბიექტის პირს გამოხატავდა. პრეფიქსთა ასეთი განლაგება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად შეძლებდა გავრცელებას, რითაც უნდა აიხსნებოდეს **ნ/წ** აფიქსთა ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა (შდრ. ხუნძურის მონოკლასოვანი უღვლილება, ლაკურის, დარგულის, ბაცბურის, აფხაზურის კლასოვან-პიროვანი უღვლილება). ეს უნდა მომხდარიყო ენის განვითარებაში ზმნის უღვლილების კლასოვან-პიროვან ეტაპზე.

აფხაზურში სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „ღ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად (როგავა 1950, 443)

სწორედ „ღ“-ს რიგის აფიქსთა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო **ნ/წ** პრეფიქსი ხანმეტ ტექსტებში შემორჩენილ აფიქსთა განლაგებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული აფიქსის თავკიდური პოზიცია ზმნაში. თუმცა აფხაზურისათვის დამახასიათებელი კლასისა და პირის ნიშანთა პოზიციური სიმყარე ქართულმა ზმნამ ვერ შეინარჩუნა. ქართულ წერილობით ძეგლებში IX ს-დან დადასტურებული პირის ნიშანთა განლაგება $S_1 + O_3$ უნდა იყოს სწორედ მეტათეზისის შედეგი, რაც, ფონეტიკური ცვლილებისათვის ხელშემწყობი გარემოს გარდა, სუბიექტის ხვედრითი წონის ზრდასაც უნდა გამოეწვია.

ვეფიქრობთ, აფხაზურ ზმნაში პირის ნიშანთა განლაგების ეკვივალენტურია აღნიშნული პირის ნიშანთა რიგი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში.

ამრიგად, ქართული ზმნა ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერგატიულ კონსტრუქციას ასახავდა არა მარტო მასთან შეწყობილი სუბიექტური და ობიექტური პირის ფარდი სახელების ბრუნვებით, არამედ პირის ნიშანთა განლაგებითაც, ისევე, როგორც ეს აფხაზურშია.

პირის ნიშანთა სუფიქსაცია III პირის მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში ქართულისათვის მეორეულია, ასევე მეორეულია აფხაზურში მრავლობითობის ნივთის კატეგორიის ფორმანტ **-ქა-თი** გადმოცემა. მაგ. **ა-ყა-ს-წა-ქ-ე-ა-ტ** „მე გავაკეთენ ისინი“

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა **უნებურობის კატეგორია**.

1. უნებურობის კატეგორია იწარმოება პრეფიქსით **ამხა-** < **ამჰა-**, რომლის ამოსავალ მნიშვნელობად მიჩნეულია „ხელი“ ლექსემა (ლომთათიძე, 1955).

ამ კატეგორიაში ხდება პირის ნიშანთა ინვერსია, გარდამავალი ზმნა გარდაუვლად იქცევა: **ა-ს-ჟ-ო-ა-ტ** „მე ვჭამ რაღაცას“, **ა-ს-ამხა-ჟ-ო-ა-ტ** „მე უნებურად ვჭამ რაღაცას“, „მეჭმევა“...

ქართველურ ენებში უნებურობის კატეგორია სემასიოლოგიურია, მაგრამ პირის ნიშანთა იბიექტური წყობით იგი საერთოს ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან. აფხაზურის უნებურობის კატეგორიის აღმნიშვნელ პრეფიქსთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს **„ველწიფება“** საწყისის ზოგიერთი პირიანი ფორმა ძველსა და ახალ ქართულში:

ველწიფება – შეძლება, უფლება, ვაბედავ: არღარა ველ-გეწიფების შენ ამიერითგან მნობად“ (ლ. 16, 2) „ვერვის ველ-ეწიფებოდა წარსვლა მიერ გზით“ (მთ. 8, 28) „რაღესა ველ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ?“ (შუშ).

ბოლო მაგალითში პირის აფიქსთა წყობა სუბიექტურია, დანარჩენებში ობიექტური.

ჩვენი დაკვირვებით, ახალ ქართულში ეს ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით იხმარება: **ხელეწიფება, ხელეწიფების** გრდუფ. (ძვ.) „უფლება აქვს რისამე“ (ქეგლ, 1986, 578).

საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჰელეწიფება — „შეძლებას“ ნიშნავს, სემანტიკით ეს უკანასკნელი ახლოს დგას აფხაზურის ვითარებასთან.

გარდა ამისა, ქართულის „**ველწიფება**“ რთულფუძიან მასდარსა და ზმნაშიც — მონაწილეობს **ხელი** < **ველი** ლექსემა, ისევე როგორც აფხაზურში, უნებურობის მაწარმოებელ პრეფიქსს — **ა/მხა** < **ამაჰა**-ში -**მა** ელემენტის ამოსავალი მნიშვნელობაა „ხელი“ .

აფხაზური **მ-ს-ამხა-ყაწომ** „მე მას უნებურად ვერ ვაკეთებ“, სადაც აფიქსთა ინვერსიული წყობაა, იდენტურია ძველი ქართულის — **არა ველ მეწიფება**-სი, სადაც ასევე აფიქსთა ინვერსიულ წყობასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი „ხელის“ აღმნიშვნელი ლექსემის არსებობით გამოიხატება.

აფხაზურ-ადილურ ენებში და ქართველურიდან ზანურში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა **საურთიერთო კატეგორია**.

ქართველურ ენებს საურთიერთო კატეგორია ორგანულად არ ეწარმოება, გადმოცემულია აღწერითად. მეგრულში ვხვდებით საურთიერთო კატეგორიის გამოხატვის „ნაწილობრივ აღწერით“ შემთხვევებს.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადილურ ენებში განიხილავს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე, 1960/1961).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში **ა(მ), ა(მ)-ც, ა(მ)-ბა**, ადილურში **ზ-ზ, ზზ-და, ზზ-რა (-ზა)**, უბიხურში: **ზზ-, ზზ-ჯი, ზზ-(ლა)**...

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს **აფ-** პრეფიქსის **ც-** და **ბა-** ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (**-ა/ეაფც-**) და საურთიერთო-საორმხრივო (**ა/ეაბა-**) ქვეკატეგორიები.

საურთიერთო კატეგორიის წარმოების პრინციპი აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში ერთნაირია.

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით; ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **აბა-** პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აფ-** საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, **ბა-** პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

ბა- პრეფიქსს პ. უსლარი ადგილის ზმნისართებში გამოვლენილ **ბა-** ელემენტს უკავშირებს (Услар, 1872, 64-66).

ჟ. დუმეზილს **ბა-** პრეფიქსი რიცხვით სახელებში შემავალ ელემენტად მიაჩნია (Dumézil, 1932, 203, 206).

ზმნურ წინსართებში განიხილავს **აბა-** პრეფიქსს ა. გენკო (Генко, 1955, 171).

ქ. ლომთათიძე გამოთქვამს ვარაუდს **ბა-** ელემენტის ერგატივის ნიშნობაზე (ლომთათიძე, 1960/61, 288).

აღნიშნული მოსაზრებანი ერთიმეორეს არ გამოორიცხავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ **ბა-** ელემენტი ადგილის ზმნისართული წარმოშობისაა, შემდეგ გამოყენებულ იქნა რიცხვით სახელებშიც.

აბა-/ეაბა- პრეფიქსი, განსხვავებით **აფ-/ეაფ-** და **აფც-/ეაფც-** პრეფიქსისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **დგრდგრჟუეატ** „ისინი მას იცნობენ“, **ეაბადგრჟუეატ** „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **ილასჭიედტ** — „მე მას (ქ) ის ვუთხარი“, **ჭადბერჭიედტ** — „ჩვენ ის ერთმანეთს ვუთხარი“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში: **დღგრბოდტ** — „ის (ქ.) მას (აღ.) ხედავს“, **ეღბარბოდტ** — „ისინი ერთმანეთს ხედვენ“...

შესაძლოა, **აღბა-** რთული პრეფიქსის **ბა-** ელემენტი **ჯბა-** „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყვა ზმნაში (**ჯ** დაკარგულიყო) შდრ. ქართ. **ერთმანეთი** ერთი მეორე. აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობენ საურთიერთო კატეგორიის აღწერით სახეობაში.

ქ. ლომთათიძე **აღ-** საურთიერთო პრეფიქსის ზმნაზე დართვის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადასტურებს **აღჯ** ელემენტს და ვარაუდობს, რომ **ჯ** შესაძლოა „ორი“ რიცხვითი სახელის **ჯბა** ძირი იყოს: **აღჯღგრბარა** „ურთიერთგამოცნობა“ (**აღგრბა** „ცოდნა“) (ლომთათიძე, 1960/61, 278).

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ საშუალება გვძლევა ავხაზუარი ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგინოთ ***აკგ-ჯგბა** პრეფიქსი, რომლისგანაც შემდგომში **აღბა-** პრეფიქსი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ ***აკგ-ჯგბა-**ში პირველი ნაწილი, ვვარაუდობთ, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო **აკგ** „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი **ჯგბა** „ორი“ რიცხვითი სახელისა..., სადაც **კ-** უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ხოლო **-ჯ-** ბაგისმიერი **-ბ-** ბგერის მეზობლობაში გაუჩინარებულიყო.

წარმოდგენილ მოსაზრებას ადასტურებს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

ადილურში საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია იწარმოება რთული **ზწ-რა**- პრეფიქსით, სადაც **ზწ** = აფხ. **აფ**- პრეფიქსს, ხოლო **რა** = აფხ. **ბა**- ელემენტს.

ისევე, როგორც აფხაზურში, ადილურის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიაშიც გარდამავალი ზმნა გარკვეულ შემთხვევაში იქცევა გარდაუვლად (თუ ერთმანეთს დაუკავშირდება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები (Рогова... 1966, 171-177).

უბიხურში საურთიერთო-საორმხრივო მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება ოდენ **ზწ**- პრეფიქსი, განსხვავებით აფხაზური და ადილური რთული შედგენილობის **აფბა**- და **ზწრა**- პრეფიქსებისაგან (Dumezil, 1931, 206). დღემეზილი უბიხურ **ზა**- პრეფიქსს უკავშირებს უბიხურ **ზალა-ზალა** და აფხაზურ **აკ-აკ-ალ-ას** „თითო-თითო“. შდრ. აგრეთვე აბაზ. **ზაკვ, ზაჯვ** „ერთი (ნ.), (ად.)“.

აფხაზურ-ადილურის ანალოგიური საურთიერთო კატეგორია ქართველურ ენათაგან ზანურში აქვს გამოყოფილი ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1961, 213-216).

მკვლევარი გამოყოფს **ა-კო / ო-კო** ზმნურ ელემენტებს: **აკიამ-ხანაგეს** — „დაამხანაგდნენ“, **აკიჯიმაღეს** — „დამიბილდნენ“, სადაც **კო** სამიმართებო პრეფიქსია, **ა**-ს კი სათანაოს ფუნქცია აქვს.

ძველ ქართულში სათანაო შინაარსი გადმოიცემა „თანა“ პრეფერბ-თანდებულის (წინდებულის) დართვით ზმნურ ფუძეზე: „...და ანგელოზნი მისი თანა-გივიდოდენ თქუნენ“.

საურთიერთო შინაარსი ძველსა და ახალ ქართულში „ერთმანეთი“, „ურთიერთი“, „ერთიმეორე“ სიტყვათა საშუალებით გადმოიცემა: — „ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ ვწეწდით და ვიწეწებოდით (ჭავჭავაძე, 1984, 75); „ფერმიხდილნი ბეზლობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით“ (ჭავჭავაძე, 1984, 77).

საინტერესოა **ერთ-მან-ერთი > ერთმანეთი** ფორმაში ერგატის ნიშნის გამოვლენის შემთხვევა ქართულში (ლომთათიძე, 1961, 287).

ქართულში საურთიერთო კატეგორია სემასიოლოგიურია, მაგრამ თავისი ნიშნებით (რიცხვითი სახელის გამოვლენა: ***ერთ-მან-ერთი**, ერგატის — **მან** ნიშანი...) იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს

აფხაზურ-ადიღური ენების საურთიერთო კატეგორიასთან, რომელიც მორფოლოგიური ნიშნით აისახება ზმნაში. მეგრულის ჩვენება, ამ მხრივ, ქართულსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის, თითქოს ერთგვარ, შუალედურ რგოლს წარმოგვიდგენს.

კითხვითობისა და უარყოფითობის კატეგორიები

კითხვითი ფორმები დიდ ნაირსახეობას იძლევა აფხაზურში. ჩვენ გვინტერესებს კითხვითობის **-მა** სუფიქსი, რომელიც კითხვითობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა დადებით-კითხვით წინადადებაში, ანუ ისეთი სახის კითხვით წინადადებაში, რომელიც არ შეიცავს უარყოფით ნაწილაკს.

ზმნის დადებით-კითხვითი ფორმა კითხვითობის გამოსახატავად იყენებს **-მა** და **-უ** სუფიქსებს. ისინი დაერთვიან ზმნის ამა თუ იმ დროის ინფინიტურ ფორმას: **ბ-ცო-მა?** < **ბ-ცაჟა-მა?** „შენ (ქ.) მიდიხარ?“, **დ-ჟ-ბო?** < **დ-ჟ-ბაა-უ?** „შენ (კ.) ხელაგ?“ (ლომთათიძე, 1942).

უარყოფითობა აფხაზურში **-მ-** მორფემით გადმოიცემა. მისი ადგილი ზმნაში დამოკიდებულია ზმნის სხვადასხვა მორფოლოგიურ პირობაზე: დინამიკურობა-სტატიკურობაზე, ფინიტურობა-ინფინიტურობაზე, მწკრივის ფორმაზე.

ქ. ლომთათიძის აზრით, ზემოთ აღნიშნული ვითარება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ენაში დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა დაპირისპირების ერთ-ერთ ნიშნად გამოყენებულ იქნა უარყოფის აფიქსის ადგილმდებარეობაც (ლომთათიძე, 1953).

თუ დინამიკური ზმნიდანაა სახელი ნაწარმოები და მას უარყოფითი შინაარსი აქვს, უარყოფითობის აფიქსი **მ-** იქნება სიტყვის თავში: **ა-მ-ბატ** „უხილავი“, **ა-ბარა** „ხილვა“.

პირიქით, თუ სტატიკური ზმნიდანაა ნაწარმოები სახელი და მას უარყოფითი შინაარსი აქვს, უარყოფითობის აფიქსი **მ-** იქნება სიტყვის ბოლოში: **ა-ტ-გ-მ** „უცხო“.

ასეთივეა უარყოფის წარმოება აბსოლუტივშიც. აქ **მ** აფიქსის გარდა **-კა** სუფიქსიც დაერთვის ძირს (საფიქრებელია, ეს იგივე „ყოფნა“ ზმნის ფუძეა). **მ-** და **-კა** დინამიკურ ზმნებში დამორბეულია ერთმანეთს: **სგ-მ-ცა-კა** „მე წაუსვლელად“, **ი-ყ-ა-ს-გ-მ-წა-კა** „მე რისამე გაუკეთებლად“.

სტატიკურ ზმნაში აქაც **-მ** სუფიქსია, ზმნას მთლიანად ერთვის **მ-კა** ბოლოში: **მ-სგ-მა-მკა** „მე მის უქონლად“.

სწორედ **-მ-** ფორმანტის ასეთი ფორმით გამოყენების აღნიშნული შემთხვევა იქცევა ყურადღებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის კითხვითობის **-მა** ფორმანტი უარყოფითობის შინაარსსაც უნდა შეიცავდეს და ამით უნდა იყოს განპირობებული ამ ორი **-მა** და **-მ-** ფორმანტის (**-მ-**) მასალობრივი ერთიანობა. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება: იგი (**-მა** ფორმანტი) მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც წინადადება არ შეიცავს უარყოფით ნაწილს. სავარაუდოდ, ამ ნაწილაკით გადმოიცემა კითხვის, დაახლოებით ასეთი შინაარსი: **ბ-ცო-მა? < ბ-ცა-ჟ-ა-მა?** „შენ(ქ.) მიღიხარ? (არა?)“ ან: **მ-ჟ-ბო? < მ-ჟ-ბა-ჟ?** „შენ (კ.) ხედავ? (არა?)“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ ზმნის დადებით-კითხვით ფორმაში **-მა** სუფიქსის გამოყენება შესაძლოა იმის გამო ხდებოდა, რომ კითხვითობა-უარყოფითობის ერთნაირი მორფოლოგიური ინვენტარით გადმოცემა მათი საერთო წარმოშობით აიხსნება.

აფხაზურის ვითარება ძველ ქართულში კითხვითი **ა-** ნაწილაკის გამოყენებას მოგვაგონებს: „იაკობ მანდა არსა?“ (შუშანიკის წამება, 52), რაც, შესაძლოა, ნიშნავდა: „იაკობი მანდ არის, არა?“

კითხვითი **ა-** ნაწილაკი საერთო-ქართველურია: ძველ ქართულში დადასტურებულ კითხვით **ა-** ნაწილაკს სხვა ქართველურ ენებში მოეპოვება კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისები: სვანური **ა-** და მეგრული **ა-**, მათ მხოლოდ კითხვის წარმოება ევალებათ. **ა-** ნაწილაკი უნდა ჩაითვალოს კითხვის გრამატიკულ მორფემად (უთურგაიძე, 1966, 217, 214).

ა-სთან დაკავშირებით სვანურში თ. უთურგაიძე ვარაუდობს, რომ **-გესა** დაბოლოება მიღებულია **ჰა** „თუ“ და **დესა** „არა“ ნაწილაკის შეერთებით პროკლიტიკა-ენკლიტიკისა და ელიზის შედეგად, რაც ჰიატუსითაა გამოწვეული, **ჰა+დესა** იძლევა **-გესა** დაბოლოებას, ანუ დაბოლოება შეიცავს უარყოფით ნაწილს (უთურგაიძე, 1966, 219).

ჩვენ გგვონია, რომ ქართულის კითხვითობის ა-ც უარყოფითი „არა“ ნაცვალსახელიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც, თავის მხრივ, „არსებობა/ყოფნა“, ზმნასთან უნდა იყოს კავშირში..., ეს არა ნაცვალსახელია და არა — ნაწილაკი, მიღებულია არ+რა-საგან ორი თანხმობის შეერთებით და შემდეგ ერთ-ერთის გაუჩინარებით (შანიძე, 1980, 103) (< არა-რა, არ-რა...>). ეს ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში აღარ გვხვდება: შემორჩენილია მხოლოდ ზმნით გათიშულ სინტაქსურ კონსტრუქციაში: „იყო და არა იყო რა“ (შანიძე, 1980, 103).

„არსებობა/ყოფნა“ ზმნასთან დაკავშირებით და მის ნაცვალსახელურ ძირებთან კავშირზე მრავალი მეტ-ნაკლებად გასაზიარებელი მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში (შანიძე, იმნაიშვილი, აბულაძე, ჩიქობავა, ლომთათიძე, როგავა, ქურდიანი, არაბული, ოსიძე, ჭარაია, კლიმოვი, გამყრელიძე, მაჭავარიანი, სარჯველაძე, ფენრიხი, სოსელია, ერთელიშვილი, ქავთარაძე, გაჩეჩილაძე, შენგელია, სუხიშვილი, შმიდტი, დეეტერსი, ბოედერი...)

ჩვენი აზრით, შესაძლოა ა მომდინარეობდეს არა-საგან, *არ-მყოფი..., ხოლო რა ნიშნავს *მყოფს... ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები არსებობა და არ არსებობა, შესაძლოა ენაში ერთი და იმავე მორფოლოგიური ინვენტარით გადმოიცემა: *ა+რა=არ+მყოფი, ეს ლექსიკური ერთეული შესაძლოა ერთდროულად ასახავდა გონიერისა და არაგონიერის არმყოფობას, შესაბამისად, ადამიანისა და ნივთისათვის იგი ერთნაირად გამოყენებადი იქნებოდა. არის: როგორც ნივთი, ისე ადამიანი, არ არის როგორც ნივთი, ისე ადამიანი... ე. ი. აქ გვაქვს ასეთი დაპირისპირება: არა და რა... მათი სემანტიკური მოდელირება შეიძლება როგორც მყოფი — არმყოფი...

აფხაზურში უარყოფითობისა და კითხვითობის გამოსახატავად აკ°აკ°ზაარა „არსებობა/ყოფნა“ კოპულის შემცველი სიტყვა-ნაწილაკიც გამოიყენება: სარა სზაკ°ზ(ე)ი? „მე ვინ, რა ვარ?“ მ-კ°ა... მომდინარეობს ამაზაარა-აკ°ზაარა „ყოფნა-არსებობის“ სემანტიკის მქონე ზმნიდან.

აგებულების მიხედვით, აფხაზური **მ-კა** ქართული **ა-რა**-ს ეკვივალენტურია: აფხაზური **მ**- ისევე შეიძლება იყოს უარყოფითობისა, როგორც ქართულის **ა**-, ანუ ქართული **არა** < **ა+რა**, „არყოფი“, ხოლო აფხაზური **მკა** < **მ+კა** „არყოფი“...

თავისთავად, ქართულის **ა**- და აფხაზურის **მ**- ერთი და იგივე ოდენობა ჩანს, ისინი ამჟამად უარყოფითობას აღნიშნავენ, ისტორიულად კი ორივე ყოფნა-არსებობის სემანტიკის ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს: **ამაზაარა**-დან **მა**-, **არის** ზმნიდან **ა**-.

ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, საგულისხმო თანხვედრაა.

თავად **მაბ** „უარი“ შესაძლოა შედგებოდეს **მ** + **აბ** < **აკ** კომპლექსიდან (ლომთათიძე, 1974, 133).

საფიქრებელია, რომ ეს ორი მორფემა (კითხვითობის **მა**- და უარყოფითობის **მ**- ერთი და იმავე მნიშვნელობის საერთო მორფოლოგიურ ოდენობას, სავარაუდოდ, უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვანაწილაკს წარმოადგენდა (მდრ.: აფხ. **მამო** < **მაჟმაჟ** „არა“, **მაბ** „უარი“), შესაბამისად, მათი მატერიალური თანხვედრა არ უნდა იყოს შემთხვევითი. მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებიც;

ს. ჯანაშიას აზრით, სვანური **-მა** კითხვითი ნაწილაკი ფონეტიკური ვარიანტია **ა**-სი, რომელიც საერთო ქართველური კითხვითი ნაწილაკია. იგი გენეტურად ენათესავება ჩერქეზულ **-ა** სუფიქსს, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს როგორც სახელებთან, ისე ზმნასთან: **ის** „ზის“, **ის-ა?** „ზის?“ (ჯანაშია, 1959, 102).

კითხვითობისა და უარყოფითობის სემანტიკათა დაკავშირება არ არის მოულოდნელი ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით, ლოგიკურად დაკავშირებულ კატეგორიათა მაწარმოებელი მორფემებიც რომ მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებდნენ, დასაშვებია. აქ განხილული აფხაზურის, ქართულისა და სვანურის ვითარება იძლევა საფუძველს, ამ ორი კატეგორიისათვის — უარყოფითობა-კითხვითობისათვის ერთი საერთო ლოგიკური ამოსავალი მივიჩნიოთ.

* * *

წარმოდგენილი მორფოლოგიური იზოგლოსები, ვფიქრობთ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა განვითარების საერთო ტენდენციების კიდევ ერთ-ერთ ნათელსაყოფ არგუმენტად გამოდგება.

ლიტერატურა

იმნაიშვილი, 1970 — იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, ნაწ. I, თბილისი, 1970.

იმნაიშვილი, 1979 — ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.

ლომთათიძე, 1942ა — ლომთათიძე ქ., კითხვითი ფორმები აფხაზურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, თბილისი, 1942.

ლომთათიძე, 1942ბ — ლომთათიძე ქ., გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, თბილისი, 1942.

ლომთათიძე, 1948 — ლომთათიძე ქ., აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი, 1948.

ლომთათიძე, 1953 — ლომთათიძე ქ., ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.

ლომთათიძე, 1955 — ლომთათიძე ქ., პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, თბილისი, 1955.

ლომთათიძე, 1960/1961 — ლომთათიძე ქ., საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხა-

ზურ-ადილურ ენებში, კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, თბილისი, 1960/1961.

ლომათიძე, 1961 — ლომათიძე ქ., საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961.

ლომათიძე, 1974 — ლომათიძე ქ., ფინიტობის -პ სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, თსუ შრომები, B 6-7 (151-152), თბილისი, 1974.

ლომათიძე, 1997 — ლომათიძე ქ., ყოფნა-არსებობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნათა ძირეული ნაირსახეობების წარმომავლობა ქართველურ ენებში და მათ საერთო ამოსავალთან აბაზურ-აფხაზურ მონაცემთა კავშირი, კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1997.

მცხეთური ხელნაწერი, 1983 — ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1983.

როგავა, 1950 — როგავა გ., გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონაშთებისათვის ადილურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, თბილისი, 1950.

როგავა, 1953 — როგავა გ., კლასიანი უღვლილების პირიანი უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №7, თბილისი, 1953.

როგავა, 1956 — როგავა გ., ხანმეტობისა და ჰემეტობის საკითხისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.

როგავა, 1979 — როგავა გ., ძველი ქართული უვის ზმნის ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, ტ. VI, თბილისი, 1979.

სარჯველაძე, 1971 — სარჯველაძე ზ., ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებში დადასტურებული ზმნის პირიანი ფორმათა საძიებლები, თბილისი, 1971.

უთურგაიძე, 1966 — უთურგაიძე თ., კითხვითი -ა და -მე ნა-
წილაკები ქართულში, კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
IV, თბ.,1966.

ქაჯაია, 1984 — ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მო-
ამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბილისი,1984.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,
მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი,1986.

შანიძე, 1980 — შანიძე აკ., თხზულებანი თორმეტ ტომად,
ტომი III, თბილისი, 1980.

შანიძე, 1981ა — შანიძე აკ., უძველესი ქართული ტექსტების
აღმოჩენის გამო თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი,1981.

შანიძე, 1981ბ — შანიძე აკ., S₂ და O₃ ქართულ ზმნებში,
თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

ჩიქობავა, 1942ა — ჩიქობავა ა., ერგატიული კონსტრუქციის
პრობლემისათვის კავკასიურ ენებში. ამ კონსტრუქციის სტაბილური
და ლაბილური ვარიანტები, ენის, ისტორიისა და მატერიალური
კულტურის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, თბილისი, 1942.

ჩიქობავა, 1942ბ — ჩიქობავა ა., სახელის ფუძის უძველესი
აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი,1942.

ჩიქობავა, 1944 — ჩიქობავა ა., გრამატიკულ კლას-კატეგო-
რიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, V (4), თბილისი, 1944.

ჩიქობავა, 1948 — ჩიქობავა ა., ერგატიული კონსტრუქციის
პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატი-
ული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული
სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.

ჩიქობავა, 1953 — ჩიქობავა ა., გრამატიკული კლას-კატეგო-
რია და ზმნის უდვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინას-
წარი მოხსენება), კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V,
თბილისი, 1953.

ჩიქობავა, 1968 — ჩიქობავა ა., მარტივი წინადადების პრობ-
ლემა ქართულში, I, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1968.

ჭავჭავაძე, 1984 — ჭავჭავაძე ილ., თხზულებანი, თბილისი, 1984.

ჯავახიშვილი, 1949 — ჯავახიშვილი ივ., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.

ჯანაშია, 1954 — ჯანაშია ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

ჯანაშია, 1959 — ჯანაშია ს., სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

Генко, 1955 — Генко А. И., Абазинский язык, Грамматический очерк наречия тапанта, М., 1955.

Кумахов, 1967 — Кумахов М. А., Убыхский язык, АН ССР, т. IV, ИКЯ, М., 1967.

Рогава... 1966 — Рогава Г. В., Керашева З. Н., Грамматика Адыгейского языка. Краснодар, Майкоп, 1966.

Услар, 1872 — Услар П. К., Этнография Кавказа, Языкознание, I, Абхазской группы кавказских языков, С-Пб., 1872.

Dumézil, 1931 — Dumézil A., La Langua des Oubykhs, Paris, 1931.

Dumézil, 1932 — Dumézil A., Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris, 1932.

Nana Machavariani

Morphological Isoglosses in Georgian and Abkhazian Verbal Constructions

Summary

The paper discusses the morphological categories of the Georgian and Abkhazian verb, which reveal some structural and typological similarity.

From the standpoint of formation of **person, class and number** category, the Georgian and Abkhazian languages have common: 1. verb poly-personality, 2. using of prefixes as person and class markers (in Abkhazian), 3. class-marking and pronominal origin of person and class markers, 4. order of person and class markers in transitive verbs, 5. non-existing II subject person marker in an affirmative imperative in transitive verbs.

As a marker of a subject of an intransitive verb and a direct object of a transitive verb (in Georgian as a marker of an indirect object as well) or an oldest marker of class-category **x-//h-//s-* formant should be reconstructed for Georgian, in Abkhazian **d-* formant that is similar to Georgian **x-//h-//s-* should be singled out.

Suffixation of personal markers in III person singular and plural is secondary for Georgian. In Abkhazian denoting a plural object category by a formant *-k^oa* is also secondary.

Category of involuntariness should be distinguished among the morphological category of a verb in the Abkhaz-Adyge languages.

1. Category of involuntariness is formed by *amxa-* prefix. Its initial meaning is *xeli* "a hand".

In the Kartvelian languages the category of involuntariness is semasiological, but it is a lexical means by which the mentioned category is formed. It manifests an important similarity with Abkhazian morphological category; cf.: Abkh. *j-s-amxa-qaçejt* "I have done it involuntarily", where an inversive order of affixes takes place, Old Georgian *ara xel meçipeba* "I can not do it", where an inversive order of affixes occurs as well and also a lexeme *xeli* is used.

Communicative category is characteristic of the verb morphological category in the Abkhaz-Adyge languages and in Zan among the Kartvelian group.

In Georgian a communicative category is semasiological, but with its markers it is similar to the communicative category of the Abkhaz-Adyge

languages, which is reflected by a morphological marker in a verb; e. g. Georg. *ertmaneti* "each other", *ertimeore* "one another" – Abkhaz. "ajba" < *aḵə-*oba* "one or two, a few".

One means of expressing the **interrogative category** in Abkhazian is the *-ma* suffix in an affirmative and interrogative sentence.

Negation in Abkhazian is expressed by *-m* morpheme. Its place in a verb depends on different morphological conditions of *a* verb: dynamic – static, *finitive* – *infinitive*, kind of *screeve*.

Abkhazian interrogative *-ma* formant can denote negation. This is similar to *a-* interrogative particle in Old Georgian: *manda arsa?* **mand aris, ara?* "He/she is there, is not he/she?"

In Abkhazian in the absolutive form suffix *-ḵ°a* is also added to a root, alongside *m* affix (it is suggested, that it is the same stem of the verb *gopna* "to be"). In dynamic verbs *m-* and *-ḵ°a* are separated from each other: *sə-m-ca-ḵ°a* "I... without going".

Georgian interrogative *a-* must have originated from a negative pronoun, but this latter in its turn, must have been connected with the verb "existence/be", like in Abkhazian: according to structure Abkhazian *m-ḵ°a* appears to be an equivalent of Georgian *a-ra* "no": Abkhazian *m-* can be negative like Georgian *a-*. Thus, Georgian *ara* < *a+ra* "non-existent", but Abkhazian *mḵ°a* < *m+ḵ°a* "non-existent"...

კრებული „პოეტური სულის მეცნიერი“, თბილისი, 2012.

მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის — 2

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიისა და გრამატიკული წყობის განვითარების კანონზომიერებათა უკეთ გაგებისათვის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა, კერძოდ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა წინადადების რთული სინტაქსური მექანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამ ენათა ზმნის სპეციფიკურ ბუნებასთან.

ქართული და აფხაზური ზმნის **წარმოქმნის** მორფოლოგიური კატეგორიები — ქცევა, პოტენციალისი და კაუზატივი წარმოების პრინციპით გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ.

ქცევის კატეგორიას ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში აქვს თავისი ნიშანი ზმნაში, ე. ი. ამ ენებში ქცევის კატეგორია მორფოლოგიურია:

1. ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში უნდა გამოიყოს ქცევის ორი სახეობა: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო), 2. ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნის ქცევის კატეგორია მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ერთობას ამჟღავნებს: ერთი მხრივ, ერთად დგას აფხაზურისა და მეგრულ-ჭანურის სარფულ თქმაში შემორჩენილი ვითარება, მეორე მხრივ, ქართველურისა და ადიღურ ენათა მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი ქცევის კატეგორიის უფრო მეტად განვითარებულ სახეობას გვთავაზობენ; 3. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განხილულ ენებში პრეფიქსებია, წარმოშობით ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე მითითებით-მიმართულებითი ელემენტებია: ქართულისა და აფხაზურის *ე-/უ-* მითითებით-მიმართულებითი ელემენტები თანხვედნილია მატერიალურადაც და სტრუქტურულადაც; 4. სასხვისო ქცევის ნიშანი ორი-

ვე ენაში ზმნის ობიექტური პირის აფიქსის თანმხლებია და აღნიშნავს ზმნით აღნიშნული მოქმედების ობიექტისადმი განკუთვნებას.

აფხაზურმა, ზანური ენის ჭანური დიალექტის მსგავსად, შემოგვინახა სათავისო ქცევის ის ამოსავალი ფუნქცია, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ქცევის ამ ფორმისათვის ყველა აღნიშნულ ენაში. ესაა სუბიექტის საკუთარ თავზე ან სხეულის ნაწილზე მოქმედება. (ჩიქობავა, 1936, 106-110).

სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისდავე სხეულის ნაწილისკენ, რაც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში. მაგ., „ტანი, სხეული“ — აფხ.-აბაზ. შიგ-, უბიხ. ჯა- „ფეხი“, აფხ.-აბაზ. შა-, უბიხ. ლ'ა — და ა. შ. აფხაზ.: ი-ს-შა-ს-წოფტ, უბიხ. ა-ს-ლ'ა-ს-ან „მას მე ჩემ ფეხთ ვიცვამ“...

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული ზმნის სასხვისო ქცევისაგან. აქ მეტ კონკრეტულობას გამოხატავს ზმნის ფორმა. სასხვისო ქცევა აფხაზურშიც ირიბი ობიექტისადმი განკუთვნილ მოქმედებას გულისხმობს, ოღონდ, ქართული-საგან განსხვავებით, აფხაზურის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური **ზ**-, (ბზიფური **ზ'**-) აფიქსით, ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

ზ- აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში) ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

ზ- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: სცოფტ „მივიღვარ“, სიწცოფტ „მისთვის მივიღვარ“, იყსწოფტ „მე მას ვაკეთებ“, ილზგყსწოფტ „მე მას მისთვის (ქ) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მომართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება **ც**- აფიქსით.

ც- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მომართულ მოქმედებას.

ც- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს **ზ**-ს შემთხვევაში იყო: სტომოეტ „ვჯდები“, სიცოტომეტ „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჯდები“, იზომეტ „მე ის მომაქვს“, ილცოზგომეტ „მე ის მისი (ქ.) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

ზ- ელემენტი, ქ. ლომთათიძის აზრით, იგივეა, რაც სახელებში გამოყენებული (ა)ზგ „თვის“ თანდებული. თუ ეს ელემენტი სახელს დაერთო, ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და მასაც ერთი, ირიბობიექტური პირი დააკლდება: ახგჰგ იზგ ყასწომეტ „ბავშვისთვის ვაკეთებ“, ახგჰგ იზგყასწომეტ „ბავშვს ვუკეთებ“... (დ)ყასწომეტ- ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, იზგყასწომეტ — სამპირიანია. სასხვისო ქცევაში ზმნას ემატება ერთი — ირიბობიექტური პირი (ლომთათიძე, 1947).

ზმნაში **ზ**- ელემენტისა და (ა)ზგ თანდებულის ერთიანობას პ. უსლარიც შენიშნავს: უსლარი აღნიშნულ ელემენტს კითხვით ფორმებშიც გამოყოფს და აკავშირებს მას (**ზ**- ელემენტს) პოტენციალისის კატეგორიის ფორმანტთანაც: ისგზუამ „ვერ ვწერ“... პ. უსლარი დასძენს, რომ **ზ**- ელემენტს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია: სგფშუემეტ „ვიხედები“, საზგფშუემეტ „ველოდები“ (უსლარი, 1872, 63,64).

ც- ელემენტი ყ. დეუმეზილს უბიხურად მიაჩნია (დეუმეზილი, 1932, 199).

ქ. ლომთათიძის აზრით, აფხაზურ-უბიხური **ც**- როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ადილურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს **ს**-ს, რომლისაგანც მომდინარეობს ყაბარდოული **ფ**. ქ. ლომთათიძე **ც**-ს აფხაზურისავე **ცვრ** „გარეთ“ წინდებულისაგან მომდინარედაც თვლის. აცვრწრა „გარეთ გამოსვლა“, აცვრგარა „გარეთ გამოტანა“ (ლომთათიძე, 1947, 418).

ჩვენი აზრით, **ც**- სასხვისო ქცევის მაწარმოებელი აფიქსი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს **აცა** „კანი“ ლექსემიდან: ილცოგ-ზ-გომეტ „მე რალაც მისგან (ქ.) მომაქვს“, სიტყვასიტყვითი (წარ-

მოსახვითი) მნიშვნელობით: „მე მისგან კანის მოცლით რაღაც მომაქვს“ (მაჭავარიანი, 1998, 28).

სასხვისო ქცევის **ზ-** და **ცზ-** პრეფიქსები მასდარშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ზმნის ფუძესაა შეზრდილი: აზჰარა „ზრდა, თვის მატება“, აზწარა „კლება, თვის მცირება“...

ზ- და **ცზ-** პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის **ზ-** და **ცზ-** პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის **„გუკლავ“** სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს.

ქართულშიც, აფხაზურის მსგავსად, სასხვისო ქცევის **ი-/უ-** აფიქსი მუდამ ობიექტის აღმნიშვნელი აფიქსის პოსტპოზიციურია. ოღონდ, ქართულში ქცევის აფიქსი, შესაძლოა, ორივე სახის ობიექტის ნიშანს ახლდეს.

ახალ ქართულში **O₃**-ის ნიშანი აღარ ჩანს ქცევის აფიქსთა წინ (ხმოვნების წინ **ხ/ჰ/ს** იკარგვის), მაგრამ, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ჩვენების მიხედვით, სასხვისო ქცევის აფიქსი ყველა სათანადო ზმნურ ფორმაში **O₃**-ის ნიშანს მოსდევს (ოღონდ, აღსანიშნავია, რომ **O₃ + S₁** პირთა კომბინაციაში სასხვისო ქცევის ნიშანი აღნიშნულ ტექსტებში არ დასტურდება).

ძველი ქართული:

მი-**ხ-უ**-გო (უძვ. 338, 353, 360, 363).

და-**ხ-უ**-გებთ (უძვ. 331).

ჰ-უ-პყრას (ჰაემ. 367), ზოგჯერ ძველსავე ქართულში **O₃**-ის ნიშანი აღარ ჩანს ზმნაში:

მი-**უ**-გო (ჰაემ. 366, 381, 388)

მი-**უ**-გოს (უძვ. 363).

ქართულში დასტურდება სასხვისო ქცევის შინაარსის გადმომცემი უქცევისნიშნო ფორმებიც: **შეჰრია / შეურია** (ჩიქობავა, 1959, 166). ამ რიგის მაგალითებში **O₃**-ის აფიქს **ჰ-**სა და სასხვისო ქცევის ფორმანტ **უ-**ს ფუნქცია ერთნაირია, ამიტომ მათგან ერთ-ერთის ხმა-რება სრულიად საკმარისია სათანადო შინაარსის გადმოსაცემად.

პოტენციალისის კატეგორიას ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალისი და ვნებიტი გვარი ერთი წარმოშობისა უნდა იყოს.

ქართული განასხვავებს ორგვარ უარყოფას — „არ“ და „ვერ“ ნაწილაკიანს: „არ“ — მოქმედს არ სურს, შეასრულოს მოქმედება, ხოლო „ვერ“ — მოქმედს არ შეუძლია შეასრულოს მოქმედება.

უარყოფის ასეთი დიფერენციაცია მეგრულ-ჭანურმა არ იცის. უარყოფითი ნაწილაკი აქ ერთია: ვარ || ვა... მნიშვნელობით უდრის ქართულის „არ“ ნაწილაკს.

მეგრ.:	ქართ.:
ვა ჭარუნს	არ წერს
ვა აჭარე(ნ)	ვერ წერს

მეგრულში უცვლელია ნაწილაკი, იცვლება ზმნა. ქართულში კი უცვლელია ზმნა, იცვლება ნაწილაკი.

ქართულსა და მეგრულს შორის ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სხვაობა არ არის. შესაძლებლობის კატეგორიას ქართულიც არჩევს და მეგრულიც: მეგრული — ზმნის უღვლილების სპეციფიკური ფორმებით, ქართული — სპეციფიკური უარყოფითი ნაწილაკებით.

ქართულში პოტენციალისის გაგებას შეიცავს „ვერ“ ნაწილაკი. უპირატესად ეს უკანასკნელი იხმარება მოქმედებითი გვარის ზმნებთან. ვნებითეტი კი „ვერ“-ის ხმარებას ერთგვარად გაუტრბიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ვნებითი გვარი თვითონ არის პოტენციალისის შინაარსის მატარებელი.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალისის არსებობა ქართულში დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ (ჩიქობავა, 1937, 35-37).

ქართული „იცის“ ზმნა იგუებს მხოლოდ და მხოლოდ „არ“ ნაწილაკს (თუმცა აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება „ვერ ვიცი“ ფორმაც). ეს ზმნა აგებულებით ვნებითია და პოტენციალისის მნიშვნელობა მისთვის უცხო არ არის (ლომთათიძე, 1972).

სვანური განარჩევს **მამ** „არ“ და **დეშ** „ვერ“ ნაწილაკებს და ქართულის ანალოგიურად აწარმოებს პოტენციალისს.

ქართულსა და სვანურში პოტენციალისის სემასიოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ პოტენციალისის კატეგორიის გამოკვეთილი სახის ზანურში დადასტურება გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნული კატეგორია სამივე ქართველური ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კატეგორია უნდა ყოფილიყო (ამ კატეგორიის მოშლა ვნებიანი გვარის ჩამოყალიბებას უნდა უკავშირდებოდეს). შესაძლოა, გვიან ჩამოყალიბებულმა ვნებითმა გვარმა დაიტია პოტენციალისის მნიშვნელობა (შდრ. ქართული).

აფხაზურში პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში — გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

- ი-ყა-ს-წოდტ „მე მას (ნ) ვაკეთებ“
- ი-ყა-ს-წო-მ „მე მას (ნ) არ ვაკეთებ“
- ი-ს-ზგ-ყ-აწო-მ „მე მას (ნ) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან:

- ი-ტ-ს-თოდტ „მე მას (ნ) შენ (მკ.) გაძღვე“...
- ი-ტ-ს-თომ „მე მას (ნ) შენ (მკ.) არ მოგცემ“...
- ი-სგ-ზ-ტ-თომ „მე მას (ნ) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვალად.

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ზმნის უარყოფით ფორმებს უფრო ახასიათებს, დადებით წარმოებაში კი იშვიათად გვხვდება (ლომთათიძე, 1955, 154).

ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში დადასტურებულია პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ხუთი სახეობა: პრე-

ფიქსული — აფხაზურ-აბაზურში, ადიღურში, მეგრულში; სუფიქსური — უბიხურში და პარალელურ სახეობად ადიღურში; პრეფიქს-სუფიქსური ადიღურში; აღწერითი — აფხაზურსა და ადიღურში; ნაწილაკოვანი — პარალელურ სახეობად ქართულსა და სვანურში (იგულისხმება „ვერ“ უარყოფით ნაწილაკიანი პოტენციალისი გარდამავალ ზმნებში. მონათესავე ენებში ასეთი გამოხატვა პოტენციალისის კატეგორიისა არ გვხვდება).

პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ჩამოთვლილ საშუალებათაგან, ყველაზე ადრეულ და ორგანულ სახეობად მიჩნეულია პრეფიქსული წარმოება.

სუფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური, აღწერითი და ნაწილაკოვანი გამოხატვის საშუალებანი მიჩნეულია მეორეულ მოვლენად — პოტენციალისის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებად.

პოტენციალისის კატეგორია დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს აფხაზურ-ადიღურში და ქართველურ ენებში. ამჟამად პოტენციალისის კატეგორია ყველა ენაში ერთნაირად არ გამოიხატება, მაგრამ, როგორც ისტორიულ-შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, პოტენციალისის გამოხატვა ყველა აღნიშნულ ენაში პრეფიქსული უნდა ყოფილიყო.

ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში გამოიყოფა **კაუზატივის კატეგორია**.

1. კაუზატივის კატეგორიის ნიშნები ქართველურ ენებში სუფიქსებია, აფხაზურ-ადიღურ ენებში — პრეფიქსები.

2. კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელი ფორმანტები აღნიშნულ ენებში მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის ნიშნებთან.

აფხაზურში კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში **რ**- პრეფიქსი; იგივე **რ**- პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის **რ**- პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის **რ**- ნიშანი გადაკეთდება **დ**-დ: ს-დ-გ-რ-ტ^ემტ „მე

მათ დამსვენს“, *სგ-რ-გ-რ-ტ-ე-დ-ტ... დ-დ-გ-რ-ბ-ო-დ-ტ „ისინი მათ მას ანახვებენ“, *ი-რ-გ-რ-ბ-ო-დ-ტ...

კაუზატივის ნიშნთან შეხვედრისას III პირის მრავლობითი რიცხვის **რ**- ნიშნის **დ**-დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი.

ნ. მარი გამოთქვამდა ვარაუდს, აფხაზურის კაუზატივის **რ**-პრეფიქსის კავშირის შესახებ ბასკურ და სვანურ მრავლობითის ნიშნთან (მარი, 1926, 246-247).

ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**რ** > **დ**) მოვპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი; იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი **რ**-ს თავმოყრას კარგად იგუბებს: **არგრჰარა** „შეშინება“, დ-სგ-რ-გ-რ-ჰ-ა-ტ-ე-დ-ტ „მე მათ ვაშინებ“... ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

დისიმილაციის ამ ფაქტში ქ. ლომთათიძე ხედავს პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობის შემონახვის შემთხვევას: სწორედ იმიტომ უნდა განსხვავებულიყო ეს ორი აფიქსი ერთმანეთისაგან, რომ მათ ერთი წარმოშობა ჰქონდათ; (შდრ. ადილ. ირ. ობიექტისა და სუბიექტის პირი ნიშანი **აზ**... ერთ-ერთი **რ**-დ გადადის, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან).

ქ. ლომთათიძის აზრით, ზმნის კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი დ- შეიძლება უკავშირდებოდეს სათანადო „**დარა**“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამოორიცხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის **დ**- ნიშანსაც: ეს მოვლენა აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. **ჟარა-ჟ, სარა-ს**... კავკასიური ენებიდან ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საზოგადოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც (ლომთათიძე, 1945, 93; როგავა, 1954, 9-12).

აფხაზურში გამოიყოფა აღწერითი და სიტყვაწარმოებითი სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივიც. ქართველურ ენათაგან აღწერითი კაუზატივის შემთხვევები დასტურდება ძველ ქართულში, რაც, შესაძ-

ლოა, იმ ენათა გავლენით აიხსნას, საიდანაც ძველი ქართული ტექსტები ითარგმნებოდა.

აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის **რ**- პრეფიქსი გენეტურ კავშირშია ამავე ენაში არსებული მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ **რ**- ფორმანტთან.

ადილურშიც კაუზატივის კატეგორიას პრეფიქსი აწარმოებს — ეს არის **ღწ**-. აფხაზურის მსგავსად, კაუზატივის **ღწ**- მაწარმოებელი სუბიექტის პრეფიქსის შემდეგ დგას. კაუზატივის აფიქსი ზოგჯერ ფუძეშია მოქცეული. ზმნას კაუზატიურ წარმოებაში ემატება ერთი, პირდ. ობიექტური პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება...

სწ არ ს-შწმთ — „მე ის მიმყავს“

სწ არ და-ზ-ღწ-შწმთ — „მე ვაიძულებ მას წაიყვანოს იგი“

ადილურს ახასიათებს კაუზატივის ორმაგი წარმოება (როგავა, კერაშევა, 1966, 257).

უბიხურში კაუზატივის აწარმოებს ფორმანტები: **ღგ**-, **ღა**-, **გ**- ამათგან **ღგ**- გამოიყენება მხოლოდით რიცხვსა და უარყოფით ფორმებში, **ღა**- კი — პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად.

იგივე თანხმონითი **ღ**- (**ღრ**-, **ღაჟ**) ელემენტი გვხვდება აგრეთვე უბიხურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში (კუ-მახოვი, 1967, 694, 699).

უნდა აღინიშნოს, რომ უბიხურში მრავლობითის დამოუკიდებელი აფიქსები არ მოიპოვება, მხოლოდითისა და მრავლობითის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება ერგატივის, კუთვნილებით და ჩვენებით აფიქსთა ხმარების ურთიერთდაპირისპირებით:

ჩ'ა-ნ „ცხენმა“

სა-ჩ'ა „ჩემი ცხენი“

ჩ'ა-ნა „ცხენები“

სოჩ'ა „ჩემი ცხენები“

შესაძლოა, უბიხურის ჩვენება იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ამოსავალ არქაულ ვითარებას ასახავდეს, როდესაც გაუდიფერენცირებელი იყო პირისა და რიცხვის, ბრუნვის კატეგორიები და მათი აღნიშვნა ერთისა და იმავე ფორმანტის საშუალებით (ფორმათა ურთიერთდაპირისპირებით) ხდებოდა.

კატეგორიის კატეგორიას რომ გენეტური კავშირი უნდა ჰქონდეს მრავლობითობის აღნიშვნასთან, ამას მასალობრივ ადასტურებს აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემები.

კატეგორიის მაწარმოებელ სუფიქსთა თანხმონიითი ელემენტების მასალობრივი ერთიანობა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსებთან არც ქართველურ ენებში უნდა იყოს, ჩვენი აზრით, შემთხვევითი მოვლენა:

ქართულში კატეგორიის **-ინ** სუფიქსის თანხმონიითი **-ნ** ელემენტი დასტურდება მრავლობითობის აღმნიშვნელად სახელშიც, ზმნაშიც.

კატეგორიის **-ევ** სუფიქსი მრავლობითობის ნიშნად ამჟამად არც სახელთან, არც ზმნასთან არ გვხვდება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ **-ებ** > **-ევ**, მაშინ **-ვ** ელემენტი შესაძლოა მრავლობითობის ოდინდელ მაწარმოებლად მივიჩნიოთ, რომელიც სახელებში **-ებ**-ის სახით შემოგვრჩა, ხოლო ზმნაში ფუნქცია იცვალა.

ქართულში **-ევ** სუფიქსი საერთოა ზმნისა და სახელისათვის (ჩიქობავა, 1942, 89), მეგრულშიც იგი სახელურ წარმოებასთან ყოფილა დაკავშირებული. სახელდობრ, იგი გამოყენებული ჩანს საგნის წინანდელი ფუნქციის აღმნიშვნელ სიტყვაწამოებაში: **-ევი** > **ვი** > **იი**:

ნოხირ-იი > ***ნოხირეი** > **ნოხირევი** „ნასახლარი“, **ნოხილიი** > ***ნოხილეი** > ***ნოხილევი** „ნაცოლარი“, **ნოჯინიი** > ***ნოჯინეი** > ***ნოჯინევი** „ნაციხარი“ (როგავა, 1945, 652).

-ევ სუფიქსი კატეგორიის ნიშნად გამოიყოფა უდიურში (ფანჩიძე, 1940, 489).

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტი, რომ აკ. შანიძეს **-ევ** სუფიქსი მრავლობითობის / კრებითობის ნიშნად მიაჩნია რამდენიმე ტოპონიმში: ვაშლევი, ძეგლევი, ბოსლევი, მღვიმევი, ველევი, ველტყევი, ვაკევი, ქვევი, იფნევი, ტბევი.

აკ. შანიძე ვარაუდობს ამ ნიშნის (**-ევ**) მიხედვით განსხვავებული გარკვეული დიალექტის არსებობას ძველ საქართველოში, ახლანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე (შანიძე, 1941, 27).

ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში **-ივ** ერთვის, შეიძლება მრავლობითის ფორმა არ გვქონდეს, მაგრამ აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებულ ტოპონიმებში, რომელთა სემანტიკაც ნათელია, თავისუფლად შეიძლება **-ივ** მრავლობითობის აღმნიშვნელად ჩაითვალოს; მით უმეტეს, რომ არსებობს **-ივ/-ებ** ფორმანტთა მონაცვლეობის შემთხვევები ერთსა და იმავე ფუძესთან.

მკვლევართა ერთ ნაწილს **-ივ** სიტყვაწარმოებით ელემენტად მიაჩნია (მაკალათია, 1970, 18).

ამავე აზრისა ვიყავით ჩვენც, მიგვაჩნდა რა, რომ **Vi** დაბოლოებიან ტოპონიმთაგან **-ივ** სუფიქსის გამოყოფა და მისი მრავლობითობის ფორმანტად ჩათვლა დაარღვევდა **-Vi** დაბოლოებიან ტოპონიმთა სისტემურ კვლევას (მაჭავარიანი, 1977).

მაგრამ, როგორც შემდგომმა ძიებამ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებზე დაკვირვებამ ცხადყო, ქართულში **-ივ** ფორმანტი ზოგ შემთხვევაში მართლაც შესაძლოა ჩაითვალოს მრავლობითის უძველეს მაწარმოებლად.

-ივ ფორმანტის სიტყვაწარმოებით ელემენტად გამოყენება მეორეული უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სიმრავლის აღნიშვნა; ამ ფუნქციას უნდა გამოეწვია სწორედ მისი სიტყვაწარმოებით ელემენტად ქცევა, შდრ.: ვაშლევი = ვაშლები (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) ვაშლევი = ვაშლიანი (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) და სხვ.

მეგრულსა და ჭანთრშიც კაუზატივის სუფიქსები აწარმოებს: მეგრულში **ო-აფ**, ათინურსა და ვიწურ-არქაბულში **-ამ**: მეგრ. **ო-ზუმ-აფ-უ** — „აზომვინა“, **ო-კვათ-აფ-უ** — „აკვეთინა“, ათინურ, ვიწურ-არქაბ. **ო-ზუმ-აფ-ამ-ს** — „აზომვინებს“, **-ოკვათ-აფ-ამ-ს** — „აკვეთინებს“ (ჩიქობავა, 1936, 157).

მეგრულ-ჭანთური **ო-** პრეფიქსი ქართული **ა-** პრეფიქსის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისისა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი არ უნდა იყოს კაუზატივისა.

მეგრულში კაუზატივის **ო-აფ** და **-ან** ფორმანტები აწარმოებს; ეს უკანასკნელი არნ. ჩიქობავას ფონეტიკურად სახეცვლილ ჭანთურ **-ამ**, **-აფ** სუფიქსად მიაჩნია (ჩიქობავა, 1936, 157).

ლულ კატეგორიათა მაწარმოებლების მასალობრივი ერთიანობის მიზეზს, რაც მომავლის საქმეა.

წარმოდგენილი მორფოლოგიური იზოგლოსები, ვფიქრობთ, ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა განვითარების საერთო ტენდენციების კიდევ ერთ-ერთ ნათელ არგუმენტად გამოდგება.

ლიტერატურა

გენკო, 1955 — А. И. Генко. Абазинский язык. Грамматический очерк наречия тапанта. М., 1955

დუმეზილი, 1932 — А. Dumezil. Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris, 1932.

დუმეზილი, 1932 — А. Dumezil. La Langua des Oubykhs. Paris, 1932.

დუმეზილი, 1975 — А. Dumezil. Le verb oubvkh. Etudes descriptives et comparatives. Memor de l'Academie des inscriptions et belleslettres. HST I. Paris, 1975.

თოფურია, 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, თბილისი, 1967.

იმნაიშვილი, 1970 — ვ. იმნაიშვილი კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. X, თბილისი, 1970.

კუმახოვი, 1966 — М. А. Кумахов, Убыхский язык, АН СССР, т.IV, ИКЯ. М., 1966

ლომთათიძე, 1944 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპან-თური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი, 1944.

ლომთათიძე, 1945 — ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი, 1945.

ლომთათიძე, 1955 — ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI₃, თბილისი, 1955.

ლომთათიძე, 1947 — ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბილისი, 1947.

ლომთათიძე, 1948 — ქ. ლომთათიძე, „ცოდნის“ აღმნიშვნელი ძირის შესახებ აფხაზურ-ადიღურ ენებში, თსუ შრომები, 133 (142), თბილისი, 1948.

მაკალათია, 1970 — ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია, ნაწ. I, (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1970.

მარი, 1926 — N. I. Marr. De L'origine japhetique de la langue basque, Paris, 1926.

მაჭავარიანი, 1977 — ნ. მაჭავარიანი, -Vგ (-ავ, -ივ, -ევ, -ოვ) დაბოლოება ქართულ ტოპონიმებში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1977.

მაჭავარიანი, 1998 — ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო ქცევის „ცო“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. კრებ. „არნ. ჩიქობავა 100“, თბილისი, 1998

როგავა, კრაშევა, 1966 — Г. В. Рогова, З. Н. Керашева. Грамматика Адыгейского языка. Краснодар, Майкоп, 1966.

როგავა, 1945 — გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, №8, 1945.

უსლარი, 1872 — П. К. Услар. Этнография кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. С. Пб., 1872.

ფანჩიძე, 1940 — ვლ. ფანჩიძე, კაუზატივის -ევ -ვ სუფიქსი უღურში, სმამ, ტ. 1, №6, თბილისი, 1940.

შანიძე, 1941 — აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, სმამ, ტ. II, №8, თბილისი, 1941.

ჩიქობავა, 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, ტ. XI, თბილისი, 1959.

ჩიქობავა, 1937 — არნ. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფ., 1936.

წყაროები

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, ბ. ჯანაშია, თბილისი, 1954.

მცნეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1983.

ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ი. იმნაიშვილი, ტ. 1, ნაწ. I, თბილისი, 1970.

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.

Nana Machavariani

